სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

განათლება

(წელიწადი შეოთხე)

IV აპრილი 1911 წ.

ჟურნალი წლიურად ღირს 3 მან.
ნახევარი წლით . . 2 მან.
სახალხო სკოლების მასწავლებლებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად ოთ მანეთად.

ცალკე ნომრის ფასი 30 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და „ნაკადულის“ რედაქციაში. წერილები და ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія Л. Г. Боцвадзе.

სკოლა და მისი აღმზრდელობითი გავლენა

თუ ოჯახს დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის აღზრდაში, რაც ჩვენ წინა წერილში დაწვრილებით გაგვიხილეთ, არც სკოლაა მოკლებული ამ დანიშნულებას, რადგანაც ზნეობრივი აღზრდა ბავშვისა არის შედეგი ოჯახისა და სკოლის ურთიერთობრივ ჰარმონიული მოქმედებისა; ამას, სხვათა შორის, მნიშვნელობა აქვს ნამდვილის ცნების შესადგენად სკოლის უმახლობელეს მიზნისა და პედაგოგიურად საქმის მოწყობის შესახებ. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ თუ სკოლაში სისტემა საგნების სწავლებისა წესიერს მეთოდზეა დამყარებული, სწავლაში ჩამორჩენილ მოწაფეთა რიცხვი ძლიერ მცირე უნდა იყოს და თუ არიან ზოგიერთები ეს, უეჭველად, ან შინაურული ცუდი აღზრდისა და მიმართულების ბრალია, ან და ორგანიული ნაკლულევანებისა,—როგორც მაგალითად თანდაყოლილი ნიჭ-ნაკლებულობაა. „ყმაწვილების გონებრივი ძალის ნორმალურად მოწყობილი ვარჯიშობა,—ამბობს პროფ. პილანსი (Pillans),—არა ნაკლებ მოსწონთ მათ, ხშირად უფრო მეტადაც, ვიდრე კუნთების ძალთა ვარჯიშობანი“. თითქმის აწინდელს სკოლასაც, რომელიც მოკლებულია ბევრს საჭირო ღირსებას, შეუძლია დიდი გავლენა მოახდინოს მოწაფეზედ, განსაკუთრებით მისს ზნეობაზედ და ნებაზედ. „ბევრს ნიშნავს სასწავლებლის სულიო,—ამბობს უშინსკი. და ეს სული ცოცხლობს არა კედლებს შუა და არც ქალალდზედ. არამედ აღმზრდელთა უმრავლესობის ხასიათში და იქიდან [illegible] ადის მოწ[illegible] ხასიათ[illegible]

ეროვ. ბიბ.

ამ სულის მატარებელნი და გადამცემნი ახალთაობისადმი არიან ცოცხალნი პირნი — მასწავლებლები და აღმზრდელები, რომლებიც თავიანთი მძიმე და ნაყოფიერ შრომისათვის ღირსნი არიან უპირატეს პატივისცემისა საზოგადოების მხრით, თუ კი თანამედროვე საზოგადოება მისულია ამ ჭეშმარიტების ცხადად შეგნებადმი. აღზრდის საღვთო მოვალეობის შეგნება, მისი დიადი მნიშვნელობა საზოგადოებრივ ცხოვრებისათვის, ყველა ეს აღმზრდელს ავალებს ისეთს საქმეებს, რომელსაც ჩვენ გავეცნობით პირველ წყაროების მიხედვით, ფილოსოფოსების და პედაგოგების სიტყვებიდან. „ჰუმანურად აღზრდაო, — ამბობს ჰერდერი, — შეუძლიან მხოლოდ მას, ვისაც აქვს ეს თვისება და იჩენს მას. აღმზრდელმა თავდაპირველად უნდა წარმოიდგინოს თუ რა ძნელი მოვალეობა აწევს მას კისერზედ: მას ანდობენ ფორმას და შთამომავლობის განვითარებას, მათ ხელშია მშობლების უძვირფასესი საუნჯე და თითქმის საუნჯე კაცობრიობისა; ნორჩი ცვილი ბოლოს ხდება ისეთი, როგორიც ჩამოქნა და განავითარა მასწავლებელმა“, „მასწავლებელია, — ამბობს შლეიერმახერი, — თითქმის სახალხო მასწავლებელიც უნდა იყვეს ძლიერ განვითარებული და განათლებული კაცი. ის ასეთი უნდა იყოს იმიტომ, რომ ის არის მეტად თვალსაჩინო წევრი საზოგადოებისა, იმიტომ რომ ყოველივე არსებითი წარმატება ყველა კაცობრიული ცხოვრებისა აღზრდაზეა დამოკიდებული“. „აღზრდაო, — ამბობს ტაულოვი, — განსაკუთრებით მასწავლებლების პიროვნებაზედ და მის მაგალითებზეა დამოკიდებულია; ცოდნის გადაცემა შეუძლია ყოველად გათახსირებულ სულსაც, წესიერების დამყარება შეუძლიან ყველა ბარბაროსსაც. უზენაესი კანონი აღზრდისა სიმართლე და სიყვარულია“. ცნობილი პედაგოგი კოლრაუში ამ საგნის შესახებ ამბობს: „უმთავრესს პირობას გიმნაზიის წესიერად განვითარებისას წარმოადგენენ მისი მასწავლებლები. მასწავლებელი უნდა წარმოადგენდეს სრულს მაგალითს თავიანთ მოწაფეებისათვის. ის თავდაპირველად მთელი პიროვნება უნდა იყოს, რადგანაც მხოლოდ ასეთს პირს შეუძლია სხვისი აღზრდა. ის უნდა იყოს საკუთარი ღირსების გრძნობით განმსჭვალული, რამდენადაც შენ თვითონ სცემ შენს თავს პატივს, იმდენად სხვებიც პატივით მოგეპყრობიან. მასწავლებელს იმდენად შეუძლია გავლენა იქონიოს მოწაფეებზედ და მათს მშობლებზე, რამდენადაც ეს უკანასკნელები პატივსა ცემენ მას. „აღმზრდელი, (სწავლება აღზრდის ერთი საშუალებათაგანია) — ამბობს უშინსკი, — მოწაფეებთან პირისპირ დაყენებული, თავის-თავად იპყრობს აღზრდის მთელს საშუალებას“. მართლაც აღზრდა, როგორც ყოველი ცოცხალი და გონიერი მოქმედება, მოითხოვს გონიერს და ცოცხალ ხელმძღვანელებს. სიყვარული, სიმართლე, დაწაფება მოვალეობის ასრულებაში, თავის საქციელისადმი გულის-ყურის მიპყრობა, მუდმივი მისწრაფება გონებრივად განვითარებისაკენ, — აი თვისებანი, რაც ბუნებრივია ყველა ადამიანისათვის და მით უფრო პედაგოგისათვის. უეჭველია, რომ მოწაფე ოჯახის წევრთა შორისაც უნდა ხედავდეს მსგავს ზნეობრივსა და გონებრივს თვისებებს. სკოლაში არც ერთი სასწავლო საგანი არ არის ისეთი, რომელსაც არ ჰქონდეს გავლენა მოწაფის ზნეობრივად აღზრდაზედ, თუ ესა თუ ის საგანი წესიერად ისწავლება. ამას გარდა

დედა-ენას, ხატვა-ხაზვას, სიმღერა-გალობას და საზოგადოთ მუსიკას დიდი მნიშვნელობა აქვს მოწაფის ესტეტიური გრძნობის განვითარებაში. ესტეტიური აღზრდა კი ერთი საუკეთესო საშუალებაა ზნეობრივად აღზრდისათვის. ჩვენ ვიცით სასწავლებელი, სადაც მუსიკის სწავლებას სასურველი ყურადღებით ეპყრობიან, ჩინებული მასწავლებელი ჰყავთ მოწვეული, მაგრამ მუსაკის გაკვეთილებზე თითო ოროლა მოწაფეს ხედავთ 800 მოწაფეში, თუმცა ამ საგნის სწავლებისათვის მოწაფეთაგან არავითარს ხარჯს არ ითხოვენ. უეჭველია მშობლები არად აფასებენ ხელოვნებას და არც განუცდიათ ის მწუხარება, რომელიც შეიპყრობს ხოლმე ყოველს განათლებულს კაცს, როცა მას უნდა იმღეროს ან დაუკრას რამე საკრავზედ, დახატოს რამე და არავითარი ძალღონე არ შესწევს ამისთვის.

ერთმა მესამე კლასის მოწაფემ, რომელიც მეორე წელიწადს ყმნა დატოვებული იმავე კლასში, გულ-ახდილად მიამბო თავისი თავ-გადასავალი—ისე დამაღონა კლასში დარჩენამ, რომ კინაღამ თავი მოვიკალი და სწორედ ჭიანურმა მიხსნაო. ეს მოწაფე ჭიანურზედ უკრავს და როცა შავი ფიქრები მოაწვებოდა, გულს იმაზედ იყოლიებდა და ჰფანტავდა შორს ამ შავს ფიქრებს. ასეთი ძლიერია მუსიკა და სხვა ხელოვნება, რის სწავლებაშიაც საკმაო ყურადღება უნდა მიექცეს სკოლებში.

ბავშვის ნების აღზრდა სკოლის ერთი თვალსაჩინო დანიშნულებაა. სკოლაში ბავშვების აღზრდას ერთი ის უპირატესობა აქვს, რომ სკოლა წარმოადგენს საზოგადოებრივ ცხოვრების მოსამზადებელ საფეხურს. როგორც საზოგადოებრივი ცხოვრება ემორჩილება ერთგვარ კანონს, ისე სკოლის ცხოვრებაც მოითხოვს წესიერების დაცვას, მხოლოდ ეს წესიერება იმდენად გონივრული, თანდათანობითი და შეურყეველი უნდა იყოს, რომ ბავშვი პატარაობიდანვე შეეჩვიოს წესიერების დაცვას. ამიტომაც, როგორც აღმზრდელების მოქმედებანი და მოთხოვნილებანი განმსჭვალული უნდა იქმნეს ერთსულობით, ერთგულობით და ერთგვარის დასაწყისით, აგრეთვე ოჯახიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სკოლის მოთხოვნილებას. მხოლოდ საბრალონი არიან ის უვიცი მშობლები და მოწაფეთა ნათესავები, რომელნიც აშკარად ჰგმობენ მოწაფეებთან სკოლის წესებს: ამას გავლენა აქვს მაშინვე მოწაფეთა სწავლაში წარმატებაზედ და ყოფაქცევაზედ და მალე ასეთი გაუფრთხილებელი მშობლებიც მოიმკიან უარესს ნაყოფს თავიანთ გაუფრთხილებლობისა გამო.

ბავშვის ნების აღზრდა, როცა ოჯახსა და სკოლას შორის ასეთი დისგარმონიაა, შეუძლებელია წარმატებით წავიდეს. ხშირი და რწმენით შეზავებული ურთი-ერთობა მშობელთა და მასწავლებელთა შორის აუცილებლად საჭიროა. მაგრამ სამწუხაროდ უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენში საკმარისად მომზადებული და სასურველი ღირსებით შემკული, მოწოდებით და ნიჭით დაჯილდოვებული მასწავლებლები, რომელთა მაგალითი აცოცხლებს და განვითარების გზაზედ ამოძრავებს ახალთაობას, ძლიერ მცირეა. თუ ბავშვი ოჯახში, საზოგადოებაში და ქუჩაში ხედავს ცუდს მაგალითებს და ითვისებს მათ, სკოლა კი ისეთს ტაძრად უნდა გადაიქცეს მოწაფისათვის, სადაც მას შეეძლებოდეს ყოველის მხრით კეთილი მაგალითების დანახვა და მიბაძვა. მაგალითის ძალა, რასაც ბავშვს უჩვენებენ, არამც თუ დიდია, მეტის-მეტად ძლიერიც არის,

რასაც ხშირად არა ჩვეულებრივი მოვლენებიც მოჰყვებიან ხოლმე, რომლის წინ არ შეიძლება არ იგრძნოთ ზნეობრივი კანკალი და შიში. ამ გვარ მოვლენას ხშირად ბუნების ფიზიკურ მოვლენებშიაც ვხედავთ. ალპის მთებში ძლიერ გამბედავი მონადირეები დადიან. როცა ისინი კლდიდან მოგლეჯილს ქვას ან სხვა რასმე სხეულს შენიშნავენ, რომელიც სისწრაფით ქარდება ძირს, არაფრის გულისთვის არ მიაქცევენ მას. ყურადღებას, რადგანაც ისინი თან გაჰყვებიან მოგლეჯილს ქვას. ,ასეთი მიმზიდველია მიმბაძველობითი ძალა. კეთილი და წმინდა ზნეობრივი საქციელი გამოიწვევს აუარებელს სხვა ამ გვარ საქციელს. მაგალითი უფრო ძლიერია, ვიდრე მსახიობის წარმოდგენა: მაგალითი ერთსა და იმავე დროს მსახიობის წარმოდგენაც არის და ცხოვრების საწინდარიც. მაგალითი გვაძლევს შემთხვევას განვსჭვრიტოთ ქვეყანაზე ზნეობრივი წესიერების ერთიანობა და მით ჩვენშივე აღვადგინოთ ეს ერთიანობა. ყოველი ძლიერი მაგალითი იწვევს ჩვენს სულში ისეთს გრძნობას, რომ მზად ვართ მივბაძოთ მას. მაგალითი წარმოადგენს ნაპერწკალს, რომლის შეხებით აენთება საგანი. კეთილი მაგალითი ანაყოფიერებს სულის ზნეობრივს თესლს და აძლევს ძალას გასავითარებლად. მაცხოვარმა სთქვა: მე მოგეცით მაგალითი, მომბაძეთ და იარეთ ჩემ მიერ ნაჩვენების ზითო. მხოლოდ მაგალითის მიცემის შემდეგ შეეძლო ეთქვა მაცხოვარს: „შემომიდეგ მეო“, რადგანაც მაგალითთან ერთად მან გადმოსცა ხალხს ცხოვრების ზნეობრივი ძალაც. უმაგალითოდ სახარება მარტო განყენებული მოძღვრება იქნებოდა და არც შეეძლო ასე ცოცხლად ემოქმედნა მას ხალხზე.

და აი ყველა ამის შემდეგ სასწავლებელში მოწაფის ზნეობრივს აღზრდაზეც, უეჭველია, დიდი გავლენა ექნება თვითონ მასწავლებლების მაგალითს. ტყვილად არ ამბობს ხალხური სიბრძნე: „ცემა გმართებს გამზრდელისა რა ყმა ნახო ავად ზრდილო“. რამდენი ზნეობრივი სისპეტაკე, რამდენი მოთმინება და რამდენი თავ-გამოდებითი შრომა, ძალა და სიყვარული სჭირდება მასწავლებელს, რომ მან მართლა ღირსეულად შეასრულოს თავისი მოვალეობა.

მასწავლებლობა რომ ფრიად ძნელი მოვალეობაა, ეს ახალი ამბავი არ არის. ცნობილი დისტერვერგი, როცა წარმოიდგენდა იმ დანიშნულებას, რაც მასწავლებელმა უნდა შეასრულოს, ამბობდა: „ვუსურვებ მათ არმინიის *) ძალას, ლესინგის გონება-მახვილობას, ჰებელის სულს, პესტალოციის აღფრთოვანებას, ტილმანის ჭკუა-გონებას, ზალცმანის მჭერმეტყველებას, ლეიბნიცის ცოდნას, სოკრატის სიბრძნეს და იესო ქრისტის სიყვარულს“. დიახ, მართლა დიდი მოვალეობა აწევს მასწავლებლებს საზოგადოებისა და ერის წინაშე და ამ მოვალეობას ის შედარებით უკეთ ასრულებს, როცა შესაფერისს თანაგრძნობას ჰოულობს თვით საზოგადოებაშივე. და თვითონაც აქვს მოწოდება და საკმარისი მომზადება ამ თანამდებობაზედ.

ზრდილობიანი მოპყრობა, ღირსებით თავის დაჭერა დამახასიათებელი თვისებაა ყველა განათლებული კაცისა. რასაკვირველია მასწავლებლებიც თავიანთი ზრდილობიან საქციელით და ადამიანურის მოპყრობით ხელს შეუწყობენ, რომ ამ გვარი თვისებანი აღძრან მოწაფეებშიაც და მაშინ სრულიად მოისპობა ის განხეთქილება, რომელიც, სამწუხაროდ, ხშირად თავს იჩენს დღეს მასწავლებლისა და მოწაფეთა შორის. ლ. ბოცვაძე.

*) გერმანელთა საყვარელი გმირია, რომელმაც ხელი შეუწყო გერმანიის სახელმწიფოს გაერთიანებას XIX საუკ. პირველ-ნახევარში.

ვილიამ ჯემსი

საუბარი ფსიხოლოგიაზე

V

რეაქციის აუცილებლობა

ოდეს ადრე ზემო ოქმული *) მაროალია, მაშინ აქედან გიმამდინარებს ზოგადი დებულება, რომელმაც უნდა განსაზღვროს მასწავლებლის მოქმედება კლასში.

არაფერი არ უნდა იქმნას ისე შეთვისებული, რომ მიმღეობას თან არ მოჰყვეს რომელიმე რეაქცია; არც ერთი შთაბეჭდილება არ უნდა დარჩეს შესაფერ აღუნიშვნელად,—ასეთია დიადი კანონი, რომელიც მასწავლებელს ეოგელთვის უნდა ახსოვდეს.

შთაბეჭდილება, რომელსაც მოწაფე ღებულობს მსჯველობის თუ სმენის საშუალებით, და მის მოქმედებაში კი არავითარს ცვლილებას არ იწვევს, დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. ფიზიოლოგიურად იგი ადვილ-ნაკლულია. იგი ვერც ერთს ნიჭიერებას, ვერც ერთს სულიერ ძალას ვერ ამოძრავებს. მეხსიერებაზედაც არა აქვს შესაფერი გავლენა, ვინაიდან შთაბეჭდილება რომ დამკვიდრდეს, ხანგრძლივად დარჩეს ჩვენს ხსოვნაში, იგი უნდა ჩაერთოს იმ ქსოვილში, რომლის თხსვა წარმოებს ჩვენს სულიერ არსებაში. მეხსიერებაში მას დაამკვიდრებს მხოლოდ მისივ მამოძრავებელი შედეგი. რომელიმე ნაწილაკი მოქმედებისა, რომელიც გამოწვეულია შთაბეჭდილებისა, შემეცნებას უნდა დაუბრუნდეს **მომქმედის სახით** და აქ უნდა შეუერიდეს, შეექსოვოს იგი წვეთი შთაბეჭდილებას. უფრო ხანგრძლივია ის შთაბეჭდილება, რომელიც იწვევს ჩვენში რაიმე მოქმედებას და, საზოგადოთ, ჩვენ ჩვენთვის ადმძვრელი მნიშვნელობა.

ძველი პედაგოგიკის მეთოდი, რომლის მიხედვით ყველაფერს აზეპირებინებდენ, იმ ჭეშმარიტებაზე იყო დაფუძნებული, რომ წაკითხული ან გაგონილი, მაგრამ გაუმორებელი, მეხსიერებაში მაგრე რიგად ფესვს ვერ იდგამს. სიტყვიერ კამეორებას დიდი მნიშვნელობა აქვს და სიფრთხილეა საჭირო, რომ საქმის თანამედროვე მიმდინარეობამ, რომელიც მამართულია ძველის წინააღმდეგ, სრულებით არ გარდევნოს ან არ დაივიწყოს ის დიდი დირსეულება, რომელსაც წარმოადგენს გამეორება სწავლების საქმეში.

თუ მივმართავთ თანამედროვე პედაგოგიკას, დავინახავთ, თუ რა ზომამდე კიზარდა და გაფართოვდა სფერა რეაქტიულ დამოკიდებულებისა მოწაფეთა სასწავლო საგნებისადმი და ეს სულ ოვალსაჩინო სწავლების მეთოდის წყალობით, რომელიც შეადგენს თანამედროვე სკოლის დიდებას. მაგრამ რაც უნდა სასარგებლო იყოს სიტყვიერი რეაქცია, ის მაინც საკმაო არაა. სიტყვები, რომელთაც მოწაფე წარმოსთქვამს, შესაძლოა სისწორით იყოს ნათქვამი, მაგრამ წარმოდგენილება, რომელსაც იგი ამა თუ იმ სიტყვას უკავშირებს, შესაძლოა ხშირად შეცდომა იყოს. ამიტომ თანამედროვე სკოლაში სიტყვიერი რეაქცია მხოლოდ ნაწილია იმისა, რაც მოეთხოვება მოწაფეს.—მან უნდა სწერაოს თხზულებები, აწარმოოს დღიურები, ხატოს, შეადგინოს ბეგმები, ზომოს და სხვ. მან თავისებურად უნდა შესრულოს ის, რასაც პროგრამებში „დამოუკიდებელ საქმეობა“ უწოდებენ. ყველაზე უფრო ფნიშნელოვანი გაუმჯობესება, რომელიც ამ ბოლო ხანებში შეტანილ იქმნა

*) იხ. „განათლება“ 1910 წ. №№ IX—X.

განთლების საქმეში, არის ხელ-საქმე. ასეთი სკოლების მნიშვნელობა იმდენად იმაში არ მდგომარეობს, რომ იქ ადიზრდებიან დახელოვნებული და გამოცდილი მოქალაქენი, რამდენადაც იმაში, რომ ეს სკოლები წრთვნიან ულ სხვა კონებრივი საუნჯის მეკონე ადამიანების. დაბორატორიაში თუ სახელოსნოში შესრულებული სამუშაო ავითარებს მოწაფეებში დაკვირვების ნიჭს, შეძლებას აძლევს მათ დაინახოს რთული დამოკიდებულებანი ბუნებაში და მიჭვეს ისინი იმ დასკვნამდე, რომ განუენებული აღწერა ნამდვილ მოვლენის მაგვრობას ვერ გასწევს;—ეოველივე ეს, ერთ-ხელვე შეთვისებული, მთელ სიცოცხლეში ადამიანის საკუთრებად რჩება და ინახება. ასეთი ვარჯიშობა აჩვევს ადამიანს სისწორით მუშაობასა, რადგანაც რადესაც ადამიანი აკეთებს რაიმე საგანს, შესაძლოა იგი ან კარგად გაკეთოს, ან ცუდად; აჩვევს ადამიანს პატიოსან მოპყრობას საქმისადმი; აღუძრავს ნდობას თავის საკუთარ ძალ-ღონისადმი; აღუებს და ავითარებს ინტერესს და ეურადღებას საგნისადმი და მასწავლებლის სადისციპლინო ფუნქციები მინიმუმამდე დაჰყავს.

მაშ ასე: არც ერთი შთაბეჭდილება შესაფერი გამომეტყველების გარეშე! აი, პირველი შედეგიერი ნაოფი ეფოლიუციონერი შეხედულებისა სულზე. ნათქვამს კიდეკ მიგეგმათ რამდენიმე სიტყვა. თვით გამომეტყველება ჩვენ გვიბრუნდება ახალი შთაბეჭდილების სახით, სახელდობრ, იმ საგნის თუ საქმის შთაბეჭდილების ფორმით, რომელიც ჩვენ შეგასრულეთ. ამ რიგად ჩვენ გრძნობათა ორგანოების ნაშუალებით ვდებულობთ ცნობებს ჩვენს ქცევასა და იმის შედეგებზე. გვესმის ჩვენ მიერ წარმოთქმული სიტყვები, ვგრძნობთ სხვისი ხელის შეხებას; მაკურებელთა თვალებში ვკითხულობთ, როგორ დასრულდა ჩვენი მოქმედება—კარგად თუ ცუდად. ეს ანარეკლი შთაბეჭდილება საჭიროა ჩვენი მიზნისთვის და ორიოდე სიტყვა ვთქვათ იმის მნიშვნელობაზე სკოლაში. ნორმალურ პირობებში ეოველი მოქმედების საბოლოო შედეგი მიიღების როგორც ახალი შთაბეჭდილება; ამიტომ, ბუნებრივად, ასარგებლოდ უნდა ჩაგეთვალა, როცა მოწაფე მსგავს ანარეკლ შთაბეჭდილებას დებულობს. ნამდვილად კი იმ სასწავლებლებში, სადაც ნიშნები და სხვა მოწაფისადმი მომართული მისი მოქმედების შედეგი იდუმალობიოა გარემოცული, ბუნებრივი საბოლოო მიზანი მისი მუშაობისა იკარგება და იგი ჩაბარად იტანჯება ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი. ზოგიერთებს ამ სისტემის დასაცავად ის მოსაზრება მოჰყავთ, რომ ამ გზით მოწაფეს ვითომ აქებენენ გიდეც საქმიანობისადმი სწორეთ საქმის სასარგებლოთ და არა საჩუქრებისა და მადლობისა, რომელთაც საგანთან საერთო არაფერი აქვთ. აქაც, როგორც ეოველთვის, ფსიხოლოგიური დასკვნა ცხოვრების გამოცდილების წინაშე არ არსებობს. მაგრამ ასეთი დასკვნა კი გვეუბნება, რომ საერთილი მოწაფისა, რომელსაც საერს გაიგოს თავის მუშაობის ნაოფი, ნორმალურ რგოლად უნდა ჩაითვალოს იმის სულის ფუნქციათა შორის. ასეთი საერთილი არასოდეს არ უნდა დარჩეს დაუმეოფილებელი, თუ, რასაკვირველია, ამის წინააღმდეგ რაიმე ძალიერი საბუთები არაა წამოყენებული.

მიაწოდეთ თქვენს მოწაფეებს ცნობები მათი შრომის ნაოფიერების შესახებ და აღუძრიეთ მათ შესაფერი იმედები! მხოლოდ განსაკუთრებულ პრაქტიკულ მოსაზრებათა ძალით შეგიძლიათ ურჩეთ ეგა.

VI

თანშობილი და შეძენილი რეაქცია.

წინა საუბრებში ჩვენ გავიცანით ბიოლოგიური შეხედულება. ადამიანს თავის საერილი ძალნი შეელიან რეაქციათა განსაზღვრაში; ადამიანის აღზრდის მიზანია—რაც შეიძლება

მრავალ რიცხოვან და უსაკლულო რეაქციათა შეძენა. ჩვენი ადგრდა მდგომარეობს თითოქმის მარტოოდენ შესაძლო რეაქციათა მოგრეგებაში, რომელთაც ჩვენ შეგიძენთ შინ, სკოლაში, ბრაქტიკული ცხოვრების საშუალებაში და სხვ. მასწავლებლის დანიშნულებაა თავლეული ადგენოს ამ მოგრეგების ბროცესს. აქ ჩვენ ახლავე წარმოგაუენებთ ზოგად ბრინციპს, რომელიც საფუძვლად უდევს შეკრების ბროცესს და მიმართულებას აძლევს მასწავლებლის მოქმედებასაც.

ყოველი შეძენილი რეაქცია ჩვეულებრივ წარმოადგენს ან უფრო რთულ ფორმას თანშობილისას, ან მოადგილეს იმ თანშობილი რეაქციისას, რომლის გამოწვევის მიდრეკილება ჰქონდა თავდაპირველად ამა თუ იმ საგანსა.

მასწავლებლის ხერხიანობა მდგომარეობს იმაში, რომ გამოიწვიოს მოადგილე, ან უფრო რთული ფორმა რეაქციისა, ამისთვის საჭიროა გაცნობა თანშობილ მიდრეკილებათა ცნობილ რეაქციათადმი.

რომ უმაწვილს არა ჰქონდეს თანშობილი რეაქცია, მასწავლებელი დასაურდნობ რასმეგერ იჭოვიდა მისი კუდის-ურის მოსაძრთაგად და იმის მოქმედებაზე კაგლენის მოსაბო

მომენტებისაკენ: დანახვა, ტაცება, დარტყმა, ტირილი, გაკონება, თხოვნა, მიღება, გადიმება. მეხსიერების წყალობით, უმწეოდი, როდესაც იგი იტაცებს სიკვნას, ამასთანავე მოიკონებს თავის გამოცდილების ყველა საფეხურებს; მას მოაგონდება, რომ სანამ სარეკარს მიიღებდეს, საჭიროა თხოვნა. ამიტომ იგი ტაცეობის მისწრაფებას ანშობს თავის არსებაში და იმის ადგილას ყენებს „ზრდილობრს“ და ამ რიგად ჰირ და ჰირ დებულობს სასურველ სათამაშოს. თუ ტაცეობის მიდრეკილება უმაწვილში ძლიერია და მეხსიერება კი სუსტი, მაშინ მოგიხდებათ რამდენჯერმე გაიმეოროთ თქვენი ცდა, რომ ეს შეძენილი რეაქცია ბავშვს ჩვეულებად გადაექცეს. წარჩინებული ნიჭის უმაწვილისათვის საკმაოა ერთი ცდაც.

ამიტომ მასწავლებელი უნდა იცნობდეს უმაწვილის თანშობილ მიდრეკილებას ამა თუ იმ რეაქციისადმი, უნდა იცნობდეს უმაწვილის მისწრაფებას და ინსტინქტებს, რომ შესძლოს იმის სულში ერთი რეაქცია შესცვალოს მეორეზე და ამ რიგად მიაბრუნოს იგი სასურველ საგნებისადმი.

აქ საჭიროთ ვთვლი ორიოდე სიტყვა ვთქვა ე. წ. ინსტინქტიურ მიდრეკილებაზე, რომლის გაცნობას მასწავლებლისათვის უადრესი ნიშანშეულობა აქვს.

VII

თანშობილ რეაქციათა შესახებ.

ამათი ჰირველი ადგილი უჭირავს შიშს. დასჯის შიში მასწავლებლის ხელში ყოველთვის ნამდვილი იარაღი იყო და, ეჭვი არაა, მას შესაფერი ადგილი ექნება სკოლის აღმზრდელობით საშუალებათა შორის. მაგრამ ეს საკვანი იმდენად ცნობილია ყველასათვის, რომ ამაზე სიტყვის ალარ გავაგრძელებ. იგივე ითქმის სიყვარულზე და იმაზედაც, როცა გვსურს მოგწონდეთ მას, ვინც ჩვენ გვიყვარს. მასწავლებელი ქალი, რომელმაც თავი შეაყვარა შეგირდებს, ისეთს სასურველ შედეგს მიაღწევს საკოლაში, როგორიც ბეგრს სიზმრადაც არ მოეჩვენება.

უნდა ვთქვათ რამდენიმე სიტყვა ცნობისმოყვარეობაზედაც. ეს ტერმინი ძალიან ცუდათ გამოხატავს მისწრაფებას უმეტესი ცოდნისადმი. ახალი და ცოცხალი საგნები, რომელნიც თავის გარეგნობითაც ოვალსა სკრიან უმაწვილს, იპყრობენ იმის გულის ყურს მანამდე, სანამ უმაწვილში ადრეული ცნობის მოყვარეობა საგანებით არ იქნება დაკმაყოფილებული. თავის უმაღლეს გონებით გამჭვრეტელობით ფორმაში იგი დებულობს შეცნიერულ, ფილოსოფიურ ცოდნის მოყვარეობით ნასიათს. ორივე შემთხვევაში ეს ინსტინკტი უმაწვილობის და ჭაბუკობის სანაში უფრო ძლიერია, ვიდრე გაკაცობის დროს. ჰატარები ძლიერს ცნობის მოყვარეობას იჩენენ, როცა რაიმე ახალს შთაბეჭდილებას მიიღებენ. ლექციების მოსმენა მათ შეუძლიათ მხოლოდ რამდენიმე წუთის განმავლობაში. გარეშე მხედველობითი და სმენით შთაბეჭდილებანი უოუოდ მიიპყრობენ მათს ყურადღებას. ჰირიქით, შუახნის ადამიანისათვის ძალიან ხშირად შეუძლებელია გონება ავარჯიშოს ისეთ რამეზე, რასაც მოვითხოვთ უმაწვილისაგან, როცა იგი ჰაჭკირკიტებს ბერძნულ-ლათინურს, თუ მშრალ მატემატიკურ საგნებს. შუახნის ადამიანს თავისი ეოველ-დღიური საქმიანობა და ჭირ-ვარამი აწუხებს, ახალი ჭეშმარიტებანი, როდესაც საჭიროა ძალიან მტკიცება, მისი ნიჭიერების გარეშე რჩება.

ბრძნობით ცნობისმოყვარეობა უმაწვილების განსაკუთრებით ძლიერ ადეკვრისთ ამა თუ იმ საგნის ზრკიერთ განსაზღვრულის სახის წყალობით. ნიგთიერი და მოძრავი საგნები, ცოცხალი არსებანი, ადამიანთა მოქმედება და მოთხრობები ამ[illegible]ზე გაცილებით მეტად იპყრობს უმაწვი[illegible]ებს, ვიდრე ის საგნები,

რომელთაც განუვლენელი ხასიათი აქვთ. აქ ერთხელ კიდევ ვხედავთ დიდს უპირატესობას ხელსაქმის და საზოგადოდ თვალსაჩინო სწავლისას. მოწაფის ეურადღებას თავის თავად იზიდავს ისეთი კითხვა, რომლისთვისაც საჭირო ხდება რამე სიფთიერი საგნის ან მოქმედების ჩვენება. ამიტომ მასწავლებელი უნდა ცდილობდეს პირველ ეოფლისა აღძრას მოწაფეში ძლიერი სურვილი რომელიმე მოქმედების ან საგნების ჩვენებით. თეორიული ცოდნის მოყვარეობა, რომელიც აღძრავს საკითხებს მიზეზობრივ დამოკიდებულებისას საგანთა შორის, ეკეთვნის ზაბუკობის ხანას. აქ, რასაკვირველია, ეურადღებაში მისაღები არაა ის შეტაფიზიკური კითხვები, რომელთაც ხშირად მოგვმართავენ ემაწვილები, მაგ., „ვინ შექმნა ღმერთი?“ „რატომ ხეთი თითი მაქვს ხელზე და არა მეტი?“ და სხვა. მაგრამ როგორც კი მოწაფეში გაიღვიძებს ინტერესი თეორიისადმი, მაშინ საჭირო ჭეშდება სულ სხვა—ახალი ეედაგოგიური საშუალებანი. ასეთი ინტერესის დასაწყისად უნდა ჩაითვალოს, როდესაც მოწაფე ეძებს მიზეზს, საფუძველს, ხმარობს მსჯელობაში განეეენებულ ტნუებებს და სხვ. ეს მოვლენა ცნობილია მასწავლებლისათვის. მაგრამ ეოველ შემთხვევაში უანკარო ცნობის მოეყვარეობა შეეგვიძლია მეტის კეთილ-ნაეოფიერებით გამოვიწვიოთ ემაწვილში, ვიდრე დავუეკლებულ ადამიანში, რომელიც ასეთი რამ მხოლოდ მაშინ იჩენს თავს, როდესაც აქედან იგი მოსაგებ რამმე ხელავს. ამაზე—ქვევით.

მ.ბ.ბ.ძ.ვ.ლ.ბ.ბ. ადამიანს ძველთაგანვე თვლიდენ ისეთ არსებად, რომელსაც დიდი მიდრეკილება აქვს მიმბაძველობისადმი. ეველა ძველი ფსიხოლოგები ამ ფაქტს ერთხმად აღიარებდენ, მაგრამ საოცარი ისაა, რომ ამ მიდრეკილების მნიშვნელობა დაფასებულ იქმნა მხოლოდ ამ ბოლო ხანებში. აქ ეველაზე წინა სდგას ტარდი თავის ფრიად საეურადღეო ნაშრომით: „მიმბაძველობის კანონები“. ამერიკაში ამ საკითხის გამორკვევა დიდის ენერგიით განაგრძეს ბროფესორებმა როიმმა და ბალდუინმა. ჩვენ წარმოვადგენთ მხოლოდ იმას, რასაც ვარო; თითოეული ჩვენგანი იწყებს თავის თავის შეგნებას სხვათა მიმბაძველობის წყალობით, ვინაიდან შემეცნება იმისა, თუ რას წარმოადგენენ სხვანი, წინაეწყრებს თავის საკუთარ „მე“-ს შემეცნებას, უკანასკნელი კი ვითარდება იმ გრძნობისაგან, რომელიც გამომდინარეობს სხვათა მაგალითების მიბაძვისაგან. მთელი საუნჯე კაცობრიობისა—ენა, ხელოვნება, მეცნიერება და სხვა ერთი ჩამომავლობიდან მეორეზე გადადის იმ გზით, რომელსაც ბალდუინმა უწოდა სოციალური მეშვეობრეობა. ეოველი ახალი დგმა მხოლოდ ბაძავს თავის წინამორბედს. აღმოჩენა—ამ სიტეეების ვრცელი მნიშვნელობით და მიმბაძველობა—ესაა ის ორი თვისი, რომლითაც მოდიოდა კაცობრიობა ისტორიულ განვითარების გზაზე.

მიმბაძველობის აღგილს შეუმჩნეველად იჭერს **შეგულიანება.**—ეს ისეთი მიდრეკილებაა, რომელიც გვაიძულებს მივბაძოთ სხვებს, რომ არ ჩამოგრჩეთ, სხვაზე ნაკლებათ ჩრავის გვიგეგულდოს. ამ ორი მიდრეკილების შედეგი ხშირად ისეა გადახლართული ერთი მეორეში, რომ მათ შორის ხაზის გავლება ძალიან ძნიეა. **შეგულიანება** ჭეშმარიტი ნერვიანი ადამიანთა საზოგადოებისა. რომ არ გსმენოდათ, რომ ჩემთან ამ ლექტიებიან მოსასმენად მოდიან ვიღაცები, არც თქვენ მოხვიდოდით აქა! არც თქვენი შეგირდები ივლიდენ სკოლაში, რომ მათ მეზობლებს არ გამოეგზავნათ იქ თავიანთი შვილები! ჩვენ არასოდეს ეარს არ ვამბობთ მოხსენიებას მივიღოთ ამაში, რაც ჩვენის შეზობლებისათვის სასურველი და სასარგებლოა.

მიმბაძველობას და შეგულიანებას სკოლაში ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. თითოეულმა მასწავლებელმა იცის, თუ რა კარგი ნაეოფი მოაქვს ხშირად ერთსა და იმავე დროს სკო-

თო. სამუშაოს შესრულებას კლასში. მაგრამ უფრო სასურველ ნაყოფს მოიტანს ის მასწავლებელი, რომელიც თავის მოქმედებით იწვევს მოწაფეებში მიმბაძველობას. მასწავლებელმა, რასაკვირველია, არასოდეს არ უნდა მოითხოვოს უმწეველებისგან იმის გაკეთება, რის გაკეთებაც თითონ არ შეუძლია. როდესაც მასწავლებელი ასე მიმართავს შეგირდს: „მოდი და აბა, დაუკვირდი, როგორ უნდა გაკეთდეს ეგ“... ამით ის უფრო ძლიერ სურვილს გაბოიწვევს მოწაფეში სწავლისადმი, ვიდრე ბრძანება რომელიმე. ბავშვები ადტაცებულნი არიან ხელოვანი მასწავლებლის მოქმედებით, რასაც იგი მოქმედებს, ამათ ძლიერ ადვილად ეჩვენებათ და ცოდლობენ ამაზე ნაკლებად არ შესრულონ იგი სამუშაო. მოდუშული და ხანტი მასწავლებელი ამოდ ეცდება აღუძრას თავის მოწაფეებში რაიმე სურვილი მოქმედებისადმი. მან ჯერ თითონ უნდა გამოიჩინოს ასეთი სურვილი, გატაცება, და ამ მაგალითით მიაღწევს კეთილებით მეტს, ვიდრე ნიერ-ნიერი დარიგებითა.

თითოეულ სკოლაში ტრიალებს განსაკუთრებული ზნეობრივი და გონებრივი სული; იგი ტრადიციულია და გრძელდება მხოლოდ მიმბაძველობის წესლობით. ახალი შეგირდები ამ სულს იითვისებენ უფროს მოწაფეთა და მასწავლებელთაგან. ასეთი ატმოსფერა სკოლაში ძნელად იცვლება; და თუ იცვლება, ისიც ახალ ჰირთა ზელ-გაკვლენით, ისეთ ჰირთა, რომელნიც საკმაო ძალას წარმოადგენენ ახალი მიმართულების შესაქმნელად. თავის თავად ცხადია, რომ ფსიხოლოგია, როგორც მეცნიერება, ამ შემთხვევაში ვერავითარ დაწვრილებითი კანონებს ვერ დაადგენს. როგორც სწავლების სხვა დარგებშია, ისე აქაც საქმის წარმატება დამოკიდებულია უმთავრესად მასწავლებლის პირადოვნებაზე, იმის კაშკრიალობასა და მიზან-შეწონილ მოქმედებაზე.

უკანასკნელ დროს, სწავლების ახალი მეთოდების შემოდებისთანავე, კაისმა ხმები, რომლებიც უარჰყოფენ შეგულიანების აღმზრდელობითს მნიშვნელობას. ასი წლის წინად რუსსომ დაჰგმო მოტიდეობა მოწაფეთა შორის, როგორც დაბალი დირსების ვნება იდეალურ აღზრდის საქმეში. „ნურაოდეს ნუ აიძულებთ ეშიდს თავის თავი შეადაროს სხვებსა. როდესაც მასში კანვითარდება მსჯელობის ნიჭი, მაშინ ნუ მისცემთ მას ნებას სხვას შეეკამათოს თუნდაც სირბილში! მისთვის ასჯერ უმჯობესი იქნება სრულებითაც არ ისწავლოს ის, რის სწავლასაც მოისურვებს იგი მხოლოდ მოტიდეობის და პატივმოყვარეობის გულისთვის. მე ვი, ჰირიქით, ეოველწლიურად ჩავიწერდი იმის წარმატებას სწავლაში და შეგადარებდი ამას ბოლო წლების წარმატებასთან და ვეტეოდი: „აი, ახლა შენ ამდენი დეთმეთ მეტი ხართქო. აი თხრილი, რომელზედაც შენ ხტოდი; აი სიმძიმე, რომელსაც შენ ზიდავდი; აი სიზდვარი, სადამდინაც შეგეძლო გაგესროლა ქვა; აი ადგილი, სადამდინაც შენ დაუდადაგად მიირბენდი! ეგსახოთ, ახლა რადა შეგიძლია“!.. ამ რიგად მე ვეტდებოდი მასში წინმსვლელობის სურვილის გაღვიძებას და სრულიადაც არ ადვძრავდი მასში შურს სხვების მიმართ. მაშინ მასში გაიღვიძებდა სურვილი თავის თავის გადამეტებისა და სწორეთ ასეთ მოტიდეობაში თავის საკუთარ „მე“-სთან მე არაფერს ეტდეს არა ვხედავ“.

თავის ჰირად „მე“-სთან მოტიდეობა უეჭველად ეეთიდეობილური ფორმაა შეგულიანებისა და ამას ფასთო მნიშვნელობა აქვეს აღზრდის საქმეში. მაგრამ ვფიქრობ, რომ ფასტიზმს ვეახლოვდებით, როდესაც ვკრძალავთ მოწაფეთა შორის მოტიდეობას, იმ მოსაზრებით, რომ ეს სიხარბის და ეგოიზმის სახეს მიიღებსო. მოტიდეობის გრძნობა საფუძველად უდგეს ჩვენს ბუნებას და სოციალური პროგრესიც რამდენადმე დამოკიდებულია მასზე. არის ორგვარი მოტიდეობა: ერ-

თი დაფუძნებულია შურსა და სიხარბეზე და სახიზღარია, მეორე კი—კეთილშობილურ სულგრძელებაზე და სწორედ ამ უკანასკნელსა აქვს ადგილი უმაწვილებში. სიამოვნება, რომელსაც გვრის თავმაშობა, იმით აიხსნება, რომ ამ უკანასკნელს საფუძვლად უდევს მოცილეობა; ცნობილია, რომ თავმაშობა უმაწვილებში ავითარებს სამართლიანობასა და სულგრძელებას. ნუ თუ მასწავლებელმა უნდა უარჰყოს ეს საშუალებანი? როგორც ფსიხოლოგი, მე აღვიარებ შეგულიანების დიდს მნიშვნელობას.

ჭკვიანი მასწავლებელი ამ ინსტინქტსაც საქმის სასარგებლოდ გამოიყენებს. ჩვენ ვეთანხმებით იმ ფრანგ კრიტიკოსს, რომელმაც გაარჩია რუსსოს მოძღვრება; იგი ამბობს: ჩვენი მოქმედების გამომწვევე უკელაზე უფრო ძლიერ მიზეზათ უნდა ჩაითვალოს სხვების მოქმედება. სხვისი დანისძიება გამოიწვევს ჩვენს ძალასაც სამოქმედოდ. ვიფიქროთ უბრალო მაგალითი, თუნდა სირბილი: როდესაც ორი გაჯიბრებული ამხანაგი კარბის, თავის საკუთარი ნება ამ წუთს არც ერთს არ უჩვენებს შეჩერებას—მეორემ წინ არ გამისწროსო.

როგორც მიმბაძველობა ნელ-ნელობით იქცევა მოცილეობათ, ისე ეს უკანასკნელი გადაქმნის პატივ-მოყვარეობაზე. პატივ-მოყვარეობა ბოლოს და ბოლოს მტკიცედ უკავშირდება ჭირვეულობას და ამშარტყენებს. ეს ხუთი ინსტინქტიური მიდრეკილება ჭარმოადგენს ერთს ჯგუფს ერთიმეორეში ჩაქსოვილ ფაქტორებისას. ამათი ერთმანეთისაგან გარჩევა ხშირად ძნელია. ამ ჯგუფს შესაძლოა ვუწოდოთ ერთი სახელი: **პატივმოყვარეობის აღმძვრელი.**

ამაობასა და ჭირვეულობას უეურებდენ როგორც მდაბალ გრძნობათ, რომელთა გამოწვევა მაგნებელია უმაწვილებისათვის. მაგრამ იგი უმადლეს ფორმებში განსახიერებული ხშირად დიდ როლსა თამაშობს აღზრდის საქმეში; ზოგიერთა ბუნების ადამიანისათვის იგი წარმოადგენს ძლიერ ბერკეტს მოქმედებისათვის. ჭირვეულობა არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც მიდრეკილება შეფოთისა და ჩხუბისადმი. იგი შესაძლოა წარმოვიდგინოთ როგორც რწმენა, რომ დაუძლეველი არა-ფერია. სწორედ ეს გრძნობა გვაქვს ჩვენ, როდესაც ვეთაბუნლობთ თუ მოგვითხრობენ კაბედულ ადამიანთა მოქმედების შესახებ. იგი გრძნობა ეოველი კაბედული და თავგამოდებული ადამიანის ხვედრია. ამ ბოლო დროს ბევრსა მსჯელობენ ადზრდის საქმის კანკარკეებზე. ამბობენ: უმაწვილებში უნდა ადძრათ სურვილი სწავლისა, ამასთანავე უნდა ვეცადოთ, ეოველივე სიძნელე ავაცილოთ მათ თავიდანაო. **რბილმა** ბედაგოგიამ დაიჭირა სწავლების ძველი კედლოვანი გზა. მაგრამ ამ თბილ ატმოსფერას აკლია მატონლებელი მაკავბადი მეუკითობისა. იმის მტკიცება, რომ სწავლების საქმეში თითოეული ნაბიჯი ფრიად სანუკვარია, უაზრობაა. ბირიქით, საჭიროა სწორეთ ჭირვეულობის გამოწვევა! გამოიწვიეთ უმაწვილში სირცხვილი, როდესაც იგი უფრთხის ნაწვერების გამოანგარიშებას! გაადვიძეთ მასში სიამაყე და იგი სიძნელეს ეკვეთება ისეთის გაბორბოტებით თავის-თავის წინააღმდეგ, რომელიც შეადგენს ერთს საეკეთესო მის ზნეობრივ თვისებათაგანს. ესეთ ბირობებში მოაბოლებული გამარჯვება მისთვის გასაადვილი გზაა. იგი უჩვენებს მას უმაღლეს წერტილს თავის ნიჭისას. მასწავლებელი, რომელიც მსგავსი ჭირვეულობის გამოწვევას არ ცდილობს თავის მოწაფეებში, ჭკარგავს ერთს საუკეთესო საშუალებას, რომელიც მას ხელთა აქვს.

შემდეგი **ინსტინქტი**, რომელზედაც მსურდა დაბარაკი, **არის გრძნობა მესაკუთრეობისა.** ეს ინსტინქტიც ძირითადი თვისებათაგანია ადამიანისა. იგი ხშირათ ეწინააღმდეგება შამბაძველობას. ზოგიერთ შემთხვევაშა ძნელი სათქმელია, თუ სოციალური ბრალ-

სი რა'ზე უფრო დამოკიდებული: ძველი წეს-ბილების შენარჩუნებაზე, თუ ახალის შეძენის და მისი მიმბაძველობის შიდრეკილებაზე. შე-საკუთრეობის გრძნობა თავს იჩენს უკვე ორი წლის ეშაწვილში. სიტყვა „ჩემი" ერთი სი-ტყვათაგანია, რომელთაც ბავშვი ყველაზე ადრე იოფისებს. და ვი ი ამ მშობელი, რო-მელთაც ერთი-ორორის კბილა ბავშვები ჰყავთ და ცალ-ცალკე არ უყიდიან მათ სათამაშო-ებს!.. მესაკუთრეობის ინსტინქტი ისე დრმად არის ჩვენს ბუნებაში ჩანერგილი, რომ ფსი-ხოლოგიურად, ძალიან ეტვი ი თვალით უტქერი უკიდურეს ფორმებს კომუნისტურ მოძღვრე-ბისას. კერძო საკუთრების მოსპობა ბრაქტი-კულად განუხორციელებელია, თუ ბერგელ ეოფლისა ადამიანის ბუნება არ შეიცვალა საკა-მისოდ.—მესაკუთრეობის ინსტინქტი დიდ როლს თამაშობს ადზრდის საქმეში და ამით საერეკუნდობა ბეკერნაირად შეიძლება. თავის ოჯახშიეე ეშაწვილი წეს-რიგსა და სიმუფთა-ვეს ეჩვევა უფრო იმის გამო, რომ რამდენი-მე ნიეთი იმის საკუთრებას შეადგენს. საგა-ლაში მესაკუთრეობის გრძნობის განსაკუთრე-ბული მნიშვნელობა აძლევა კოლექციების შედ-გენაში. ცოდნის შეძენის სურვილი თითქოს იმდენად ამაზე არაა დამოკიდებული, რომ ადამიანმა გონიერულად ახსნას ნაირ-ნაირი მოგვეანი, რამდენადაც ამაზე, რომ ის აკმა-ყოფილების შეძენის და მოხვეჭის ინსტინქტსა. მე მსურს, მაგ. მქონდეს ამა თუ იმ საგან-ზე სხვებზე მეტი ცოდნა და მეც ვცდილობ შევიძინო ის სწორეთ ისე, როგორც ადამიანი ცდილობს შეიძინოს რაც შეიძლება მეტი ქო-ნება და სიმდიდრე.

თუ მასწავლებელმა მოსერწყებულად ისარ-გებლა ამ ინსტინქტით, ბევრი მისია. ნიჭიე-რი მასწავლებელი ისე გაწრთვნის თავის შე-გირდებს, რომ უკანასკნელნი სიამოვნებით აკრეფენ წიგნებს, შენიშვნებს, საწერ-ა-ზარებს, ნუკებს და სხვ. ამ რიგათ კოლექციათა შეგროვების სარგებლობასთან ერთად ემაწვი-ლები ეჩვევიან სისუფთავეს, წეს-რიგს. კო-ლექციების შეგროვება ხომ საკუთრეველია საბუ-ნებისმეტყველო საგნებში ვარჯიშობისა. ყოველ-ი განოქმული ბუნების-მეტყველი ეშაწვილო-ბაში ადბად კარგი კოლექციების შემდგენელიც იყო.

იმ ინსტინქტიურ მიდრეკილებებს, რომ-ლებითაც მასწავლებელს შეუძლია ისარგებლოს, ეკუთვნის **ინსტინქტი მაშენებლობისა.** რვა-ცხრა წლამდის ეშაწვილი თითქმის მხო-ლოდ ანშენებს და ანგრევს. **შექმნა** და **დანგ-რევა** ფსიხოლოგიურად ერთი და იმავე მოქ-მედების სხვა და სხვა სახელწოდებაა. ერთიც და მეორეც იმასა ნიშნავს, რომ მუშაობის დროს საგნები განიცდიან ცვლილებას და რო-მელიმე შედეგის მიღწევაც შეიძლება. აქედან ბოლოს და ბოლოს გამომდინარეს ნიფთიერი საგნების ფიზიკურ თვისებათა ცოდნა, ეს კი, არსებითად, ადამიანის ცოდნის საფუძველია.

ბევრი ჩვენგანის შემეცნება საგნებსა და მათს თვისებებზე განისაზღვრება იმით, თუ **რა შეაძლება გაკეთდეს** ამა თუ იმ საგ-ნის საშუალებით. „ჯოხი", მაგ., ისეთი რა-მეა, რაზედაც ჩვენ შეგვიძლია დავეყრდნოთ; „ცეცხლი"—ისეთი რამეა, რომელიც გვათ-ბობს, სწვავს და სხვ. უმრავლესობისთვის ამ საგნებს სხვა მნიშვნელობა არა აქვთ. რამდე-ნათ „მრავალია ის საგნები, რომელთაც ეშაწ-ვილი ეცნობა ბერ-და-ბერ თავის მოქმედებით, იმდენად იგი უსათუოდ ამ ფრეს, სადაც სცხოვრობს. მოზრდილ ადამიანს უკვირს, როცა ეშაწვილი მოელი საათობით უზის თა-ვის სათამაშოებს და ნაირ-ნაირათ ალაგებს მათ. გონიერული ადმზრდელობითი სისტემა კი ჩაგვაძახის, რგონა მანამ ვეწელოთ, სანამ ცხელია; და ეშაწვილის ბერეკილი წელიწადები მოგვეხმაროთ მეკვავს მაშენებლობას და, საზო-გადოთ, თვალსაჩინოებას. ამ გვარად ადზრ-დილ ბავშვს რომ შეეკადროთ ისეთი, რომელ-

საც მარტოოდენ წიგნებთან ჰქონია საქმე, დავინახავთ, რომ ეს უკანასკნელი თითქმ ბუნების გარეშე ცხოვრობსო.

არის კიდევ სხვა და სხვა ინსტანქტი, მაგრამ ამათ მაგრე რიგათ ახლნა-განმარტება ადარ ეკმარების (მორცხვობა, ეოულოჩინობა და სხვ.) საჭიროთ მიმაჩნია ორიოდე სიტყვა გითქვათ ე. წ. ინსტიქთა ცვალებადობაზე. ბევრი ჩვენი მიდრეკილება—ასე გითქვათ—მწოფლებე ჩვენი სიცოცხლის განსაზღვრულ ხანაში. უკეთუ ამ დროს ხელთა გვაქვს ამ მიდრეკილებითა დასაკმაყოფილებელი საგანი, მაშინ ჩვენს არსებაში ფეხს იკიდებს ესა თუ ის სახე მოქმედებისა მათდამი. თუ სასურველი საგანი არა გვაქვს ხელთ, შესაძლოა მიდრეკილება ჩაიხშოს. ვიდრე გამომუშავდებოდეს რაშელიმე ჩვეულება; შემდეგ კი ძნელია ადამიანში ამა თუ იმ მიმართულების შეკმნა.

ემაწვილებს ემჩნევათ ერთგვარი თან და თანობა მიდრეკილებათა და ინტერესთა განვიძებაში. ფოროთხვა, სიარული, ცოცება, კაკადება ხმებისა, ჯენება, ხატვა, თვალ—ეს მოქმედებანი ერთი მეორეს თან და თანობით მოსდევენ. ზოგიერთ ემაწვილს ისე ძლიერ ადეკვრის ესა თუ ის მიდრეკილება, რომ ამ დროს მისთვის სხვა საქმეზოს შესრულება ეოვლად შეუძლებელი ჭხდება! თავის-თავად ცხადია, რომ შესაფერ პედაგოგიურ მომენტათ უნდა ჩაითვალოს ის მომენტი, როდესაც განსაკუთრებულის სიცხოველით იჩენს თავს თანშობილი მიდრეკილება. ამიტომ, როგორც კი შესაფერი მომენტი დაინახოთ, ავარჯიშეთ ემაწვილი ეველაფერში, ეს ხანა მალე კადიდლის და სანამ იგი გრძელდება, შეგიძლიათ სხვა საქმეზოები განზე გადადგათ. ამით ოქვენ მოიგებთ დროს და ემაწვილს კი ნიჭიერებას განუმტკიცებთ. აკვრს გასაცარ ემაწვილს—არტისტს, ტატეშატოგოს—ასეთი ეკვეკების ხანა აქვს მხოლოდ რამდენსაშე თვეს.

განსაზღვრული წესების დადგენა აქ შეუძლებელია. დიდი მნიშვნელობა აქვს აქ ბეჯითი დაკვირვებას თითოოულ კერძო შემთხვევისა; ამ შემთხვევაში მშობლებს გაცილებით მეტი შეუძლიათ გაკეთოონ, ვიდრე მასწავლებელსა. სკოლაში ძნელია, რომ ამ ცვალებადობის კანონის საზომია გაზომა ეოველი კერძო შემთხვევა თითოეულ შეკერდისა.

ასეთია ეს ბატარა ფსიხო-ეთიზიკური ორგანიზმი! იგი საგსეა ნიერ-ნიერი მიდრეკილებითა, მისწრაფებებით, ინტერესებითა; ეველა ამაებს ანგარიში უნდა გაუწიოს მასწავლებელმა, შეასწავლოს ისინი და ისე იმოქმედოს. საფუძველად მასწავლებელმა უნდა აიღოს ემაწვილის თანშობილი მიდრეკილებანი და ამ რიგათ მისცეს მას საშუალება თავის ცოდნათა გაფართოებისა, როგორც ბასიერათ, ისე აქტიურათ. მასწავლებელმა უნდა კაცნოს ემაწვილი ახლა საგნებსა; მოწაფემ უნდა იგრძნოს თავის მოქმედების შედეგი, ისე, რომ ახლი კეთილნინებისათანავე მისი მოქმედება განისაზღვროს არა ბირ-და-ბირის შთაბეჭდილებით, არამედ იმ ჯამით, რომელიც შესდგება წინათ შეძენილ და ახლა კი მეხსიერებაში ადმდგარ შემეცნებათაგან. ამის მიხედვით, რამდენადაც ამ გზით ემაწვილის მსოფლ-მხედველობა ფართოდება, იმის კონება მდიდრდება სხვა და სხვა მოკონებებით, ასოციაციებით და სურათებით.

ეოველთვის ანგარიში გაუწიეთ თანშობილ რეაქციას, მაშინაც კი, როდესაც ოქვენს გსურთ მისი კვეშირი გასწავლიტოთ რაშელიმე საგანთან, რომ მის ადგილზე სხვა კავშირი წამოაეენოთ და ეს უკანასკნელი ემაწვილისათვის ჩვეულ რამად აქციოთ. ბარადოქსია, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ხელოვანი მასწავლებელი ხშირად ემაწვილის ცუდ მოქმედებას უფრო სასარგებლოთ გამოიყენებს, ვიდრე მისგე კარგ ქცევას!..

ბეძენილი რეაქციები ემაწვილის ჩვეულებად ენდა იქცენ, როცა ისინი საამისოდ ფარ[illegible]ს.

ბავშვების თხზულებათა შესახებ

უკანასკნელ წლებში ბავშვების მიერ დამოუკიდებლად თხზულებათა წერა ფეხს იკიდებს დასაწყისს სკოლებში. საუკეთესო სასკოლო ქრესტომატიებში იპოვით მრავალ თემებს მოწაფეთა თხზულებისათვის; აუარებელი სურათების შემწეობით მასწავლებლებს შეუძლიათ აღძრან მოწაფეებში დამოუკიდებელი აზროვნება და ხელი შეუწყონ ბავშვების ცოტა, მაგრამ ცხოვრების ფართო გამოცდილების შედეგების სისტემაში მოყვანას და გადმოცემას. ამ გვარი თხზულების საშუალებით სკოლა უფრო უახლოვდება ცხოვრებას და სწავლებასაც უფრო ბავშვის ბუნების შესაფერისი ხასიათი ეძლევა, რადგანაც ბუნება ბავშვისა ყოველთვის საკუთარ ცოცხალ პიროვნებაში იხატება. ეს პიროვნება იჩაგრება მაშინ, თუ სკოლა მოწაფეს ჩააყენებს პასსიურს მდგომარეობაში, რაც სასტიკად განირჩევა ბავშვის სკოლაში მიბარებამდის მისი ცხოვრების აქტიურის მოწყობისაგან.

დასავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით გერმანიაში, ყოველ წლობით გამოდის მრავალი სახელმძღვანელოები დასაწყისს სკოლებში ბავშვების დამოუკიდებელ ნაწერების შესახებ. ერთი ამგვარი სახელმძღვანელო ეკუთვნის გერმანიის ცნობილს და ნიჭიერს პედაგოგს შარრელმანს, რომლის პედაგოგიურს აზრებს, უეჭველია, გაეცნობოდნენ ჩვენი ჟურნალის მკითხველები იმ წერილებიდან, რომელიც შარშან და შარშანწინ გვქონდა დასტამბული ჟურნალ „განათლებაში“. შარრელმანის წიგნი „დღიურის ჩარჩოში“ (Jm Rahmen des Altags) შეიცავს 800 თემას და მრავალ თხზულებათა, დაწერილს I—V კლასის მოწაფეთა მიერ.

ჩვენი მიზანია გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს ხსენებულს წიგნში გაფანტული ზოგიერთი საყურადღებო აზრები და მივცეთ ზოგიერთი წარმოდგენილება თემებზე და თხზულებათა შესახებ.

თხზულება იმ სახით, როგორც ეხლა შემოღებულია სკოლებში, შარრელმანის აზრით, ნაყოფია ერთგვარ ხელოვნებისა— შეაერთო უშინაარსო ფრაზები, მოწყენილობა და პედანტიზმი. სასკოლო თხზულებების ნაკლულევანებას შეადგენს თემის ურიგოდ არჩევა; აზრი, რაც გატარებულია ამ თხზულებებში, გამოწვეულია ცხოვრებაში არა ინტერესით, რასაც თემა აღძრავს და მაშასადამე მას არც თავის-თავად შეუძლია ხალისის აღძრა მწერალში; შემდეგ თხზულებებში გაბატონებულია ერთ გვარი გამოთქმა, რაც წარმოადგენს სახელმძღვანელო წიგნის მშრალ გამოთქმის მიბაძვას; ბოლოს თხზულების დამწერთაგან პედანტიურად მოითხოვენ სწორს გადმოცემას სტილისა და მართლ წერის მხრივ. ცხადია, რომ ამ მგვარ თხზულებებში არაფერი სიბავშვო არ არის და არც ვისმე მოუვა თავში სწეროს ისეთის გაწვალებული სტილით, რომ მას სკოლა ძალად არ ახვევდეს თავზე მოწაფეს; არც არავინ თავის ნებით არ მისცემდა იმდენს მნიშვნელობას შნოიან წერას, მართლ წერას და გრამატიკას, თუ რომ სკოლის რუტინა ძირშივე არ ამახინჯებდეს იმ წარმოდგენილებას, თუ რა არის სკოლაში და ცხოვრებაში საჭირო და არა საჭირო.

სკოლას შეუძლია ნაყოფიერად იმოქ-

მედოს მხოლოდ მაშინ, როცა ის ცხოვრებასთან არის დაახლოვებული და ეს დებულება უფრო სამართლიანია მოწაფეთა საწერ მასალის შესახებ. მოვლენანი და შემთხვევები ბავშვის ყოველ დღიურ ცხოვრებიდან წარმოადგენენ დაუღლეველს მასალას, დაუშრეტელს წყაროს და აუარებელს სიმდიდრეს საწერ თემებისათვის.

ბავშვებისათვის უფრო სახალისოს ისეთი საწერები შეადგენენ, სადაც პირად დაკვირვებას და ინდივიდუალობას საკმაო ადგილი უჭირავს: რამდენადაც თემა ვიწროა, იმდენად ის უფრო წარმტაცია. მაგ. მთელ კლასს რომ მისცეთ ასაწერად საზოგადოთ ოთახი, მოწაფეს გაუძნელდება დაწერა, ეს თემა მისთვის უცხოა, ნაწერიც ზერელე და ნაკვეცი გამოდის; პირიქით, როცა ბავშვს ააწერინებთ თავისს საკუთარ ოთახს, მაშინვე სიცოცხლე ამოჩქეფს, რაც მით უფრო გაცხოველდება, თუ თემა უფრო კონკრეტიულად არის შემოფარგლული, თუ აღებულია განსაზღვრული წვრილმანობა, მაგ. „რა და რა ყვავილებია შენი ოთახის ფანჯარაზე და როგორ უვლი მათ“.—

ხშირად არ შეიძლება მთელი კლასისათვის დავკმაყოფილდეთ მარტო ერთს თემას: პირადი დამოკიდებულება ერთსა და იმავე თემასთან მხოლოდ ზოგ მოწაფეს ექნება, ამ პირად დამოუკიდებლობით, დამოუკიდებლად დაუკვირვებლობით და განუცდელად, მიცემული თემა მკვდარი იქნება: მასწავლებლისა და მოწაფეთათვისაც გაცილებით საინტერესოა, როცა მიცემულია 5—6 თემა, რომლიდანაც თითოეული მოწაფე აირჩევს იმას, რაც მისთვის სასურველია.

რამდენადაც თემა შეესაბამება ნაჩვენებს მოთხოვნილებას, იმდენად ნაკლებად საჭირო იქნება საკლასო წინასწარი შემუშავება. ბევრს შემთხვევაში საკმარისია მხოლოდ ხაზი გაუსვათ იმ თვალსაზრისს, რომლითაც ბავშვები ადვილად მიუახლოვდებიან ცნობილს მასალას. თავისი შესავლით მასწავლებელმა სხვათა შორის მოწაფეებში უნდა გაადვიძოს სიცოცხლე, რაც ძლიერ საჭიროა ამ გვარ სამუშაოს დროს.

თითოეული მოწაფე დამოუკიდებლად მუშაობს, მაგრამ ლაპარაკი შეიძლება არც კი დაუშალოთ, რადგანაც ეს შველის თემის შემუშავებას. არ უნდა გაუჯავრდეთ ბავშვს თუ ჩაიხედა ამხანაგის რვეულში: მცირე შეჩერება თხზულების წერის დროს, რასაც საუკეთესო მოწაფეებიც კი სჩადიან, ჩქარა უნდა მოსპონ თუნდ ამ გზითაც.

საზოგადოთ მუშაობა ინტესიურად უნდა სწარმოებდეს. ვისაც ჰგონია, რომ მარჯვედ დასწერა რამე, შეუძლია ხმა მაღლა წაიკითხოს. შეძლების და გვარად მეტს კითხულობენ, რომ ამით გამოიწვიონ დინჯად მოაზრე მოწაფეებში აზრთა ასოციაცია. თუ თემამ მიიზიდა მოწაფეები, მაშინვე შეინიშნება საზოგადო გამხნევება და კლასიც ჩინებულად მუშაობს, მოხდება, რომ თხზულების სივრცეს საზღვარიც დაუდოთ. კარგია, სხვათა შორის, დაფასება ნაწერისა თვალსაჩინოების მიხედვით: „ამის დახატვა არ შეიძლება“,—ამ წესით ადვილი ხდება შებრძოლება უაზრო ფრაზებთან და შაბლონურ გამოთქმასთან.

იმ თხზულებებში, რომელიც უცხო მხარეს ეხება, ბავშვებმა უნდა განსაზღვრონ უმთავრესად დამოკიდებული შთაბეჭდილებანი, რაც მიუღიათ ისტორიულ-გეოგრაფიული სურათების გასინჯვის დროს, ან მუზეუმების ნახვით; მაშინ ეს

იქნება არა პასსიური გადმოცემა უცხოთა სინამდვილისა სხვისი სიტყვებით, არაშედ ბავშვის მიერ ნახულის და მოფიქრებულის გადმოცემა.

არ უნდა გვაშინებდეს ზოგიეთრი თემების ვითომდა სიძნელე. რასაკვირველია მ-წაფეები ბევრს საკითხზედ ვრცელს პასუხს ვერ მოგვცემენ, მაგრამ ეს საჭიროც არ არის,—გადმოცემა ბავშვის მიმღეობისა და ცოდნის ფარგალში უნდა დარჩეს. შემცდარი წარმოდგენილებანი და მსჯელობა ბავშვისა უნდა გამომზევდეს თხზულებათა საშუალებით, რომ გამორკვეულ იქმნას მათი შეცდომა. მსჯელობა იმ საგნების შესახებ, რაც ჩვენ ცხადად წარმოდგენილი არა გვაქვს, ძლერ გვშველის ამ საგნის გამორკვევაში.

ისტორიულ თემების თხზულებებში მოქცეული უნდა იყოს ან წაკითხული მოწაფის მიერ, ან მასწავლებლის ნამბობი, მაგრამ მოწაფეთა გულის ყური უნდა მიპყრობილ იქმნას ერთს რომელსამე ფაქტზედ, ან პატარ-პატარა ნარკვევებზე. მასწავლებელი, ბავშვების მიერ რამე ცნობილს ამბავს, ჰყოფს რამდენსამე ნაწილად და აძლევს მზა-მზარეულად პირველი ნაწილის პირველ წინადადებას. მოწაფეები, რომლებმაც ჯეროვნად დასწერეს პირველი ნაწილის შინაარსი, წერით-გადმოცემულს ხმა მაღლა წაიკითხავენ. შემდეგ მასწავლებელი აძლევს შემდეგი ნაწილის პირველ წინადადებას და ამით აერთებს მთელი კლასის გულის-ყურს და სამუშაოს

გადმოსაცემად კარგს მასალას იძლევა ბავშვების მიერ ცნობილი ზღაპრები, მაგრამ თემა უსათუოდ განსაზღვრული უნდა იყოს პატარა ნარკვევით.

ურჩევენ აგრეთვე დაუბრუნდენ ქრესტომატიაში მოქცეულს პატარა მოთხრობებს, რაც 2—3 წლის წინად წაუკითხავთ, ნახევრად დავიწყებული მოთხრობები კვლავ განახლდებიან ბავშვის მეხსიერებაში მასწავლებლის მისახვედრ კითხვების საშუალებით; შემდეგი გადმოცემა ბავშვის მიერ მეხსიერების ამოძრავებით შეძლებას აძლევს მოწაფეს უფრო ცხოველად ვითვალისწინოს მოთხრობის შინაარსი, ვიდრე ეს ხდებოდა პირველად წაკითხვის დროს.

სასარგებლოა აგრეთვე მიაჩვიონ ბავშვები ხან და ხან პატარა მოთხრობების დამოუკიდებელად შეთხზვას. ამ შემთხვევაში მიზანს ყველაზედ უადვილესად მაშინ მივაღწევთ, თუ თემა უფრო სახუმაროა და მასთან ზღაპრულიც. მაგალ. მოწაფეებს წინადადებას აძლევენ დასწეროს მოთხრობა ბავშვზე, რომელსაც ფრენა შეეძლო; უჩინ მაჩანის ქუდზე, რომელიც იპოვა ღარიბმა დედა-კაცმა მოლაპარაკე ძაღლზე.

საყურადღებოა მთელი რიგი თხზულებათა, რომელთა შორის სასურველი კავშირია დაცული: უფრო ფართო მიზანი, რომლის მიღწევა ერთხელ ჩაჯდომით და წერით არ შეიძლება, არამედ თხოულობს თანდათანობითს ძალას, იწვევს აზრის მიპყრობას ერთის მიმართულებისაკენ და ხელს უწყობს ბავშვის შემოქმედებითი ნიჭის ცოცხლად გამოჩენას. ასეთია მაგალითად თემები: ათი წელიწადი ამერიკაში, რა სჩანს ვაგონის ფანჯრებიდან, რას ხედვენ მერცხლები, როცა მიფრინავენ ჩვენგან სამხრეთისკენ და სხ.

სხვათა შორის შერრელმანი ურჩევს რამდენიმე დღის განმავლობაში, უკანასკნელი ათი წუთი სკოლაში მეცადინეობისა მოანდომონ „გუშინდელი დღის“ აღწერას. თითოეულმა მოწაფემ უნდა

დასწეროს თავისს დაფაზედ რაც ახსოვს წარსული დღიდან და რაც საყურადღებოა. სწერენ სწრაფად და, რასაკვირველია, უშნოდაც, მაგრამ რამდენადაც გარეგნული ფორმა უვარგისია, იმდენად შინაარსი კარგია. რაკი მათ იციან, რომ შეუძლიათ თავისუფლად სწერონ, რაც უნდათ და ამის გამო უშნო ხელისა და გრამატიკულის შეცდომებისათვის არ გაუჯავრდებიან, ბავშვები დიდის გატაცებით ეტანებიან თხზულებას. იმ კლასში, სადაც ამ წესს გაცნობილნი არ არიან, თავდაპირველად საქმე ზოზინით მიდის: სწერენ უმნიშვნელო უშინაარსო ფრაზებს სხვა და სხვა არა საინტერესო საგანზე, მაგალ. იმაზე თუ გუშინ რა ჭონდათ სადილად, მაგრამ თუ მასწავლებელი დარწმუნებულია ამ გვარ ვარჯიშობის სარგებლობაში და ნებას აძლევს კლასს თვითონ აწარმოვონ ეს საქმე დაუხმარებლად და თემებზე მიუთითებლად, მოწაფეების შენიშვნები თან და თან საინტერესო და აზრითაც სავსე ხდება. რომელსამე მოწაფეს შეეძლება კომიკური შემთხვევის აღწერით გააცინოს ამხანაგები; მეორეჯერ ყურადღებას მიიპყრობს რომელიმე მოხერხებული დაკვირვება. ითითოეული საინტერესო ნაწერი სამაგალითო ხდება და მიმართულებას აძლევს სხვა სამუშაოს. ამასთან მასწავლებელი ხან და ხან ნებასაც აძლევს არ იქმნენ შეზღუდული მარტო გუშინდელი დღით, რამედ მსგავსი შემთხვევები ეძებონ შორს წარსულშიაც. ვისაც უნდა თავისი ნაწერი შეუძლია წაიკითხოს ხმა მაღლა. თუ ისინი ბევრნი არიან, ვინც ვერ მოასწრებს წაკითხვას, შეუძლია გადაწეროს თხზულება და დასდოს მასწავლებლის მაგიდაზედ. საუკეთესო თხზულებები შეაქებ ცალკე დღიურში.

უფროსი კლასების თხზულებებში ხან და ხან სჩანს საბავშვო სანტიმენტალური ლიტერატურის გავლენა. ამის წინააღმდეგ არ არის საჭირო ცალკე ზომების მიღება; საზოგადოთ საღ ალღოს ბავშვები მასწავლებლის დაუხმარებლადაც ჩქარა გამოყავთ რეალიზმის გზაზედ. ყოველ შემთხვევაში, კლასის ნორმალურად განვითარებისათვის, საჭიროა, რომ მან თავისი ძალ-ღონით, სხვის დაუხმარებლად, რაც უნდა შორი გზა დასჭირდეს, უნდა გავიდეს ნამდვილს გზაზედ.

საყურადღებოა აგრეთვე თხზულებები წერილების სახით. თუ მოწაფე სამუშაოს ვერ დასძლევს, არ უნდა დაეხმარონ აზრისა და სიტყვების კარნახით: შეიძლება წარმატების მიღება უფრო ბუნებრივის საშუალებით. მასწავლებელი სხვათა შორის წინადადებას აძლევს მოწაფეს მოსწეროს მას წერილი ამა თუ იმ შემთხვევის გამო; მოწაფეები ძლიერ წახალისდებიან ამით და საქმე გაიჩარხება; პასუხი წერილზე ყოველთვის არ არის საჭირო, ხან და ხან საკმარისია რამდენიმე სიტყვა გაკვეთილეს შუა დასვენების დროს. ამ მიწერ-მოწერის წყალობით მასწავლებელსა და მოწაფეთა შორის ახლო დამოკიდებულება ჩამოვარდება და მასწავლებელსაც მეტი შემთხვევა მიეცემა უფრო ახლო გაიცნოს სხვა და სხვა მხარე მოწაფეთა ცხოვრებისა.

შეცდომების გასწორების დროს სასურველია იხელმძღვანელონ შემდეგის ხერხით. წერის დროს მასწავლებელი მოკლე პასუხს აძლევს მოწაფეებს კითხვებზე ამა თუ იმ სიტყვების მართლ-წერის შესახებ; როცა თხზულება დაწერილია, მოწაფეები ერთი მეორეს გადასცემენ თავიანთ ნაწერებს და ერთმანეთს უსწორებენ შეცდომებს; თუ საეჭვო რამეა, თითოეულ

მოწაფეს თქაც შეუძლიან კითხვა აღძრას, მაგრამ პასუხს ამ კითხვაზედ იძლევა კლასი და არა მასწავლებელი. შემდეგ შეცდომებს გაასწორებენ ყველა სამი მოწაფე ერთად ერთს სკამზედ მსხდარნი, მაგრამ მათ შორის უთანხმოებას მასწავლებელი გადაწყვეტს. მიუხედავად ამისა თხზულებაში, სახლში რეფერატში ჩაწერის შემდეგაც, რჩება შეცდომები. ყველა შეცდომების გასწორება მოწაფისათვის უსარგებლოა და მასწავლებლისთვინაც სამძიმო. უმჯობესია მახლობელს გაკვეთილზედ მასწავლებელმა მოწაფეებს განუმარტოს ორი სამი მთავარი საერთო შეცდომა მთელი კლასის დახმარებით.

თხზულებათათვის თემები შარრელმანს წიგნში განაწილებულია 7 ჯგუფად: I—სახლში. II—ქუჩაში, III—უცხო ქვეყნებში, IV—საზოგადოებრივი ცხოვრება, V—დრო (წელიწადის დრონი, ძველი დროიდან) VI—სხვა და სხვა თემები (ზღაპრები, პატარა მოთხრობები, თხზულებათა სერიები, წერილები, ბაასი). VII—სტილისტიური სავარჯიშოები. ჯგუფი, რომელიც მშობლის სახლს ეკუთვნის, განიყოფება პატარ-პატარა ჯგუფებად: ჩვენი სახლი, სიხარული ოჯახში, მწუხარება ოჯახში, სტუმრები, განსაკუთრებით შესანიშნავი საათები, დღესასწაულები, თამაშობა, სულიერი განცდიდან. თემები, რაც ქუჩის სახელითაა მიღებული, ასეთია: სამხიარულო შემთხვევა ქუჩაში, სამწუხარო შემთხვევა ქუჩაში, წარმავალი დაკვირვებანი, სხვა და სხვა ამინდი, მეზობლები, გასეირნება, ქალაქის შესანიშნავი ადგილები, სხვა და სხვა ტიპის და პროფესიის ხალხი. თვითონ თემები, ზემო ნაჩვენების მოსაზრებით, შეიცავენ მოვლენათა მცირე ფარგალს დროსა და სივრცეში და ამასთან კონკრეტიულიც არის, ასე რომ შესაფერისია პირველი წლის მოწაფეთათვისაც, რომელთა თხზულება რამდენიმე სტრიქონით განისაზღვრება. ასე, საერთო თემა—„ჩვენი სახლი“ იძლევა 70 მეტს მასალას თხზულებისათვის, მაგ. სახლის აგება: *) რას აკეთებენ თავდაპირველად, ვიდრე შენობის აგებას დაიწყებდენ. 2) ლაპარაკი, რაც გავიგონე შენობის აგების დროს. 3) სად არის მასალები და სად არიან მუშები. 4) რას უშვრებიან სხვა და სხვა ასაშენებელ მასალას. 5) როგორია სხვა და სხვა ასაშენებელი მასალა. 6) სხვა და სხვა ბრძანების გაცემა შენობის აგების დროს; 7) რას ამბობენ გამვლელები სახლის აგების დროს, და სხ.

მოვიყვანთ კიდევ რამდენსამე თემას: განყოფილებიდან „ოჯახის სიმხიარულე“; ჩემი დაბადების დღე; თავისუფლებაში, მამამ მიიღო საუკეთესო ადგილი; დედა მორჩა ხანგრძლივი ავადმყოფობისაგან; შინ დაბრუნება დიდხანს სხვაგან ყოფნის შემდეგ, დედა გვიამბობს საღამოობით ზღაპრებს; კვირის საღილი, კატის კნუტები, ბავშვები მოვიდნენ სტუმრად; სახლში მარტოდ დარჩენილი ბავშვები.

პირველი კლასის მოწაფეთა თხზულებანი რამდენისამე მარტივ წინადადებისგან შესდგება, რომელიც გადმოგვცემენ ფრიად ელემენტარულ მომენტს ბავშვის ცხოვრებიდან, მაგ.: „როცა ვიღვიძებ, ყველაფერი მახსოვს, რაც სიზმრად ვნახე. თვალებს ვიფშვნეტავ და ფანჯარაში ვიცქირები, წვიმა ხომ არ მოდის, მოდის დედა და მშველის ჩაცმაში. პირის დაბა-

*) თემების სახელები შარრელმანს მარტივად აქვს მოყვანილი, მაგრამ საჭიროებს მასწავლებლის განმარტებას.

ნა მე თვითონ შემიძლია. როცა ტანს ჩავიცვამ, დედას უკვე ადუღებული აქვს რძე და ბუტერბროდიც მომზადებული... დროა სკოლაში წასვლისა". როგორც სჩანს ეს თხზულება დაწერილია მეორე თუ მესამე კლასის საუკეთესო მოწაფის მიერ (7—8 წლ.) ეს მოვიყვანეთ იმიტომ, რომ გვეჩვენებია, რა მიაჩნია შარრელმანს საკმარისად და საყურადღებოდ თხზულებისათვის. მაღალ კლასების მოწაფეთა თხზულებებში დიდი გავლენა სჩანს შარრელმანისა, რედაქციაც ზოგჯერ მას ეკუთვნის, მაგრამ მთელი ძირითადი მასალა ბავშვების მიერ არის მიწოდებული. ზოგი თხზულება იმდენად საინტერესოა და ხელოვნური, რომ საქრესტომატიოდაც კი გამოდგება.

ბოტანიკა

პროფ. რ. ფრანსუ

მცენარეთა სისხლი

ამ სათაურის წაკითხვის დროს შეიძლება ზოგიერთებს კიდეც გაუკვირდეს და სთქვას: სად მცენარე და სად სისხლი, მაგრამ ვისაც ცოტათ თუ ბევრად სპეციალური ცოდნა აქვს ბატანიკიდან, მისთვის განსოცარი არაფერი იქნება.

ვისაც ბოტანიკისა არა გაეგება რა, მისთვის ახალი ამბავი იქნება, რომ მცენარეებიც ისე სუნთქავენ, როგორც ცხოველები და ამ სუნთქვის დროს სარგებლობენ სისხლით; სოლო უმარტივეს შემთხვევაში, როგორც მაგალითად სპინები და სხვა რბილტანა ცხოველები— სხეულის ზედაპირით. ვისაც ბუნების ბეტუფელება შეუსწავლია, იცის, რომ მცენარის სუნთქვა შეიძლება გაძლიერებულიც იყოს და მისუსტებულიც და ამის მიხედვით მცენარეშიაც მატულობს სიცხე, რასაც ცხოველებში სისხლითან აქვს კავშირი, სახელდობრ დამჟანგების (окисленіе) ენერგიასთან. ამ სახით, დიდი ხანია უცილობელ ჭეშმარიტებად არის აღიარებული, რომ ცხოველთა სისხლის ფუნქციებსა და მცენარეთა სუნთქვის პროცესს შორის არათუ ზოგიერთი მსგავსება არსებობს, პირიქით უკანასკნელ ხანებში სრულიად გამოირკვა, რომ აქ არათუ მარტო მსგავსებაა, არამედ სრული ერთი და იგივეობაა. მცენარეთა უჯრედების წვენი—ეს იმათი სისხლია. იმის სუშულებით სუნთქავენ უჯრედები, იმის საშუალებითვე გაძლიერებული სუნთქვის დროს შესამჩნევად ეტყობოთ ტანის სითბოს გადიდება, რაც ყველამ იცის ყვავრტებისა და ყვავილის შესახებ და რაშიაც ადვილად დაგრწმუნდებიო მათი გაზრის დროს. საზოგადოთ მცენარეების სისხლი უფერულია, როგორც უხერხემლო რბილტანა ცხოველებისა და მწერების სისხლი, მაგრამ აჩქარებული სუნთქვის დროს ის მიიღებს მოწითალო ან იისფერ შეს იის ფერს და მაშინ კი ცხადად სჩანს დიდი მსგავსება ამ პირობებთან, რასაც ცხოველთა სამეფოში ვხედავთ.

რომ მოვიყვანოთ სარწმუნო საბუთები ამის დასამტკიცებლად, საჭიროა ცოტა შორის გზით მოვუაროთ ამ საკითხს. ჯერ ჩვენ უნდა ცხადად წარმოვიდგინოთ თუ რა არის სუნთ-

ქვა. არსებითად სუნთქვა წარმოადგენს დანაწილების პროცესს ენერგიის მისაღებად. ■ ზოგადად ეს პროცესი დამოკიდებულია მჟავბადის არსებობაზედ, მაგრამ ცდის საშუალებით უცვე დამტკიცებულია, რომ, როგორც ცხოველებს, ისე მცენარეებსაც შეუძლიათ ცოტა ხნის განმავლობაში სუნთქვა უჰაეროთ, როცა სხეულიდან კბოდის მჟავბადე. მაგრამ მისთვის, რომ ისარგებლონ ჰაერის მჟავბადით, საკმარისი არ არის, რომ ეს მჟავბადე გარშემო ერტყას. ამისთანა რთულ საგნისთვის საჭიროა განსაკუთრებული ორგანოები, განსაკუთრებული რთული იარაღი. როგორ სუნთქავენ ცხოველები? ისინი თავისი სხეულის წვენით შეეხებიან ჰაერის მჟავბადს, ან თავისი სხეულის თხელი კანით (დაბალი ცხოველები), ან და ნაზი, წვრილ ჩამოკიდულ ნაწილებით (ზოგიერთი კიბოს მაგვარი მწერების ფუმფულები, ივაკომბალები), ან სიფრიფანა ძარღვებით სხეულში (ფილტვები მაღალ ცხოველებისა). ამათთვის სისხლი სასუნთქავ იარაღს შეადგენს. სისხლის გამაწითლებელი ნივთიერება ადამიანის სისხლში— გეშოგლობინი-შეადგენს ცილის მაგვარ შენივთებას, (იმ პირობით, როცა მის უფლებაშია ჰაერის მჟავბადე) რომელიც დაკავშირებულია იმ ნივთიერებათა, რომელნიც უნდა დაიწვას სუნთქვის საშუალებით.

თუ ამას ცხადათ წარმოვიდგენთ, საქმე სულ მარტივად მოგვეჩვენება. აქ იბადება შემდეგი საკითხი: აქვს მცენარეებს ტანში შესაფერისი ნივთიერება ამ საქმეშოს შესასრულებლად? თუ აქვს, მაშ მცენარეებსაც ჰქონიათ სისხლი. ცნობილმა ბოტანიკმა პალლადინმა და ისმა მოწაფეებმა დაგვიტკიცეს, რომ ამ კვარი ნივთიერება არსებობს და დაუკვირდენ კიდეც მის მოქმედებას. ისინი ეძახენ „ფოტოგენატინს“, მცენარის სისხლის ნივთიერებას უწოდებენ და მათვე ეხმარეს პირველად ტერმინი „მცენარეთა სისხლი“, რაც ეხლა შეტანილი უნდა იქმნეს საბუნებისმეტყველო ბოტანიკაში.

ეი რაში გამოიხატება პალლადინის თეორია. თვითოეული მცენარის უჯრედების წვენში გახსნილია დამკანგებელი „ენზიმები“, ე. ი. ის ქიმიური „საკუთარი მომქმედი“, რომელთა მცირე ნაწილსაც კი შეუძლიან მოახდინოს უდიდესი ქიმიური მოქმედება. ეს „ენზიმები“ დაშლიან უფრო მარტივ ნივთიერებათა ზეთს, ერბოს და განსაკუთრებით შაქარს, რომელთაც ნელ-ნელა სწვავს ცოცხალ ბალაზმებში არსებული მჟავბადე. ეს მჟავბადე განთავისუფლებული იქნება უჯრედის წვენის სხვა ენზიმებისაგან (იმათ პალლადინი უწოდებს სასუნთქავ ხრომოგენებს ანუ ფოტოგემატინებს). ამ სახით სასუნთქავი ხრომოგენები ცხოველებში სისხლის წითელ შემდებელ ნივთიერების საშუალთ ასრულებენ. ახლა გამოკვლევით ისინი აღმოჩნდენ სუნნელოვან ნივთიერებად, რაც გაჩნდა ნახშირბადეებიდან; ისინი უფერული დარჩებიან იმ დრომდის, ვიდრე არ დამჟავდებიან დამკანგავ ენზიმით. შემდეგ ისინი იღებებიან წითლად, მუქ-მიხაკის ფერად ან იის ფერად და ამ სახით დიდი ხანია ცნობილია უჯრედის წითელ წვენის ან ანტოციანის სახელით.

მაგრამ რაკი ისინი ადვილად ფანტავენ ოჟიანთს მჟავბადეს, ამიტომ ეს უკანასკნელი არ გროვდება ცოცხალ მცენარეში, რის გამო მას აქვს უფერო სისხლი, როგორც დაბალ ცხოველებს.

ასეთია პალლადინის თეორია. მისი გამოკვლევა ბევრჯელ იქმნა დამტკიცებული და ჩვენც უნდა ალვიაროთ, რომ კიდევ ეროს მეზღვაში იჩინა თავი ცხოველებისა და მცენარეთა შორის მსგავსებამ.

მაგრამ ამ მცენარეთა სისხლს ბევრი რამ შეუძლია უამბოს ბუნების მეტეველს სხვა ბევრის რისამე შესახებაც, რადგანაც ანტოციანი,—ეს ძველი და კარგი ნაცნობია. ტეო-

სა და მთების ფურისულას (Anemone) მშვენიერი ვარდის ფერი, ცივ კავკასიის დდეებში წითლად შეღებვა მრავალ კვირტებისა, დიდებულად დაფერადებს შემოდგომის ტყისა — ყველა ეს მეტ-ნაკლებობით აიხსნება ამ უჯრედთა წითელი წვენით. დღემდის არ იცოდენ საიდგან და როგორ ჩნდებოდა ეს; მხოლოდ ხედავდენ, რომ ის თავს იჩენდა მცენარეთა ნაზ ნაწილებში და აგრეთვე საზოგადოთ ცივს დღეებში და ამის მიხედვითაც განმარტავდენ. ის მიაჩნდათ მცენარის დასაფარავ საშუალებად ეინვებისაგან. მაგრამ ამისთანა განმარტება ეოველითვის არ ეარგოდა. იმათ არ შეეძლოთ აეხსნათ ფოთლების ჭრელად აფერადება, ესრედ წოდებული „სისხლიან“ წიფლების და კაკლის ბუჩქების კაჩენა და სხ. ეხლა კი შესაძლებელია ამ მოვლენათა განმარტება.

თუ დანაწილების, დაშლის-პროცესი ძლიერია, გროვდებიან საუნთქავი ბიგმენტები და და ჭქმნიან ფერს. ამას ადგილი აქვს შემოდგომაზედ ტყეში.

ძლიერად მსუნთქავი მცენარეთა ნაწილებიც ამ მდგომარეობაში არიან. სახელდობრ „სისხლი უწითლების ლოეების“ ახალგაზრდა, მოწითალოს ან ისამინის ყლორტების. სიტივე იწვევს აჩქარებულს სუნთქვას, როგორც ადამიანში, რომელიც ამის გამო „თბება“. მცენარეებსაც ეს ემართება. ის გაძლიერებულად სუნთქავს სიცივეში და სუნთქვის სითბოთი თავს იფარავს სიცივისაგან და იმ „მიზეზი“ კი არა, რაც ამდენ ხანს გვეგონა, არამედ გარეშე მოგლენაა იმისი, რომ ეკვილთა თეთრი ვარსკვლავები მშვენიერად წითლდება გაზაფხულის უინვიან დღეების შემდეგ.

შეიძლება მოვახდინოთ წინააღმდეგი ცდა და „მოგუსხოთ სუნთქვა“, რაც შეგვიძლია ნარეოზის საშუალებით. წითელი ეკვილების კოკრები, რომლებიც რამდენიმე ხნით ნარეოზის გავლენის ქვეშ იმეოფებოდა, გაიშლება სრულიად თეთრად.

ამ ახალს დებულებას მივეეკვართ საოცარს, მაგრამ შეჩვეულს ცნობამდის. ეველა მებაღემ იცის, რომ მცენარის გაჭრილ ადგილზე ადვილად ჩნდება „წითელი სისხლის ლაქები“ (იმას ხშირად ნახავთ ვარდის ტოტებზე და ეოთოლებზე). ეხლა ჩვენ ვიცით, რომ ეს არათუ მხატვრული გამოთქმაა, რომ მცენარე დაჭრის შემდეგ უფრო ძლიერად სუნთქავს, რისგამო მისი სისხლი ეცხება მრავალი მაგბადით, ზედმეტს ინახვენ სასუნთქავი ბიგმენტები, რაც დებავს მათ წითლად.

გეგონია ამ ახალი გამოკვლევის წყალობით მცენარეები უფრო გვიახლოვდებიან და საკვარელნი ხდებიან ჩვენთვის, რადგან მის გამოურკვეველს და საკვირველს ცხოვრებაში ხელახლად გაიბმის ძაფი ადამიანთან მსგავსებისა. და დრმა სიბრძნეაა განმტკიცებული ერთი ჩვენი გონიერი მოაზრის სიტყვები: დასასრულ ქვეყნიერებაზედ ადამიანს მხოლოდ თავის თავი უყვარს, რადგანაც ეველაფერი მისთვის იმდენად ძვირფასია, რამდენადაც მას ჰგავს და მასსავით გრძნობს.

პატარა საიდუმლოება

(ვუძღვნი აკაკის)

ლიდის ხნის საიდუმლოებას ვამჟღავნებ. ორმოც წელზე მეტმა გაენვლო მას უკან, რაც მოხდა ის ამბავი, რომელსაც ეხლა ამოიკითხავთ. ამბავი ესე მოხდა სწორედ ისე, როგორც არის აწერილი. ამ აღწერაში იოტის ოდენა საარაკო წვრილმანიც კი არ მოიპოვება. მარტივს, ხალასს სიმართლეს მოგითხრობთ. ის მომქმედნი სულიერნი, რომელნიც ამ მოთხრობაში არიან მოხსენებულნი, ზოგნი, მთავარნი, უკვე განისვენებენ წიაღსა შინა აბრაამისასა, ზოგნი კი, მოწმენი, ჯერ-ჯერობით სტკებიან მზის ამოსვლითა და ჩასვლითა.—

შიგ შუაგულს თბილისში სამოც და მეათე წლებში არსებობდა ერთი ხუთკლასიანი სასწავლებელი, რომლის მთავარი მმართველობა იყო ერთის განსაკუთრებულის საგამგებლოს (вѣдомство) ხელში, რომელიც მოქმედებდა განსაკუთრებულის საკრებულოს შუამავლობით. ამ სასწავლებლის უფროსად იყო ერთი ქართველი პედაგოგი, ამორჩეული ამ თანამდებობაზე მშობელთა კრებულის მიერ. ეს უფლება მაშინ მინიჭებული ჰქონდა მშობელთა კრებულსა, ანუ წოდების წარმომადგენლებსა, შემდეგ კი ჩამოართვეს და სასწავლებლის უფროსის ამორჩევა და გამწესება ბიუროკრატიულს წესს დაუმორჩილეს. ეს უფროსი სასწავლებლისა ჩემი მახლობელი მეგობარი იყო, იმდენად მახლობელი, რომ დაჯარული ჩემგან არასფერი არ ჰქონდა და მის აზრებსა და მოქმედებებსა ისევე კარგად ვიცნობდი, როგორც საკუთარსა.

ადგილობრივმა მთავარმა გამგებლობამ მოიწადინა საკუთარი სახლი შეეძინა ხსენებულის სასწავლებლისათვის და მისი პანსიონისთვის და ეს თვისი წადილი სწრაფად, შიკრიკულად მიიყვანა განხორციელების კარამდინ. იგი ერთს სახლის პატრონს, სამხედრო პირს, შეეკრა პირობით; რომლის ძალით ორ-სართულიანს სახლში უნდა მიეცა ორმოც და ხუთი ათასი მანეთი. ერთს მშვენიერს დღეს ჩემი მეგობარი დაიბარეს საკრებულოში, წაუკითხეს ხელშეკრულება და მოსთხოვეს, რომ მასაც ხელი მოეწერა, როგორც უფროსს იმ სასწავლებლისას, რომლისათვისაც ყიდულობდნენ ამ სახლსა. მან საკრებულოს მოახსენა: მე ის სახლი არ მინახავს, სრულიად არაფერი ვიცი მისი, არ ვიცი, რამდენად შეესაბამება ჩვენის სასწავლებლის მოთხოვნილებათა. დღესვე ვინახულებ, კარგად გავშინჯავ, და თუ ხელსაყრელი აღმოჩნდა, ხვალ გიახლებით და ხელსაც მოვაწერ. ეხლა კი თანხმობის გამოცხადება არ შემიძლიან.—

როგორ? ჩვენ არ გვენდობი? ჩვენ ორმა წევრმა კრებულისამ, ამისთანა საქმეებში ზედმიწევნით გამოცდილმა, კარგად გავშინჯეთ, ავიღ-დავიღეთ, სახლი მოვიწონეთ და რაღა ნახვა უნდა თქვენი. ამისთანა საქმეში თქვენს თავს უფრო ნაკლებად უნდა ენდობოდეთ, ვიდრე ჩვენა.—ნდობაზე არ გახლავთ საქმე, მიუგო მან: თვითონ ჩემს თავსაც სავსებით არ ვენდობი ამ საქმეში. მე უსათუოდ თან წავიყვან ექიმსაც. ერთად გავშინჯავთ და თუ ჩვენი გადაწყვეტილება შეეთანხმება თქვენსას, ხელის მოწერას ერთს წუთსაც არ დავაგვიანებ.—

დამავიწყდა მეთქვა, რომ ჩემს მეგობარს, გადამეტებულის პირდაპირობის გამო, ორპირანი გასწორაძეს ეძახდნენ. ჩვენც ეს შემოკლებული სახელი გამოვიყენოთ შემდეგს სტრიქონებში.

გასწორაძე გამოვიდა საკრებულოდან, მაშ ნვე გაეჩქარა ხსენებული სახლისაკენ, გაშინჯა და სახტად დარჩა. სახლი აღ მოჩნდა მომცრო, დაძველებული, იპყრობდა ექვსს პატარა ოთახს ქვემო სართულში, ამდენსავე ზემო სართულში, სიმაღლე კედლებისა ოთხს არშინს ძლივს აღემატებოდა; ამასთან ეზო ჰქონდა პატარა და გარშემო სულ ბინძური ხალხი ცხოვრობდა. თოფ-ნაკრავივით გამობრუნდა, გაეჩქარა ექიმ საბ—ვთან და სახლის გასაშინჯად მოიყვანა. მანაც შეუფერებლად იცნო ეს სახლი სასწავლებლისათვის.

მეორე დღეს გასწორაძე გამოცხადდა საკრებულოში და მოახსენა: სახლი კარგად გავშინჯეთ მეც და ექიმმაცა, იგი ისე პატარაა, რომ სასწავლებლის კლასები ძლივს დაეტევა, შეკეთებას ბლომად მოითხოვს, პანსიონისათვის სხვა სადგურის დაქერა დაგვჭირდება; სახლი ბინძურს ადგილას არის და ბარეშემოც უსუფთაო ხალხი სცხოვრობს. იგი იმის ნახევარ ფასადაც არა ღირს, რადაც დაუფასებია სახლის პატრონსა. ამის გამო მაგ ხელშეკრულებაზე ხელს ვერ მოვაწერ, და უნდა სხვა სახლი ვეძებოთ.

გვესმის, კარგად გვესმის, ბრაზიანად უპასუხეს. ის სახლი ეკუთვნის რუსსა—გარშემო სულ რუსები სცხოვრობენ და თქვენისთანა სეპარატისტს რად მოეწონება იგი. მაგრამ უთქვენოდაც კარგად მოვიყვანთ სისრულეში ჩვენს გადაწყვეტილებას, მრისხანეთ მიაძახეს წევრებმა და მტრულად გამოისტუმრეს უხათრო მოწინააღმდეგე.—.

იმავე დღეს საღამოზე გასწორაძის სადგურში გაჩნდა ერთი მოხუცი დეკ—ი, მიესალმა მომსყიდველი ღიმილით და უთხრა: მე მეგობრული, ნამდვილი მეგობრული, რჩევისათვის გიახელით. მე მაკვირვებს თქვენი ურჩობა სახლის სყიდვის საქმეში. თქვენზე უფროსნი და ძლიერნი საქმეს აკეთებენ და თქვენ კი წინააღმდეგობას უწევთ, ხელს უცარავთ. განა ცოტა მტერი გყავთ თქვენის გასწორ-გასწორობის წყალობით, რომ კიდევ იძენთ ახალს საშიშარს მტრებსა? სახლი ძვირიაო, იმის ნახევრად არა ღირსო, რასაც აძლევენო, ამბობთ თურმე. მერე და თქვენი რა იხარჯება? ხაზინას განა ცოტა ფული აქვს, რომ დარაჯად უდგებით მის სალაროს ხელუხლებლობასა? თუ სახლის პატრონს მეტს არ მისცემენ, მაშ საიდან დაასაჩუქროს მან ის ორი წევრი საკრებულოსი ხუთას-ხუთასი თუმნითა? თქვენ იტყვით, ეგ ხომ საძაგელი ქრთამიაო. მოითმინეთ ცოტა და კარგად ჩაუფიქრდით გარემოებას. ის წევრები კარგს ცხოვრებას არიან ჩვეულნი, ჯამაგირი კი ნაკლები აქვთ. როგორ იცხოვრებენ შესაფერად, თუ თავისი გარჯისათვის საჩუქრებს არ მიიღებენ. მოუმატებინეთ ჯამაგირები, ხაზინამ მეტი ფული ხარჯოს მოხელეებზე და მაშინ თავის-თავად მოისპობა საჩუქრებიც და ქრთამებიც. მოდით— თქვენც ჭკუით მოიქეცით და ჯიუტობას თავი დაანებეთ. სახლის პატრონი თავისი ცოლ-შვილით ჩრდილო სამშობლოში აპირობს სამუდამოდ გადასახლებას და სახლს ამის გამო ჰყიდის. თითქმის მომზადებულია წასასვლელად. ნუ შეუშლით ხელსა, ნუ ჩააგდებთ მთელს სახლობას ცუდ მდგომარეობაში,—გაიხსენეთ თქვენ მცირე ჯამაგირი, ცარიელი ჯიბე და თქვენც საჩუქრად მიიღეთ მის-

გან ხუთასი თუმანი. ამ ფულს ხვალვე მოგიტანთ და თან წამოვიღებ იმ ხელშეკრულობას, რომელზედაც მოაწერთ ხელს ფულის მიღების დროსა. მთავრობაც მადლიერი დაგრჩება, სახლის პატრონიც, მეცა და თქვენი ცარიელი ჯიბეცა.

ამ უსირცხო წინადადებამ ისე აღაშფოთა გასწორაძე, რომ მან, აღელვებულმა დაუყვირა: თქვენ მაცთურის მოხერხებულობა ზედმიწევნით შეგისწავლიათ. ეგ თქვენი ნიჭი გამოიყენეთ სხვა დროს და სხვა სულიერებთან. მე კი თავი დამანებეთ და გამეცალეთ აქედან. ეგ ხუთასი თუმანი თქვენ თვითონ ასწაპნეთ და უვარგის სახლის შესყიდვას დიდს ფასში „უანგაროდ“ ხელი მოუმართეთ. წამოიჭრა გასწორაძე ფეხზე, მოავლო ხელი მაცდურს და გამოდევნა თავისი სადგურიდან.

შუაკაცი არ წავიდა არც საკრებულოში, არც სახლის პატრონთან და არც თავისს ბინაზე. იგი გაეჩქარა ერთის ქართველის ლიტერატორისაკენ, რომელიც მას ცოლის მხრივ ნათესავად მოხვდებოდა. ეს ბრძანდებოდა ან. ფ—ძე. ჩვენი შუაკაცი შეფუცხუნებული შევიდა მასთან და ჯერ ისევ ფეხზე მდგომმა სხაპა-სხუპით დაიწყო: ვერ წარმოიდგენ, ჩემო ანტონ, რა ოინი დამიწია თქვენმა კარგმა ნაცნობმა გასწორაძემ! მე მივედი მასთან მეტად კეთილი განზრახვით, მეგობრული რჩევით, რომლის შესრულება მას დაასაჩუქრებდა ხუთასი თუმნით და დააჯილდოებდა მთავრობის მადლობით, და იცით რითი გადამიხადა ეს სიკეთე? უკიდურესი შეურაცყოფა მიაყენა ამ ჩემ ჯაღარასა, მაცთურს ეშმაკს დამამგზავსა და სახლიდან ბრიყულად გამომაგდო. და დაწვრილებით უამბო თავისი მოლაპარაკების ყოველი გარემოება. ბოლოს დასძინა: ჩემო ანტონ, გეთაყვა ჩაერიე ამ კეთილ საქმეში, ინახულე ის შენი კარგი ნაცნობი, ჰკუაზე მოიყვანე და დაითანხმე მასზე, რის შესახებ მე ისეთი ბრიყული უარი მტკიცა. ამ ოთი შენ სასარგებლო საქმესაც ხელს მოუწყობ, ბევრს მოიმადლიერებ და მეც მეტად დამავალებ.

როგორ? შესძახა ცხარედ ანტონმა, შენ მეც ქრთამის აღებაში მონაწილედ უნდა გამხადო? რას ჰგავს ეგ შენი საქციელი? როგორ გეკადრება!—

— ნუ ცხარობ, კარგად ჩაფიქრდი, უპასუხა მაცდურმა. ქრთამიც არის და ქრთამიცა. მე რომ ერთისაგან ქრთამი ავიღო და მეორეს ვნება მივაყენო, ეს, რა საკვირველია, საძაგლობა იქნება. მაგრამ სულ სხვაა, როცა ხაზინის ფულს ჯილდოდ იღებენ და საქმეს აკეთებენ, და სწორედ ეს უკანასკნელი შემთხვევაა აწინდელს მაგალითში.

— მერე და ვინ მიაშავა ხაზინას საკუთარი ფული? უპასუხა ანტონმა. ხაზინა არც ხნავს, არც თესავს, არც მკის, არც ლეწავს და ერთი ბისტიც არ აბადია თავისით მოპოებული. მთელი ფული ხაზინისა ხალხის ოფლით შეძენილს სიმდიდრეს შეადგენს. და ვინც ხაზინიდან ქრთამს იღებს, იგი სცარცვავს თვით ხალხსა და არა მთავრობასა. ეს უბრალო ჭეშმარიტება ვერ შეგიგნია უმთავრესად იმის გამო, რომ გამრყვნელს სოფისტიკაში ყოფილხარ ჩათრეული სოფისტების წრეში. მაგრამ მაგ თქვენმა სოფისტიკამ ჩემზე სრულიად სხვანაირად გასჭრა. ხვალვე ვინახულებ ჩვენს პედაგოგს, ვუამბობ, რაც ჩვენ შორის ითქვა დღესა, და დიდს ქებას ვუძღვნი სამაგალითო საქციელისათვის. და ასეც მოხდა.—

საკრებულოს და მის დამქაშებს მაინც იმედი ჰქონდათ, რომ გასწორაძე გონს მოვიდოდა და ბოლოს გადაწყვეტილება-

ზე ხელს მოაწერდა; მაგრამ შესაძლებელი იყო ისიც, რომ მის მიერ ხელმოუწერელიც გაეგზავნათ დიდი უფროსისათვის, დაემტკიცებინებინათ და საქმე საბოლოოდ წამხდარიყო. ამიტომ გასწორაძე თავის მხრივ უნდა დაჩქარებულიყო და საწინააღმდეგო მოხსენება დაუყონებლივ წარედგინა. პირადად დიდი უფროსის ნახვა მას არ შეეძლო, რადგანაც იგი სააგარაკოდ იყო გასული თბილისიდან. იძულებული იყო ვრცელი მოხსენება გაეგზავნა ფოსტით სააგარაკო ადგილს დიდი ბატონისათვის. ამ მოხსენებაში იგი არკვევდა სახლის სიმცირეს და სიძველეს, სიძვირეს, ანტი-ჰიგიენურს პირობებს, სიბინძურეს გარშემო მცხოვრებლებისას, რომელნიც შესდგებოდნენ მხოლოდ ბებერის, ხშირად ლოთი სალდათებისა და მრეცხავ დედა-კაცებისაგან. ნათქვამი იყო ხაზგასმით ისიც, რომ ამ სახლში ძლივს მოთავსდება კლასები უფროსის სადგურით, და პანსიონისთვის საჭირო იქმნება მეორე სახლის დაქირავება. მოყვანილი იყო ექიმის აზრიც სახლის შეუსაბამობაზე. მოხსენება თავდებობდა ასე: თუ საკრებულო თავისას ჯერ დაიშლის და თქვენ დაგამტკიცებინებთ თავისს გადაწყვეტილებას სახლის მოპოების შესახებ, მე იძულებული ვიქნები სამსახურს თავი დავანებო და ეს მიზეზი ჩემი სამსახურიდან გამოსვლისა უმაღლეს მთავრობას ვაცნობო... ამ მოხსენებამ გასჭრა და საქმე მთლად ჩაშალა.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა უკიდურესი სიბრაზით აღივსებოდნენ გასწორაძის წინააღმდეგ ისინი, რომელთაც სრული იმედი ჰქონდათ, რომ მათ ჯიბეს ხუთას-ხუთასი თუმანი მიემატებოდა. ჩვეულებრივს მდგომარეობაში ბრაზით აღვსილნი ვაჟ-ბატონები რაიმე ძლიერს ხერხს იხმარდნენ დასასჯელად ჯიუტი მოწინააღმდეგისა; მაგრამ ერთმა არა ჩვეულებრივმა გარემოებამ იძულებული გახადა შურის ძიება სხვა დროსათვის გადაედოთ. ეს ახალი გარემოება მდგომარეობდა შემდეგში: იმის წინად გასწორაძის სასწავლებელს რევიზია უყო უმაღლესი მთავრობის მიერ გამოგზავნილმა რევიზორმა, ჩამომავლობით უკრაინელმა, ნახა იგი ჩინებულს მდგომარეობაში და დაადარა საუკეთესო სასწავლებლებს იმავე ტიპისას შიდა რუსეთში. რევიზიის შემდეგ ადგილობრივს მთავრობას მოუვიდა წინადადება პეტერბურგიდან—გასწორაძე ჯილდოზე წარმოადგინეთო. განათლების მეთაურმა რუსეთში თავისს უქვეშევრდომილს მოხსენებაში გასწორაძე სრული ქებით მოიხსენია. და სწორედ ამ გარემოებამ შეგოჭა მთლად შურისძიება, მაგრამ მხოლოდ დროებითა.

მოკლე ხნის განმავლობაში გასწორაძის მტრების რიცხვმა იმატა უმთავრესად იმავე „უანგარო“ ნიადაგზე, რომელსაც ზედ დაემატა შური სხვა ვაჟბატონებისაც, გამოწვეული რევიზორის ქებით. ამათ არა ერთი დაბეზღების წერილი გაგზავნეს პეტერბურგს გასწორაძის და სხვა ქართველი პედაგოგების წინააღმდეგ, რომელთაც პოლიტიკურს ორგანიზაციას და სეპარატიზმს სწამებდნენ. პეტერბურგიდან მოვიდა ახალი რევიზორი, მხოლოდ არა უკრაინელი, არამედ დაბავსებული რეტროგრადი ველიკოროსთაგანი, რომლებსაც უკრაინელები **კაცაპებს** ეძახიან. ამ კაცაპმა თავისს რევიზიას სრულიად სხვა მიმართულება მისცა. მან ამ ბოხების და სეპარატიზმის აღმოჩენა დაიდო მიზნად და სავსებით ეწია გულის წადილს. გამოსჩხრიკა, რომ გასწორაძე თავისს საგნებს მეოთხე კლასში ჯერ ქართულად ასწავლიდა და მერმე რუსულად;

რაც კანონს პირდაპირ ეწინააღმდეგებაო. მიმართულებაც თავისს სასწავლებელს საერო მისცა, ნაცვლად წინანდელის სასულიერო მიმართულებისა,—ჩაიგდო ხელში ბიბლიოთეკა, რომელიც საერთო იყო ორი სასწავლებლისათვის, დაბალისა და საშუალოსათვის, გაავსო ეს ბიბლიოთეკა ლიბერალური და რადიკალური თხუზულებებით და დაწყებინა მათი ხშირი კითხვა უფროსი კლასების მოწაფეებს, რის გამოც მათ შორის მეტად შესუსტდა წინანდელი კონსერვატური და კეთილ-მსახურებითი მიმართულება და გაძლიერდა ლიბერალიზმი და რადიკალიზმი. ქართული ენა, რომელიც მანამდინ იმდენად უყურადღებოდ იყო დატოვებული მთავრობისა, მშობლებისა და თვით მოწაფეების მიერ, რომ არც ერთი გაკვეთილი არ ჰქონდა მას დათმობილი მთელს საშუალო სასწავლებელში, იმდენად შეაკვარა მოსწავლეებს, რომ მთელმა საშუალო სასწავლებელმა, ყველა კლასებმა საერთოთ არძა მიართვეს მთავრობას—ქართულის ენის ვრცელი კათედრა დაგვიარსეო. ამ გვარს მოთხოვნას ადგილი არა ჰქონდაო მთელის სამოცის წლის განმავლობაში, მასუკან, რაც დაარსდა ეს საშუალო სასწავლებელიო. ამ ფაკტებს, რომელსაც მხოლოდ შავრაზმელი კაკაპი იცნობდა მიუტევებელ დანაშაულებად, მან დაუმატა ხალასი უნამუსო ჭორები გასწორაძის სეპარტიზმზე, რომელსაც უხვად უგზავნიდნენ ზემოხსენებულნი „უანგარო“ წევრნი კრებულისა და სხვა მოავენი ჩვენი პედაგოგისა, და მოიხოვა გასწორაძის დათხოვნა სამსახურიდან მიზეზის დაუსახელებლივ. ეს მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ იქმნა მთავრობისგან და გასწორაძემ ადგილი დაჰკარგა და ისიც მაშინ, როდესაც სერიოზულად იყო ავად ფილტვებით, უკიდურესი დაქანცულობით და სამკურნალოში იწვა.

გასწორაძეს თუმცა თანამდებობაში ყოფნის დროს ჯამაგირი ბლომად ჰქონდა, როგორც მმართველს მთელის სასწავლებლისას და მასწავლებელს, და ამასთან ხუთ-ოთახიანია სახაზინო სადგური ეჭირა მუქთი მოსამსახურით და შეშით, მაგრამ ჯიბე კი მთლად ცარიელი ჰქონდა. იგი თავისს ჯამაგირს უმეტესად ახარჯავდა ღარიბს მოწაფეებს, ღარიბს ნათესავებს, საზოგადო საქმეებს და სრულად არა ფიქრობდა, რომ ოდესმე იგი სამსახურიდან გარიყული იქნებოდა და სახსარი ცხოვრებისა მოაკლდებოდა.

ამ სიღარიბემ, სამკურნალოდან გამოსვლის შემდეგ, იგი იძულებული გახადა **კალიუჩი-ბალკაში**, ვერაზე, სამ მანეთიანი ოთახი თვეში დაექირავებინა და იქ დაბინავებულიყო. სწორედ ამ სადგურში მას საქალაქო ფოჩტით მიუვიდა შემდეგი მოკლე ბარათი: „ჩემი მეგობრული რჩევა და გაფრთხილება არ შეისმინეთ და ახლა დასტკბით იმ სიმწარით, რომელიც წილად გარგუნა თქვენმა ჯიუტმა ხასიათმა. სწორედ თქვენისთანაზე არის ნათქვამი: რაც მოგივა დავითაო, ეგ სულ შენი თავითაო. მხოლოდ ნუ იფიქრებთ, რომ ამ სტრიქონების დამწერს რაიმე მონაწილეობა მიეღოს თქვენს უკიდურესს უბედურებაში“.—ბარათს ხელი არ ეწერა; მაგრამ ვისგან იყო იგი გამოგზავნილი, ადვილად გამოიცნობდა კაკი.

მხოლოდ ძლიერ შემცდარი ბრძანდებოდა მოკიჟინე, როდესაც ამ ხიფათში ხედავდა რალაც საშინელს უბედურობასა. წინააღმდეგ ამისა, გასწორაძეს ამ ხიფათმა შესძინა ისეთი შინაგანი, სულიერი საუნჯე, რომელიც ყველა საუნჯეზე უძვირფასესია. როცა მის თანადასწრებით, მისი სამსახურის დროს, ამხანაგები იწ-

ყებდნენ ხოლმე კიცხვას და შეჩვენებას ქრთამისას და მოქრთამეებისას, იგი იტყოდა ხოლმე: მექრთამის შეჩვენება შეუძლია მხოლოდ მას, ვისაც მარჯვე შემთხვევა ჰქონდა უშიშრად და უვნებლად ქრთამი აეღო და ზიზღით მან უარჰყო იგი. უპატიოსნობა სხვას შეუძლიან უკიჟინოს მხოლოდ იმან, ვინც საძირკვლიანი გამოცდილებით მტკიცედ არის დარწმუნებული თავისს შეურყეველს პატიოსნებაში.

გასწორაძე აქ აღწერილმა შემთხვევამ და ხიფათმა სრულიად და სავსებით დააჯერა, რომ იგი მტკიცედ და შეურყევლად იდგა მოვალეობის და პატიოსნების გზაზე და ამ გრძნობამ იგი აღავსო გამოუთქმელი სულიერი სიტკბოებით. ესეთი სულის მდგომარეობა აღმოჩნდა უძლიერესი ყოველს წამალზე ხშირი ავადმყოფობის წინააღმდეგ. ამ ინტენსიურმა ზნეობრივმა სიტკბოებამ ბევრად მეტი აცოცხლა და გააკეთებინა, ვიდრე იგი იცოცხლებდა და გააკეთებდა, თუნდაც რომ იგი სავსე ყოფილიყო ჩინებით, ორდენებით, პენსიით და ოქროთი. ბიუროკრატიას მან იოტის ოდენაც არაფერი დაუთმო, პედაგოგიურს პრინციპებს სისტემატიურად და შეუპოვრად იცავდა მრავალის წლის განმავლობაში, საკმარისი სახსარი ცხოვრებისა სწორე გზით მოიპოვა და სრული დამოუკიდებლობით მოქმედებდა, სცხოვრობდა და... სცხოვრობს.

მოგწონს, ჩემო მკითხველო, ეს შედეგი შეუპოვრობისა, მოვალეობის მტკიცედ აღსრულებისა? თუ მოგწონს, შენც დაადექი გადაუხვევლად იმავე გზასა და დარწმუნებული იყავი, რომ იგი მოგანიჭებს შენც ყოვლად ღირსებულსა და საშურველს არსებობასა.

ეხლა წარმოიდგინე, ჩემო კეთილო მკითხველო, რომ მოვალეობა ხატად და კერპად მარტო შენ კი არ დაისახო, არამედ ყოველმა ქართველმა, ქალმა და კაცმა, ძირითად თავის მცნებად აღიაროს იგი და მოვალეობას არავითარ გარემობაში არ უღალატოს. რას შესძენს ესეთი ქართველთა ცვლილება მთელს ჩვენს ქვეყანას? ამის მკაფიო და მტერმეტყველურს პასუხს იძლევა ერთი ახალი ისტორიული ფაკტი ევროპის ცხოვრებიდან.

ასის წლის წინად სლავიანთა ქვეყანა ჩეხია ისეთსავე დაცემულობას განიცდიდა, როგორითაც ეტანჯება ეხლა ჩვენი ბედკრული სამშობლო. ხსნა არსაიდან ჩანდა. სასოწარკვეთილება თითქმის მთლად გამეფებული იყო მთელს ჩეხიაში; ყველა წოდებაში. ამ შემხუთავს ატმოსფერაში უცებ გაისმა მამულიშვილების ძლიერი ხმა: ჩვენი ხსნა ჩვენსავე ხელშია. საკმარისია უბრალო რამ: ყოველმა ჩეხმა ფიცი დასდოს თავის წინაშე, რომ იგი გახდება შეუპოვარი აღმასრულებელი თვისი მოქალაქობრივი მოვალეობისა, და ახლო მომავალში ამას მოჰყვება შედეგად: აღდგომა, აღორძინება და თავისუფლება ჩვენის ახლა მიწასთან გასწორებულის ქვეყნისაო. ამ ხმამ ჰიპნოტურის ძლიერებით იმოქმედა ჩეხელებზე, შესცვალა მათი ფსიხიური მდგომარეობა, გაამეფა მათ შორის სამოქალაქო მოვალეობა, ქვეყნის უერთგულესი სამსახური, და ნაყოფად ამას მოჰყვა ის, რომ ახლა ჩეხია უბედნიერესი ქვეყანაა სლავიანთა ერთა შორის და ბრწყინვალე მომავლის იმედით სავსე. თუ ქართველობაც ამავე გზას დაადგება, ხატად და კერპად იწამებს მოვალეობას ქვეყნის წინაშე და ამ მოვალეობას მხნედ და შეურყეველად ემსახურება, ჩვენი დაცემული სამშობლოც წამოდგება ზეზე, წელში გაიმართება, წარმატებისა და წინ სვლის გზას მტკიცედ დაადგება და ნათელი მომავალიც მას გაუღიმებს ისევე, როგორც უღიმის ჩეხიასა.—

იაკობ გოგებაშვილი.

აკაკი

სიმღერა

(გუძღვნი აკაკის)

თუმც მოხუცდა, მაგრამ ისევ
გრძნობითა ელერს მისი ჩანგი.
ფაქიზს ტრფობა-სიყვარულსა
კვლავ ადიდებს უცხო ჰანგი.

—

თამარს წერილს აწერინებს...
შუქურას კი მოწმად სახავს,
რომ „უწყალო გულის ძგერას
ველარ უძლებს“ — და ის სტანჯავს.

—

რუსთაველსა „ველად გაპრილს“
ათქმევინებს „გულის ნადებს“;
მას თამარის საპასუხოდ
„ვეფხვ-ტყაოსანს“ აწერინებს...

—

შენ მგოსანო?!.. შენც ხომ იწვი
ამ დიადი სიყვარულით?...
ნეტავ როდის გაგახარებს
სატრფო შენი თვის წერილით?!

—

ან შენს „წერილს“ გულს მიიკრავს,
ფიქრს-ოცნებას მიგიხვდება
და გაზაფხულს სანეტაროს
პირ-მზიმარე დაუხვდება!

ილ. რუხაძე.

აკაკის*)

საქართველო არის ყანა,
ღვთის წილია ეს ქვეყანა,
ათასჯერაც-კი იმას ერმა
სისხლით პირი გადაბანა!

—

წმიდა ნინომ ჯვარი უძღვნა,
თამარ დიდმა—ძლიერმა,
ქეთევანმაც მოწმობისა
წმიდა სისხლით ზიარება!..

—

ამ მთიებთა სამიამ
გაუწმინდა ყანას გული,
იფქლი სთესა, საზრდოთ მისცა
ეროვნული ნაკადული.

—

მაგრამ მეზვრემ უღალატა,
მოიხმარა ნდობა ავად
და ნაღვაწი წმინდა იფქლი
გარდუქცია კუროს თავად.

—

და როცა შენ მოევლინე
იმ დიდს ყანას სამუშაოდ,
ვერც კი იცან,—დედინაცვალს
წაებილწა საარაკოდ!..

—

ელდა გეცა, როს შენიშნე
ხორბლის გვერდით შენ ჭინჭარი,
შეკრთი, შეძრწი, აქვითინდი,
დაანთხიე ცრემლის ღვარი!..

—

გონს რომ მოხველ, სთქვი: „არ-ვარგა
ტირილი და ვაებაო,
ეხლა მმართებს მე გმირობა
და ჭირთან გამკლავებაო!“

—

დაიმკლავე, დაიშუშხე
ხელით ჭგლიჯე ის ჭინჭრები,
დედინაცვლის შრატის ნაცვლად
ყანას ასვი წმინდა წყლები.
და ჯეჯილმაც როს იგემა
დედის ტკბილი ნაკადული,
გამოცოცხლდა, აღაღანდა
მოგვცა უხვი ჭინახული!

—

ამ ყანაში ერთი მეც ვარ,—
მცირედი ვარ სხვებში თუმცა;—
მოწამე ვარ შენი ღვაწლის,
ვიცი, რამაც მოგახუცა!

—

კურთხეული არს სიბრძნე ცისა,
შენ რომ ჩვენსკენ გამოგგზავნა!..
მსხვერპლადაც რომ შეგეწიროთ,
ჩვენგან არ გეკუთვნის განა?!

—

ეხლა მომაქვს მე ანდერძი,
ჯეჯილების დანაბარი:
„გეფიცებით შენს ჭაღარას,—
მოწმად გყავდეს მთა და ბარი,—
სულ ვსვამთ „ეროვნების წყაროს“,
არ ვიგემებთ „ბინძურ შრატსა“!
არ დავაგდებთ ჩვენ შენსა კვალს,
არც ვახარებთ მთაზე ბარსა!..

—

გავიზრდებით, თავს დავისხამთ,
კი გავარჩევთ კარგს და ავსა
და თუ ერი მოგვთხოვს ზვარაკს,
ქართველურად დავდებთ თავსა!..

ტონკმელი.

---

*) წარმოთქმულია ქ. ფოთში საიუბილეო სადილზე.

ცრუპენტელა აღმზრდელი *)

ნაწილი მეორე

I

ერვირა დღე იყო. რამდენიმე ტოლ-ამხანაგებმა მოვიყარეთ თავი-თავს მშვილდ ისრებით, ბოძალდებით, შეიარაღებულებმა, ვისაც არც მშვილდ-ისარი ჰქონდა, არც ბოძალდი, იმათ კომბლები ერეკთ წელში და ვდევდით ჩიტებსა, ბოძალდებით შეიარაღებულნი ნამდვილ მონადირეებს ვგვანდით, რადგან ბოძალდი თოფსა ჰგავს; კონტახით გამართული, რაზედაც მშვილდია დაკრული,—ფეზზედაც შემოდგება, დასასხლეტიც აქვს. ასე რომ თოფს ბევრში არ დაუვარდებოდა ჩვენის ფიქრით. მე, რადგანაც ნამდვილი ზროები (რკინისაა, ისრის წვერზე დასაგები) არა მქონდა, თუნუქისა გავაკეთე. რამდენიმე ჩიტი,—შაშვი ვინადირე; თუნუქოთ ისრის წვერები არაფერს იშლიდა, თავის დანიშნულებას კარგად ასრულებდა. ტყეებს და ტყის პირებს ვიყავით მოდებულნი, იქვე სოფლის ახლო, რომ მოულოდნელად თავზე წავადექით ციხელს. გზის პირას იჯდა, მელოტი გუდა მოეხადნა, წინ დაეფინა, ზედ ქერის კოტორი იდვა და ხაჭოს ნატეხი, გვერდით მარჯვნისკე შუბი ედვა. სჩანდა, სადღაც სამგზავროს უნდა ყოფილიყო. „სალამი ვაუკაცებს“, დაგვასწრო მოსალამება მოხუცმა,—„კაი კაცი სუფრაზედაო, ნათქვამია, მობძანდით, სამხარზე მეწვიენით. ნადირ კლოვ გიზღოსთ, მოჰკალით, ხელი მოგიმართოსთ, ხვალ ხარი ირემი მოგაკვლეინოსთ რქიანი. ნადირი, მონადირეო, მთის წახვალ გებედებაო, დღეს თუ ვერ მაჰკალ, ხვალ მაჰკალ აუგ არ დაგედებაო. თოვლი სთოვს ჯიხვი ფეხს უცემს გული გგლის (გკლავს) მონადირეო: ჯიხვო, ვერ მოგკალ, ტიალო, სისხლი ვერ გაგადინეო, ვერ გადაგაგდე კლდეზედა, რქაზედ ვერ დაგამჯინეო, ვერ დავიკვეხე სწორებში, **გული ვერ გაგაცინეო** (ე. ი. ნიშნი ვერ შოგიგეო). დუშმანიმც არი, დედაო, მონადირისა ცოლია, შინ უგავ თბილი ლოგინი თავად ჭიუხში (ტლდებში) სტოლია, საშუალამო ვარსკვლავი საგათენებო ჰგონია. ეს ლექსი რომ სთქვა, ციხელი თანაც განმარტებას მოჰყვა: კლდეზე გადავარდნილა საწყალი.. დამზადებულა საჯიხვეში წასასვლელად, ცოლს უთქვამს ჯერ შუალამეა, რა დროს წასვლა არიო. ქმარს უპასუხნია: ცისკარი ამოვიდა, და სწორედ დროც არის წასვლისაო. თურმე ხარიპარია ცისკრის ვარსკვლავად მოეჩვენა. წავიდა, არ დაიშალა და ბნელაში კლდეზე გადაილია. რაად კარგია კაი ყმა, რაის კარგისა მქნელია, წავა და მოჰკლავ ნადირსა, ჭალაში მწვადის მწველია: დააძღებს ამხანიგებსა. თავად მშიერა მგელია. გაგიმარჯოს, ბევრი კი გავაძღე მეც ნანადირევით და განა მარტო ადამიანი? ფრინველი რამდენი? სად შამეძლო ზიდვა, რაც მე ნადირსა ვხოცდი: რასაც მოვეერეოდი, წამოვიღებდი, რაც არა და ვინცკი შამხვდებოდა, მტერი იყო თუ მოკეთე, ვაძლევდი. ბალიან მეხვეოდა ნადირი, ნადირობისა დიდი იღბალი მქონდა. კაცი დავბერდი და დღესაც თუ სახლს გავცდი, მაშინვე საითაც იქნება და არ იქნება უნდა რამ ნადირი ამიჩნდეს, შამეხეჩოს წინა. ეს ორი დღეა, შინაით წა-

*) იხ. „განათლება“ 1908 წ. № 2, 5—6.

მოსული ვარ, შუაფხოს მკითხავთან ვიყავი და იმდენი რამ შამემთხვა, რო გიამბოთ ხვალ ამ დრომდე ვერ გავათავებ. გვიამბე, გვიამბეო! ესთხოვდით ჩვენ ყველგადაგდებით.

„ჰო და, ჯერ აქედან რომ მივდიოდი, საყანურებში რო გავჩნდი, ვნახე, ორი ყოვი წაკიდებულიყო, ჰქოჩრაკ|დენ ერთმანეთს, სამკვდრო - სასიცოცხლო ომი ჰქონდათ: ჩაეყარათ ნისკარტი ნისკარტში, ხუტას მამულიდან დაწყებული პაპუჩელის მამულში ჩამოვიდნენ ამ ყოფით; მეც იქვე ვეყუდე და სეირს ვუყურებდი, როდი მხედავდენ იქამდე. თავი ჰქონდათ დავიწყებული და თვალები სისხლით და ბრაზით სავსე. ორივე ხელში ავიყვანე, გავწიე აქეთ-იქი, ძლივ-ძლივობით გავათავთავადე. ერთი ერთს ხელში დავიჭირე, მეორე—მეორეში. პირებს აღებენ, ჯავრისაგან ჰფეთქდენ, ქაქანებდენ, ერთმანეთისაკენ იხიდებოდენ, მე არ ვუშვებდი. რაზე სჩხუბობთ თქვე საწყლებო, რა გაქვს გასაყოფი? დავეკითხე.—მამულს მეცილებაო—მითხრა ერთმა. როგელ მამულს?—აგერ იმას, მიპასუხა ყვავმა და თანაც ხუტას მამულზე მიმითითა, საიდანაც მართლაც, დაიწყო ამათი ბრძოლა, მე გამეცინა. ის ხომ ხუტასია. შენ ვინ მოგცა მამული, შე უბედურო, ან რა გუთნეულს გამიჰიმავ, კიდეც რო მოგცენ?—მამული ხუტასი მარტო ოთხ თვეს ორი მთელი წლის განმავლობაში, ვიდრე წლის მოსავალს მოიკლებს და შინ წაიღებს, მერე მამული სულ ჩემს ხელთ არისო.—„მიჰქარავ, ყვავებს ჩვენ მაგნაირად არ გაგვინაწილებია, საცა ვის მოგვეწონება, იქ დავსხდებით; მარტო შენ გამოსჩნდი მაგისთანა ოხერი რო მესაკუთრეობა გინდა განაწესოვო, სთქვა რა ეს მეორემ და მიიწია პირველზე საცემნელად, მაგრამ მე არ გაუშვი და დავემუქრე: თუ იჩხუბებთ ორივეს თავებს წაგგლეჯავთო. მაშინ პირველმა ყოვმა მთხოვა, გამიშვი, წავიდე, სამართალს პირი უკითხო იქნება ვსტყუი და გავმტყუვნდები, ხმასაც აღარ ამოვიღებო. ვისთან უნდა უჩივლო?—მამასახლისთანაო. არ იცნობ ჩვენს მამასახლისსაო?—არა.—ოოო, ძალიან ჭკვიანი ვინმეა, ძალიან დიდი ტანისაა და დიდი თვიცა აქვს; სასოვეთ კლდის გვერდზე რომ მეორე კლდეა, იმ კლდეში სცხოვრობს და ისეთი დიდი ხმა აქვს, იქ რომ დაიჩხავლოს ცის ნაპირამდე გაიგონებაო.—

ძალიანმას სამართალით მოშველება სჯობიო, ვუთხარი და გაუშვი. ყვავმა, მართლაც, იქით გასწია. სადაც მამასახლისის სადგურს მანიშნებდა. მეორემ ზ-- დილი დაიწყო, უნდოდა ხელიდან გამშვებოდა და უკან გამოჰკიდებოდა, მაგრამ მე არ გაუშვი, ვიდრე პირველი ყვავი მთა-გორებს სრულიად არ მოეფარა. ისიც იმის კვალზე წავიდა და რას იზამდენ ღმერთმა იცის.

გადავედ არაგვზედ, შეუდეგ ჭალას. ბუქალოს ძირს რო შავჩნდი, გამოვარდა ტყიდან ხარი-ირემი, ოფლში გაწურული და გაიბოტიტნა შუა შარაზე. შემომხედა და შემომძახა: ციხელო, თოფი არა გაქვ, დამკარ, შენზე უპრიანია ჩემი ლეში, ვიდრე მგელზე, რომელიც კვალ და კვალ მომდევს და აღარ მეშვება, უნდა შემჭამოსო. გასწი, გზას მიჰყევო, დაუძახე,—მგელს მე მოგაშორებო. ირემი წავიდა ჯან-ჯალით და ლაშ-დაღრენილი მგელიც გამოჩნდა. სჩანს არ დავბერებულვარ, მოვიბრუნე შუბი, გავტყორცნე და მგელმა კუდი გადაიქნია. ირემი არაგვს გავარდა, კლდოვნის ტყეს შეუდგა, თვალს ვადევნებდი, ერთ ბორცვზე გადმოდგა

და იქიდან თავს, ბოჯოჯღი რქებით შე-
მოსილს, მიქნევდა, ვითომ მადლობელი
ვარო. მეც მადლობელი ვიყავ, მგელს
ირემი გავაგდებინე პირიდან და მეც მგ-
ლის ტყავი ვიშოვნე. ხელად გავაძრე
ტყავი და მეწვრილმანე აღაღოს ორ მა-
ნეთად მივყიდე. თოფ-იარაღს აღარ ვა-
ტარებ, რადგან ჩემ დროულა კაცს აღარ
უხდება იარაღის ტარება: რაც ცოდვა
მიქნია, ისიც მეყოფა ცოდვად, ნეტავი
ის მაპატიოს ღმერთმა, მაგრამ ის დალოც-
ვილი თითქოს თითონვე ცდილობს მიმი-
ყვანოს ცოდვაში. მაშ რა არის ესა?
თოფ-იარაღიანები ვერა ჰხო�ვენ მგლებსა.
და მე შუბით მოვკალ, წამოვედი იქით,
ნაწვეთაში რო მოვედ, პური მომშივდა,
დავჯე კლდეზე არაგვის პირად, მოვიხსენ
გუდა, ამოვიღე პური, დაუწყე ჭამა. მეს-
მის ჯავრობის ხმა? საიდან? გუბიდან.
დავაცქერდი, მომდგარა თევზი, მომდგარა
ფარცხად მთელი ქარავანი, კაბდო ვერ
გასწვდებოდა, შუა თევზებში ორაგული
ტრიალებს და უჯავრდება: გაწყდით
თქვე გასაწყვეტნო, ამოვარდეს თქვენი
ქოქო!... ველარსად დამიშალია ქვიშაში
ქვირითი, დაუღიათ პირები, ეს ფიჩხული
ვარო, ეს მურწა, ეს კალმახი, ეს ნაფო-
ტა, ეს გველანაო, ეს კაპუეტიო, რამდენ
ქვირითსაც-კი გავიგდებინებ სტაცებენ
ჰირს მანამ ქვიშაში ჩავმალავ და ყლა-
პან!.. აფსუსი არ არი ჩემს ქვირითს თქვენ
ეგრე ძაღლ-უმადურად სჭამდეთ, და ათი-
ათასობით ორაგული არ უნდა იზდებო-
დეს, რომ ესახრდოვებინათ, აი იმისთანა
აწყალი კაცი, როგორც ციხელი, თავზე
რო დაგვრჩერებია და ცარიელ ქერის
პურსა ჭლოღნის! თქვენში რა მაღლია,
გინდ დაგიჭიროსო კაცმა, გინდ არა,
ყლაპი გამოხვალთ. ყლუპი აღარა, თქვე
უჯიშრებო, თქვე ლაწირაკებო! საწყალ
ორაგულს ეთხარა, მისი ნათხარი იქვე
ეტყობოდა, შამეძლო დამეცა შუბი მო-
მეკლა, მაგრამ ხმაც არ გავეცი. „საჭმე-
ლად, სათქმელად, ბევრი გდნებათო.“
მართლაც ის წყეული თევზები ისე მზი-
რას ედგნენ, როგორც კატა თაგვსა.

გავათავე პურის ჭამა, ავდექ, წავედი...

II

მივდივარ. ვნახო ორწყალს ქვეით
რომ ხიდია და პატარა მინდორი, იმაში
დათვები მოდიან, დაგზიურებულნი,
ზურგზე ხურჯინები ჰკიდიათ—რკოთი,
კაკლით, თხილით, წაბლით, სოკოთი
სავსეები. — გამარჯობათ — „გაგიგიმარ-
ჯოსთ“.—საით მისდიხართ?—ღმერმანი,
ბატონთან, ღალა მიგვაქვსო, მიპასუხა
ერთმა, როგორც ეტყობოდა. უფროსობას
ჩემულობდა, ხოლო რო ბელადი იყო,
ეს ცხადადა სჩანდა, რადგან სხვებს წინ
ის მოუძღვებოდა. „სადათვეთი განათლ-
დაო, უფროს-უნ�როსობა. გავიგეთ, წი-
ნად რომ დათვები ყოფილან მარტო
უელიათ და უჭამიათ და არავისთვის-კი
არაფერი უძლევიათ, ის დათვები აღარ
გახლავართო“. მითხრა თავმომწონედ. ძა-
ლიან კარგი. „შენ სადღა მისდიხარო?“
მკითხეს.—მკითხავთანო მეც აღარ დაუ-
მალე ჩემის მგზავრობის მიზეზი. აი ჩვენა
გვყავ მკითხავი, ფასი არ უნდა და პატი-
ვიო. ტვლეპიავ, აბა ერთი ციხელს უკი-
თხე, გაუგე რა დაღონება ადგიაო. მოი-
ყრეინეს გუდა-ნაბდები დათვებმა, შემო-
გვერტყნენ გარსა და ტვლეპიაც მოჰყვა
მკითხაობასა: „ციხელო, იცოდე, ყველ-
გან იტყოდე. მშიერს უნდა ჭამა, მწყურ-
ვალს სმა, სიტყვას თქმა, ბატონს—ყმა,
მუნჯს—ენა, ყრუს—სმენა; ბრმას—თვა-
ლები, ძაღს—ძვალები, უკბილოს—კბი-
ლები, უშვილოს—შვილები“. მოჰყვა ეს

დათვი აბდა-უბდას. ეგ არი თქვენებური დათვური მკითხაობა?—„ეს არისო!“ თანაც დათვებმა სიცილი დაიწყეს, თავის ჭკვაში ხუმრად დამიპირეს, მასხარად აბიგდეს. მამივიდა ბრაზი, ცხოვრებაისეული ხმალი რო მქონიყო იქა, სულ თავებს გავაყრეინებდი, სულ ავკუწავდი, ერთს არ გაუშვებდი ცოცხალსა, ისე როგორც ცხრა თავიანი დევი ავკუწე. მაგისთანა მკითხაობა გცოდნიათ, იმიტომ თქვენი ბიძაშვილი ერთმა წუწკმა მელამ ერთის თხილის გულით მოატყუილა, ჯერ ორივე თვალები თავის თათებით დასთხარა; როცა დაბრმავა გზა აღარა ჰქონდა წასასვლელი, მელასვე შეხვეწა, წამიყვანე, ბინაზე მიმიყვანეო. მელამაც ატარა-ატარა და ერთს დიდს კლდეზე გადაჩეხა. მართლა ასე იყო, მე ტყუილი არ მითქამ. განა ტყუილია, მართალია. შემოჰხვდა ტყეში დათვი მელას იმ დროს, როცა მელა ნათაგურის თხილს შაექცეოდა. თაგვის ორმოს თხილი ხომ ძალიან გემრიელია. მივიდა ახლოს დათვი და მიესალმა. მელამაც ბოდიში გადაიხადა, ხოლო ცალი თვალი დახუჭა. „რას შაექცევიო?“ ჰკითხა,— თვალი გამოვითხარეო.—მიუგო მელამ „ერთი მაჩვენე რა გემოსნიაო?“ მელამ კარგი თხილის გული მიართვა. დათვს ძალიან ეგემრივლა, თაგვის ორმოს თხილი იმას თავის სიცოცხლეში არ ექამა. „მოდი ბარემ მეც გამომთხარე თვალი, მინდა შეეჭამო ძალიან გემრიელი მომეჩვენაო. მელამ გამოსთხარა მარჯვენა თვალი და მისცა. დათვმა შეჭამა, მაგრამ ემწარა; ეს ის არ არისო, მოუშარა მელას. მელამ ივაგლახა:—აახ, შემცვლია, უნდა მარცხენა თვალი გამომეთხარა, გემო იმაშიაო. „ჩქარა გამომთხარეო!“ დათვს, ემწარება თვალების თხრა, მაგრამ გემოს გულისთვის ითმენს. მოსთხარა მარცხენა თვალიც, გადასცა, მაგრამ არ მოეწონა დათვს და დაუწყო საყვედური მელას. მან უთხრა:—შენი თვალები ყოფილა მწარე, ჩემი რა ბრალიაო, ჩემი თვალი ტკბილი იყო და რა მომაგონებდა, თუ შენიც ისეთივე არ იქნებოდაო. დათვმა ხმა აღარ ამოიღო. დაჭკიდა თავი, დაღონდა, დარჩა უშტარი, უსინათლო. აღარ იცის საით წავიდეს. შაეხვეწა ისევ მელას, რომელმაც თვალები დასთხარა და გააბრიყვა: წამიყვანე, შენ ღმერთს შეჰხედე, ბინაზე მიმიყვანეო. მელასაც ეს უნდოდა. გაუძღვა წინ დათვსა და თანაც დაარიგა: როცა გითხრა ახტი-დახტი, ბერო ბიძაო, მაშინ ჩქარა მომყე, გამოიქეცი, და როცა გითხრა: ცოკდი-ცოკდი, ბერო ბიძავ, ნელა-ნელა გადმოაბიჯეო. ეს საჭიროა იცოდე, რადგან ზოგან ვაკეა, შაიძლება ჩქარა გავლა და ზოგან გვერდაღი, კლდიანი, თუ არა ცოკვით, არ გაივლებაო. ძალიან კარგიო, უბედური დათვი დასტურს უცემდა, მელა საცა ვაკე იყო, დათვს იქ აცოცებდა და საცა კლდე და გვერდული, იქ ახტუნებდა, ამ ხტუნაობაში ერთს დიდს კლდეზე გადაჩეხა დათვი და იმისი ტყავი და ხორცი თავად დაინარჩუნა. მელისა და დათვის ამბავი რო მოვაგონე, დათვებს არ ესიამოვნათ, მაგრამ რას იზამდენ, მე ჩემს გზაზე წავედ, ისინი თავისაზე. იქიდან წავედ და მშვიდობით მივაღწიე მკითხავთან. იმასთან ჩემი ყოფნა ან კი რა სანიაზოა თქვენთვის? რატომაც არ გვენიაზებაო, ჩვენ უთხარით და თანაც ვთხოვეთ გაუზიარებინა ჩვენთვის რა უთხრა, რა უკითხა მკითხავმა.

გეტყვი იმასაც, რაკი გულით გინდათ. დასამალი არაფერია, ჩემ შვილებო,

თქვენც არ გიამბოთ ვისლა უამბო მაშა? ჩემს ბებერს ციცას? ჩემის სახლის მეზვარტლიან კედლებს? ან ჩემს ბებერს თხასა? ვინ იცის ან კი დამიხვდება ცოცხალი? გიამბობთ. მივედი ნასგურთან, ვთხოვე მიკითხეო. ამხედ-ჩამხედა, ამათვალ-ჩამათვალიერა და მითხრა: ამალამ აქ უნდა დაჰრჩე, სიზმარს ვნახავ და მერე გიკითხავო; იმისთანა ყისმათის კაცი სჩნიხარ, მე შენსას უსიზმროდ ვერაფერს გავიგებო.

ვაჟა-ფშაველა.

(შემდეგი იქნება)

კვატა და მთვარე

(იგავი „ქილიდა და დამანიდან")

ერთმა კვატამ*) კიმკამ წყალში
დაინახა შუქი მთვარის.
იფიქრა—ეს, მე რომ მიყვარს,
იმისთანა თევზი არის!
ჩაყვინთა და ბევრი ძებნა,
მაგრამ თევზი ველარ ნახა...
ნადირობა გაწბილებულს
გამომშრალი დარჩა ხახა!
იმ დღიდან მან მიატოვა
სულ ერთ-თავად თევზის ჭერა,
და მცურავიც წყალში თევზი
მთვარეთ უჩანს და არ სჯერა!..

—

ეს იგავი ამ აზრს გვამცნევს
ცხოვრებისგან გამართლებულს:
სინამდვილეც კი აღარ წამს
ბრიყვს, ოცნებით მოტყვილებულს!

თ. მაგმაძე.

ჰეინედან

ძილში ვსტიროდი: ვითომ გიხილე
ჩემო ძვირფასო, კუბოს მდებარე;
გამომეღვიძა—ობოლი ცრემლი
ჩემს თვალებთაგან სჩქეფდა მდუღარე.

—

ძილში ვსტიროდი: ვითომ გიხილე
ჩემო ძვირფასო, რომ მშორდებოდი;
გამომეღვიძა—და როგორც ღელე
ცრემლი მსდიოდა, მწარეთ ვსტიროდი.

—

ძილში ვსტიროდი: ვხედავდი, სატრფოვ,
სულით და გულით შეგყვარებოდი;
გამომეღვიძა—ცრემლი მსდიოდა
მაინც ვსტიროდი, მაინც ვსტიროდი.

გ. უბედური.

*) კვატა=იხვი.

მარტო

—

ღამეა... ლაქვარდ ცაზედა ეთერნი წყნარად კრთებიან
და ფერ მკრთალისა სხივებით მიდამოს ეფინებიან,
გრძნეული მთვარე ღრუბლისა ქარავნებს შეჰფარებია
და ვით მოქანცულ ვაჟკაცსა ღრმა ძილით ჩასძინებია.

იდუმალება გრძნეული გამეფებულა ყველგანა
და ნაირ-ნაირ სიზმრებში შთანთქმულა მთელი ქვეყანა,
მხოლოდ ნიავი უსვენრად კვლავ მიმოჰქროლავს ველზედა
და ცვარ-პკურებულ ყვავილებს ეშხით ევლება ყელზედა.

მგოსან ბულბული ხან დასმით ატეხილ მტევრში გაჰკივლებს
და სევდიანი მისი ხმა კაცს ააჩქურებს-ატირებს.
ღრმა მდუმარებით მოცული მარტოკა ვდგევარ სერზედა
და კაცთ სიავით ნაწყენი ვფიქრობ ჩემს წყეულ ბედზედა.

მუხთალსა წუთი-სოფელში სულის სიმშვიდე ვერ ვპოვე
და ბუნებასა მივმართე, მის წიაღს გადავექსოვე,—
მეგონა, იქ მაინც არის, განქარდებიან სევდანი
და ნაზად აწკრიალდება ჩემის სულისა ებანი,
მაგრამ ვაიმე;., რომ იქაც ვერ ვპოვებ სულის სიმშვიდეს
და ფრთოსნების ხმა გულშია კაეშნის ცეცხლსა მიკიდებს.

მარტო ვარ... მარტო, ვერ მხიბლავს ცა-ფირუზ-ხმელეთ-ნარნარი,
დიად ოცნების მსხვრეულ მთებს დავყურებ ცრემლად დამდნარი,
ჩემ უფერული ცხოვრების ჰქრეზა ობოლი ვარსკვლავი
და ვით ვეშაპი პირს მიფჩენს იმედის შავი საფლავი.

დ. თურდოსპირელი.

ჰეინედან

ნუ თუ, ჩემ სნეულ, ფერ-მკრთალ სხეულში
ვერ ხედავ ტანჯვას, გულის ტკივილსა?
იქნებ გგონია, რომ ზეკვი ბუგე,
თავს დაიმცირებს, მოიხრის ქედსა?

—

არა, არას დრეს! ჩემ ბირთა ბაგემ
იცის სუმრობა, ლოცნა, სიცილი;
მაგრამ გული კი მზათ არის კასკვეს,
ტანჯვა-ვაებით, კვნესით დაღლილი.

კატო ბაქ—ძე.

ვერ მფენს სიხარულს მე გაზაფხული!

როს კვლავ გაისმის კვნესა, ტირილი,
როს მაშერალთ ტანჯვით უკვდებათ გული,—
ვერ მაფრთოვანებს სტრფოს ღიმილი,
ვერ მფენს სიხარულს მე გაზაფხული!

—

როს დახშულია სიმართლის ენა,
როს მუშა არის კვლავ დაჩაგრული,—
ვერ მატკობს სმენას ბულბულის სტვენა,
ვერ მფენს სიხარულს მე გაზაფხული!

—

როს კვლავ მეფობს შური და მტრობა,
როს მშრომელს შრომით ეხუთვის სული,—
ვერ მიტოკავს გულს ფრინველთ კლობა,
ვერ მფენს სიხარულს მე გაზაფხული!

—

როს გმობილია სამშობლოს მცველი,
შვილის დალატით სტირის მშობელი!
როს ძმა არ ისმობს თვის ნამდვილ ძმასა,
ძმობის წილ კიცხვა კვლავ ესმის კაცსა...
როს ადარ გვეგვანან ძველებრ გმირები
სწორნი, მიზნისთვის თავ-შემწირები!
როს ვგრძნობ სისუსტეს, არარაობას,
სიფუქსავტეს, მწარე ობლობას...
როს ადარ გვეავს დიდი ილია
და ვერაგულად ის მოკლულია!—
კვლავ სევდითა მაქვს მოცული გული,
ვერც მფენს სიხარულს მე გაზაფხული.

ლადო გეგოჭკორი.

1908 წ. ფოთი.

„ფურთხი მოლალატეს“

(ინგილოური ლეგენდა)

ადვრემილად, მოწყენილად გამოიცქირება „თორფახ-ყალა“, *) მის თქეშისაგან და წვიმისაგან ჩამოღარულ კედლებს ფავბირი ჩამოსტირით და ძველის დიდების ნატამალიც ადარ აცხიათ, ადარც მას და ადარც მის გარშემო გატიალებულს მიდამოს. მხოლოდღა ალაზანი, რომლის ნაპირზედაც ციხეა გაშენებული, შერჩა ისევ ძველს მეგობართაგან ციხეს, მაგრამ ისიც ისე ნელა, შეუმჩნევლად მიიზლაზნებ-მიიკლანკება, თითქოს მასაც სიცოცხლე მოსწყენოდეს და სასიკვდილოთ გამზადებულიყვეს. ციხესაც უკვირს ვერ მიმხვდარა და ვერ ამოუკითხავს ალაზნის მოწყენის მიზეზი, ხან უნდა გადმოჰყვიროს, აამოძრაოს, მოაგონოს წარსული და ანუგეშოს, რომ ოდესღაც იქნება ძველებური ცხოვრება აღდგეს და აყვავდესო, ნუ გეშინიან, სასოწარკვეთილებას ნუ მისცემიხარო. მაგრამ ყოველთვის ამ დროს მოაგონდება ხოლმე თავისი მწარე წარსული, როცა ის ძლიერი და ამაყი, გულგამეხებით უმკლავდებოდა მტერს და ერთმა მოღალატემ კი სრულიად ძირს დასცა და გაატიალებინა მტერს და მყისვე ხმა უწყდება და უიმედობას ეძლევა.

მწარე მოგონება წარსულისა ციხეს გულს უკლავს, დღესაც არ დავიწყებია, ბოლმასავით აწვეს და სულს უხუთავს.

*) „თორფახ-ყალა“, თათრული სიტყვაა და ნიშნავს ციხეს.

აგონდება ის დრო, როცა მტრით გარშემორტყმულმა, მტრის მძვინვარებით შეშინებულმა გაღმამხრელებმა მის სიმაგრეს შეაფარეს თავი და იქ სცდილობდნენ თავის დაცვას მტრის მახვილისაგან. ორივ მტერნი, ციხეში გამაგრებული გაღმამხრელნი და ციხის გარს მომდგარი ალაზნის მეორე ნაპირს დაბანაკებული თათრები დიდხანს იბრძოდნენ და ერთმანეთისთვის ვერ ეძლიათ. ციხე მიუდგომელი იყო, მაგრამ მტერი არა ცხრებოდა და ციხეს არა შორდებოდა. ბრძოლა გრძელდებოდა და დასასრული არ უჩნდა. მიმდგარს მტერს სხვა აღარა დარჩენოდა რა, რომ ღალატით ან მოტყუებით რამე ნაირად შეჰპარებოდა ციხეს, რაკი ძალმოსა და ღონით ვერაფერი გააწყო.

მშვენიერი ღამე იყო, ბადრ მთვარეს კაშკაში გაჰქონდა და სიჩუმით მოცულს არემარეს თითქოს ბრწყინვალე საბნად გადაჰხურებოდა. ხანდისხან ისეთ ნაირად გაანათებდა, რომ თითქოს ეუბნებოდა ორთავ მოსისხლე და სასიკვდილეთ გამზადებულ მტერთა ბანაკებს, რისთვის იკლებთ ერთურთს და რისთვის ისწრაფვით წუთისოფელს. ბუნება ფიანდაზად გეშლებათ, იშრომეთ, დასტკბით მისის სიდიადით და ნუ სჩადიხართ ბოროტებას, ხელი აიღეთ, დამშვიდდით და ამ დროს ისე გაანათებდა ხოლმე, თითქოს უნდოდა თავისი სურვილი გულში ჩაეწვეთებინა და შეესისხლხორცებინა ორთავე სამტროთ გამზადებულ ბანაკთათვის.

როცა მთვარე ასე უხვად აბნევდა თავისს სხივებს და ცდილობდა ბოროტ ადამიანთა შორის სათნოება ჩამოეგდო, ვიღაც უცნობი ტურფა ასული ფეხ აკრეფით ციხეს უახლოვდებოდა. უცებ ციხის მცველმა შეაჩნია უცხოს მიახლოვება, საჩქაროთ იქით მიიხედა და შესძახა:

— ვინა ხარ, სთქვი ჩქარა, თორემ...

— ჩუ, იყუჩე, სთქვა პასუხად უცნობმა და თანდან წინ წამოვიდა.

— სთქვი, ვინ ხარ, რა გინდა?

— ჩუ, ჩუ, იყო. კვლავ პასუხად და ამ სიტყვებთან ჩქარის ნაბიჯით წინ წამოვიდა და დარაჯის წინ გაჩერდა, მთვარის შუქზედ მთლად გაბრწყინვებული მშვენიერი ტურფა არსება, რომელიც თვით განხორციელება იყო მშვენიერებისა და რომლის ერთი შეხედვაც კი აჯადოვებდა და იპყრობდა ადამიანს.

— მე, დაიწყო მისალმებისათანავე მელურის მლიქვნელობით უცნობმა, დიდი ხანია მომწონდი, შინთვის მიძგერდა გული და მსურდა გამოლაპარაკება და მეგობრობა, მაგრამ შემთხვევა არ მეძლეოდა, პირდაპირ გამოლაპარაკება კი ხალხთან მეკრძალებოდა, მცხვენოდა, ეხლა კი როცა გავიგე თუ არა, რომ აქ მარტო ყარაულად ხარ, ბადრის მთვარის გაშუქებულს ტურფა წალკოტის შორის, მოველი წუთით შენთან, რომ დავსტკბე შენთან საუბრით და ცქერითა.

ყარაული ჰკვირობდა და ვერ მიმხვდარიყო, თუ საიდან და როგორ უნდა გაჩენილიყო ეს ანგელოზებრივი ქმნილება. ჯერ მოჩვენება ეგონა, მაგრამ განა მოჩვენებას შეეძლო ასე მკაფიოდ და მოხდენილად მასთან საუბარი. ქალი კი აღარ აცლიდა დიდხანს ფიქრს და უნდოდა ისე ანაზდეულათ, ვიდრე გონს მოვიდოდა და გამეირკვეოდა, ისე აებნია მისთვის გონება, რომ სულ ანთებულ გრძნობათ გადაექცია და ამ დროში გამოეტყუენა მისთვის ის ცნობები, რაც დავალებული ჰქონდა.

— რას გაჩუმებულხარ, დაიწყო კვა-

ლად მოსულმა ქალმა, ნუ გეშინიან, აქ ჩვენ მარტონი ვართ, არავინ არ დაგვინახავს, ორსავე ჯარებსა ჰძინავთ და ამ მხრიდგანაც, მგონია, თქვენს ციხეს არავინა სდარაჯობს. მიკვირს რა მაგარი ციხე გქონიათ და რა მარტოთ იბრძვით. ამ სიტყვებთან ერთად მიუახლოვდა დარაჯს და მდელოზედ ჩამოჯდა ტურფა არსება.

დარაჯი ეინთო, გრძნობები აერია თავში, დაავიწყდა, რომ დარაჯი იყო და თითონაც ქალს გვერდით მოუჯდა. ქალმა ხელი მოჰკიდა და უფრო ახლოს მიიწია.

— არა, მითხარი, რა რიგ უძლებთ ამდენს ხანს მტერს, რატომ შიმშილით არ იხოცებით? რა რიგ მგბრალებით, საწყლებო.

— არა, ჩვენ სიმშილი არ გვაწუხებს, ყველაფერი სანოვაგე შეგვაქვს, საიდუმლო კარით ციხეში, თორემ აქნობამდის ხომ მტერს ვერ გაუძლებდით.

— საიდუმლო კარით შეგაქთ, ყოჩაღ, მაშ კარგად ყოფილა თქვენი საქმე, მაგრამ განა საიოკენა გაქვთ საიდუმლო კარი?

— აიქით, წარმოსთქვა უნებლიეთ დარაჯმა და უცებ უნდოდა ხელი გაეშვირა იმ მხრისკენ, მაგრამ ინსტიქტიურათ თავი შეიკავა და წარმოსთქვა, არა მაგის თქმა არ შეიძლება, ეგ ციხის საიდუმლოებაა.

— მითხარ, მითხარ, შეეკვედრა ქალი, მე ხომ არავის ვეტყვი და ამ სიტყვებთან ერთად სულ მიეკრა დარაჯს და ხელი გადაჰხვია.

დარაჯი თავს ვეღარ იკავებდა, მოწოლილს გრძნობებს ვეღარ უძლებდა, ჰხიბლავდა და ატყვევნებდა უცხო ტურფა ასულის ხვევნა და შეხება.

— მითხარ, მითხარ და საუკუნოდ შენი ვიქნები, შენი, სამუდამოდ, სიკვდილამდი და უფრო უმატებდა ტურფა ასული ხვევნა-კოცნას.

— აიქით, აიქით, აი, აისე მთის იქით ბილიკი რომ ეტყობა ოდნავ... ძლივს ოდნავ ნელის ხმით ამბობდა დარაჯი და ანგარიში ვერ მიეცა თავისთვის, თუ რა საფთხეს უმზადებდა და ყელსა სჭრიდა ამ ციხეს, რომლის დარაჯიც ის იყო. მთვარეს ამ დროს ღრუბელი გადაეფარა და დედამიწას შავი ზეწარი გადაეკრა, თითქოს არ უნდოდა მთვარის მოღიმარს და სპეტაკს პირისახეს მოწამე ყოფილიყო კაცთა ბოროტებისა და ვერაგობისა.

გაჰქრა მოულოდნელი ასული და დარაჯი მხოლოდ მაშინ გამოერკვა და ცოტა გონს მოვიდა.

მეორე დღეს ციხე მტერმა აიღო, მრავალი ხალხი ამოხოცა, ციხე მიანგრა-მოანგრია და მხოლოდ მცირე ნაწილიღა დარაჯიანთ გადარჩნენ მტრის მახვილს. ხალხი ჰკვირობდა და ვერ მიმხვდარიყო, თუ ვინ უნდა ყოფილიყო მისი გამცემი. ციხე მიუვალი იყო, მისი საიდუმლო კარები მხოლოდ მეციხოვნე ჯარის საიდუმლოებას შეადგენდა და ძნელი იყო მისი მიგნება და პოვნა. ხალხი ბობოქრობდა, გამცემსა და მოღალატეს ეძებდა, რომელიც თავიანთში ეგულებოდა. შეიკრიბა ხალხი, მოზღვევდა ყოველ მხრიდამ და სახალხო ყრილობა გამართეს მოსალაპარაკებლად და მოღალატის აღმოსაჩენად. ხალხი გაფითრებული იყო და არ იცოდა რა ექნა.

— ხალხნო და ჯამაათნო, დაიწო ყრილობის უფროსმა, ყველამ ვიცით რა დიდი ზარალი და უბედურება მოგვივიდა „თორფას-ყალოს“ მტრისაგან აკლებით, ისიც იცით, რომ თუ ჩვენგანმავე არავინ

გაგვცა შეუძლებელი იყო მტერს სცოდნოდა ჩვენი საიდუმლოება და ცეხე აეღო. ხალხნო, მოგმართავთ თქვენ რამე ღონე ვიღონოთ, აღმოვაჩინოთ მოღალატე, დავსაჯოთ და ამითი მომავალ თაობას ავაცდინოთ თავიდგან ამგვარი უბედურებანი.

ხალხი მდუმარებდა, გაშეშებულსავით იყო და ხმას არ იღებდა.

— ხალხნო, დაიწყო ხელახლივ ყრილობის უფროსმა, მე თქვენ მოგმართავთ, მოღალატე უსათუოდ ჩვენში უნდა იყვეს, ვიღონოთ რამე ნუ გაჩერებულხართ.

უცებ ხალხი გაირღვა და შუა ადგილს გამოვიდა მთლად გაფითრებული, ახოვანის სახის ადამიანი, რომელშიაც ხალხმა მაშინვე ციხის დარაჯი იცნო და მთლად ათრთოლებულის ხმით ძლივს წაილულლუღა:

— მოღალატე მე ვარ...

ხალხი სმენად გადიქცა, მიუახლოვდა, თვალით კინაღამ შესჭამა.

— განმეორე ხმა მაღლივ, რასაც ამბობ, რომ ყველამ გიცნოს.

— მოღალატე მე ვარ, განიმეორა კიდევ შუაში გამოსულმა.

— როგორ შენ დარაჯი?! წამოიყვირეს. აქეთ-იქიდგან.

— დაიცათ ხალხნო, გააწყვეტინა ხმა ყველას კრების მოთავემ, აცალე გვიამბოს როგორ იყო საქმე, რათ გასცა ჩვენი ხალხი, რათ დაგვიღუპა ციხე.

— მაგის თქმა არ შემიძლიან, გაისმა ყრუდ ხმა მთლად გაფითრებულის, ჩამკვდარის ადამიანისა, რომელსაც გააფთრებული შესცქეროდა ამოდენა ხალხი.

— გვითხარ, გვითხარ, ნუ გეშინიან, კვალად განუმეორა კრებას მოთავემ.

ამ დროს კი ხალხის მღელვარება იზრდებოდა და თავს ველარ იკავებდა.

— ჩავქოლოთ, დაიძახა უცებ ვიღამაც ხალხიდგან.

— ჩავქოლოთ, ჩავქოლოთ, ინსტიქტიურად მიჰყვნენ მის ხმას ყველანი.

— მოიცათ ხალხნო, მოიცათ, ჰყვიროდა კრების მოთავე, მაგრამ გაგება აღარ ისა ჰქონდა.

ქვები წვიმასავით წამოვიდა, საშინელი კორიანტელი ადიოდა და არემარეში ქვების რახა-რუხი გაისმა და შესძრა არემარე. გააფთრებულმა ხალხმა აღარ იცოდა ვინ ვის მიასწრებდა და ვინ უფრო მეტს ქვას მიაყრიდა და ჩაქოლავდა ქვეყნის მოღალატეს. ცოტა ხნის შემდეგ ნიავმა მტვერი გაჰფანტა და უშველებელი ქვების ხროვა გამოჩნდა, რომელიც მთელს პატარა გორაკს დამგზავსებოდა.

მას შემდეგ ხალხში ჩვეულებად გადაიქცა—ვინც კი ახლოს გაუვლიდა ამ გორაკს, უსათუოდ უნდა მისულიყო და ნიშნად ზიზღისა მიეფურთხებინა მოღალატის სამარისათვის, რის გამოც თვით კვერნაკსაც დაერქვა სახელად „ფურთხი მოღალატეს“.

მაგრამ გავიდა დრო და ხალხმა ეს ტრადიციული ჩვეულება დაივიწყა და თვით ამბავიც მოღალატისა ბევრს აღარავის ახსოვს.

ზ. ედილი.

მეგობარს

(ნადსონიდან)

მეგობარო! რა გინდ ბედით
იყო მწარედ დატანჯული,
უმეტესო არ შეიქმნე,
და არ შედრკეს შენი გული.
დაე სოფლად ფარფაშობდეს
ბოროტება დაწყევლილი,
ცრემლით სველი დედა-მიწა
მისგან იყოს დათელილი;
იმას უსამართლოება
დაე ბანსა მისძახოდეს,
მართალთ სისხლით ნიადაგი
მიწის მუდამ ირწყვებოდეს;
დაე ყველა აგინებდეს,
ფეხით ჰქელდეს იდეალსა,
გწამდეს, თავის დრო მოუვა
დღეს მბრძანებელს ბილწს ბაალსა.
ძირს ოდესმე დაეცემა
მისი კერპი დღეს შემკული,
და სოფელში გამეფდება
ისევ წმინდა სიყვარული.

* * *

იგი მოვა მთელის თავის
ძალითა და დიდებითა,
ბედნიერ ჰყოფს დაჩაგრულებს
სანატრელი თვის სხივითა.
არ ედგმება თავს ვვირგვინი
მას ეკლისა, შუბლის მწყვლელი,
არ ეკნება ზურგზე ჯვარი,
არც ჯაჭვები ხორცის მღრღნელი.
მოისპობა სოფლად ცრემლი,
მტრობა, ხმალი, გაპივრება...
სამარცხვინო სვეტზე მიკვრა,
მონობა და სხვის წვალება.
მეგობარო! არ გეგონოს
ყოველივე ეს ოცნება,
და ან ფუჭის იმედისა
მხოლოდ ტკბილი ჩაგონება.
დააკვირდი: მეტის-მეტად
ფარფაშობს დღეს ბოროტება,
და დამესაც ჩვენს გარშემო
სიწყვდიადე ემატება.
უძლიერეს ტანჯვებითა,
მრწამს, ქვეყანა დაიღლება
და სისხლისა დიდს მორევში,
იმას სუნთქვა შეეკვრება;
ის დაღლილი უგნურ ბრძოლით
მოინატრებს სიყვარულსა
და მიაპყრობს მისკენ თვალებს
მწარ ვედრებით აღვსებულსა.

ი. ფერაძე.

ჯუზეპე გარიბალდი

(იტალიის განმათავისუფლებელი)

ასის წლის წინად სოფრანგეთის ხელმწიფემ ნაპოლეონ I-მა დაიპყრო იტალია. როცა შეურიებულმა სახელმწიფოებმა წამოაგდეს ტახტიდან ნაპოლეონი, იტალია კვლავ რამდენსამე პატარა სახელმწიფოებად, რომლის მძარცველთა უმრავლესობა ავსტრიელები იყვნენ. მხოლოდ ჩრდილოეთის ნაწილი პიემონტი და კუნძული სარდინია არგუნეს იტალიის მეფეს. შუა იტალია ქალაქ რომით გადავდა პაპის ხელში, რომელიც ისე განაგებდა თავისს სამწყესოს, როგორც სრულ უფლებიანი მეფე.

მძიმე ცხოვრებას განიცდიდენ იტალიელები ამ წლებში. უფლგან ბატონობდა უცხო ხალხი, უფლგან ძალ-მომრეობა, დაჩაგრვა, აურებელი კანონსახადები, სიდარიბე და სიდატაკე იყო.

უფლაზედ უფრო მეტს ტანჯვაში იყვნენ სამხრეთ იტალიის და კუნძულ სიცილიის მცხოვრებნი. ამ ნაწილებში ფრანგების ხელმწიფის უსამართლო გამგებლობით, კანონსახადები მეტად დიდი იყო, პოლიცია მეტისმეტად სასტიკი, ხალხი დაბჩაგებული და გადატანებული.

რა უნდა ექნათ? როგორ უნდა კეთილი-სუფლებისთვის ქვეყანა ხალხის მტარვალებისაგან? — ჭკვიანებმა ერთმანეთს უფლანი, ვისაც თავიანთი სამშობლო ქვეყანა უყვარდათ.

იმათ კანონწყვიტეს დაეარსებინათ საიდუმლო საზოგადოება, რომელსაც მიზნად სამშობლოს იარაღით ხელში განთავისუფლება ექნებოდა მტარვალთა და ხალხის მჩაგვრელთაგან. ამ საზოგადოებას „ახალგაზდა იტალია“ ერქვა. საზოგადოების სათაეში იდგა ერთი შესანიშნავი იტალიელთაგანი დიდის ჭკუის და რეინის ხასიათის კაცი — მაძინი.

მაძინის აზრით თავისუფლება უფლაზედ უძვირფასესი ნიჭია, რაც კი დმერთს მიუცია ადამიანისთვის და უფლაც ვალდებულია იბრძოლოს მისთვის. არც ერთმა ერმა არ უნდა დაჩაგროს მეორე, არ უნდა დასცინოს სხვას, არ უნდა წაართვას უფლება. მაძინი სწერდა მხურვალე სტატიებს, რომლითაც იწვევდა უფლას თავისუფლებისაკენ. მაძინის სიტყვაზე კაცები მიდიოდნენ საბრძოლველად უშიშრად, მათ არ აშინებდათ არც საპყრობილე, არც სიკვდილი. კაფანარი „ახალგაზდა იტალია“ თან და თან ფართოვდებოდა, მალე ამ კავშირში მოჰყვა კაცი, რომელსაც წილად ხვდა იტალიის განმათავისუფლებელის, სახალხო გმირის სახელი. ეს იყო ჯუზეპე გარიბალდი.

ჯუზეპე გარიბალდი დაიბადა 1807 წელს, იგი იყო გემის უფროსის მეზღვაურის შვილი. პატარაობიდანვე ჯუზეპე იჩენდა დიდ ნიჭს, სიმარდეს და გაბედულობას. მშობლებს უნდოდათ ექიმად ან მღვდლად გაეყვანათ, მაგრამ იმან ირჩია მამის ხელობა და გახდა მეზღვაური.

ზღვაზედ მოგზაურობის დროს ის შეჩერდა რუსეთში, ტაგანროგში. აქ სამეიტნოში ნახა იტალიელი მეზღვაური, რომელთაგან გაიგო, რომ იტალიაში დაარსდა ფარული საზოგადოება „ახალგაზდა იტალიის“ სახელით, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული იტალიის განთავისუფლება და ამ საზოგადოების მეთაური მაძინი ყოფილა. იქვე გარიბალდმა დასდვა ფიცი, რომ ჩაეწერება იმ საზოგადოებაში და იმ დღიდან მოელი მისი ცხრა, გონება, გრძნობა და მოელი სიცოცხლე შეეწირება მსხვერპლად იტალიის განთავისუფლების საქმეს, და ის ხელს არ დაიკრეფს

გულზე იმ დრომდის, სანამ მთელი იტალია არ იქნება განთავისუფლებული.

გარიბალდმა მტკიცედ დაიცვა თავისი ფიცი. როგორც კი დაბრუნდა იტალიაში, მოძებნა მაძინი და ჩაუწერა „ახალგაზდა იტალიის“ ფარულ საზოგადოებაში.

მაგრამ დიდ ხანს არ არსებობდა ეს საზოგადოება, ბირველი ცდა მოქმედებისაკენ უხერხული გამოდგა, ახალგაზდები ზოგი დაიჭირეს და საბერობილეში ჩასვეს, ზოგიც გაესალმარდეს, ზოგსაც სიკვდილი მიესაჯეს. ამ უკანასკნელთა რიცხვში გარიბალდიც ერია.

მაგრამ გარიბალდმა მოასწრო გაქცევა. დიდის წვალებით მიაღწია მან ქ. მარსელამდის. იქ შეიდა გემზე მოსამსახურედ. შემდეგ, როცა ხოლერა გაჩნდა, ჩაუწერა მოწყალების ძმად და უკლოდა ავადმყოფებს. ხოლერის მოსპობის შემდეგ (1835 წ.) თავი ამოჰყო სამშრეთ ამერიკაში.

ამერიკაში გარიბალდმა მალე იპოვა თავის სულის შესაფერი საქმე. მაშინ სამხრეთ ამერიკაში გამწყვეტელი ბრძოლა იყო რესპუბლიკანებსა და მონარხისტებს შორის. რესპუბლიკანელებს უნდოდათ დაემკვრებინათ ხალხის მმართველობა, მონარხისტები, ბირიქით, ცდილობდნენ უფლება ჰქონოდა მხოლოდ მეფეს. გარიბალდი გახდა რესპუბლიკანელთა ჯარის მოთავედ. მისმა თავგადადებულმა გმირობამ და ომის საქმეების ზედმიწევნით ცოდნამ ხელი შეუწყო დაემარცხებინა უძლიერესი და მრავალ-რიცხოვანი ჯარი მოწინააღმდეგეებისა.

ამ ბრძოლის დროს გარიბალდმა ცოლი შეირთო. მისი ცოლი ხასიათით ძლიერ ჰგავდა გარიბალდს. თამამი, გამბედავი და მოსიგვარული, ყოველთვის სარწმუნო მეგობარი იყო გარიბალდისა. ომის დროს ქმარს გვერდში ედგა: შეელოდა, თოფსა სტენავდა, ომში დაღლილ-დაქანცულებს ამხნევებდა, დაჭრილთ ეკლიდა. გარიბალდი მეტად აფასებდა თავისი მეუღლის გამბედაობას, მაგრამ ეგულებოდა, რომ ხიბლავდა მას მისი მშვიდი მოთმინება. მან იცოდა, რომ მისი ქმარი დიდებულ საქმეს ემსახურებოდა და მშვიდად იტანდა სიღარიბესაც და ყოველ გვარ შეეწროებას.

ერთხელ გარიბალდმა დაინახა თავისი ჯარის კაცი უბერანგოთ. გაიხმო განზედ, გაიხადა ბერანგი და ჩაცვა. მინ რომ დაბრუნდა, ცოლსა სთხოვა მეორე ბერანგი. —„ხომ იცი, —უთხრა ცოლმა დამშვიდებით— რომ შენ ერთად ერი ბერანგი გაქვს და მეორე სადან გიშოვო“. ასეთს სიდარიბეში ცხოვრობდა ის კაცი, რომელსაც მთელი სამხრეთის ამერიკა იცნობდა დიდებულ მებრძოლად ხალხის უფლებათათვის.

თორმეტმა წელმა გასვლა მის შემდეგ, რაც გარიბალდმა მიატოვა თავისი სამშობლო. ვერც ბრძოლამ, დაშქრობამ და ვერც მრავალ გვარმა შიშმა ვერ დააყენებინა მას, რომ იქ შორს, თავის სამშობლოში ხალხი ცხოვრობს სრულს მონობაში და უბედურებაში. სამწუხარო ცნობები მოსდიოდა სამშობლო ქვეყანიდან. მაგრამ აი 1847 წელს მან მიიღო უფრო სანუგეშო ცნობები. გარიბალდმა გაგზავნა ერთი ნაცნობი იტალიელი მაძინთან მოსალაპარაკებლად და 1847 წლის ბოლოს გაგზავნა იტალიაში. თავისი ცოლი სამის შვილით.

რამდენიმე თვის შემდეგ თვითონაც დაბრუნდა. 85 ამხანაგით აპრილში 1848 წელს ჩავიდა გემში, რომელიც ევროპისკენ მოდიოდა და გამოეგზავნა სამშობლოში. გზაზედ გაიგო, რომ ჩრდილო იტალიაში, რომლის ნაწილს ავსტრიელები კანაგებდენ, ხალხი აჯანუდა, გარეკა ავსტრიელები და გამოაცხადა თავისუფლებაო. გარიბალდის და მისი ოანამგზავრების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ისინი ეხლა ბრუნდებოდენ არა დამონებულ და დაბეჩავებულ იტალიაში, არამედ ისეთს ხალხთან, რომელსაც შეეძლო თავისუფლების მოპოვება. ეხლა სამშობლოდან გადახვეწილთ

შეეძლოთ დღის სინათლეზედ თავის გამოჩენა შეგროვილ ხალხში.

თებათვის 24-ს ისანი ჩამოსხდნენ გემიდან ქ. ნიცცაში. გარიბალდის ამერიკაში მოდგაწეობის ამბავი ბევრს ჰქონდა გაგონილი, ნიცის ნავსადგურში და შეველგან ქუჩებში, სადაც

ჯუზეპე გარიბალდი

კარდევნილი ავსტრიელები შეიკრიბნენ და ახალის ძალით და მუქარით ცდილობდნენ კვლავ დაეჭირათ განთავისუფლებული ადგილები.

ჰიემონტის მთავარი კარლოს ალბერტი ომანეების დროს შხარს უჭერდა იტალიელებს. მან გამოიეგანა თავისი ჯარი ავსტრიელების

გარიბალდი გამოჩნდებოდა, ხალხი „ვაშა, ვაშას“ ძახილით ეტებებოდა. ამ დიდან გარიბალდი ხალხის საყვარელი გმირი გახდა. რაც დრო მიდიოდა, მისი სახელი უფრო და უფრო იზრდებოდა.

მაგრამ გარემოება უცებ ურესად შეიცვალა.

ჩაწინააღმდეგოდ. მაგრამ სამი დღის განმავლობაში მისი ჯარი დამარცხებული იყო. მოელს ჩრდილო იტალიაში მოეფინა ავსტრიელთა ჯარი. კარლოს ალბერტმა, რაკი დანახა თავის უძლურება, ზავი ჩამოაგდო ავსტრიელებთან. ხალხი ადელვებული იყო ამ მორ

გებით, მეფე მოდალატეთ სტნეს და სიკვდილს ეშფერებოდენ. მეფე იძულებული გახდა კაქ-ტეულიეო.

ამ დროს ბრძოლის ველზე გამოვიდა გარიბალდი, რომელიც უფროსობდა თავის ნებით შეკრებილს ჯარს. თავდაპირველად გარიბალ-დის ჰყავდა 5000 ამბავი მეომარი. შემდეგ ეს რიცხვი ათასამდის ჩამოვიდა. რას კაკეობ-და ამ ერთი მუჭა ხალხით ავსტრიის გაწვრთ-ნილ ჯარის კაცებთან? მაგრამ გარიბალდი მოელს თავისს სიცოცხლეში მცირე რიცხო-ვანი ჯარით ზიდიოდა უთვალავ მოწინააღმდე-გეებზე; არც ეხლა შეეშინდა მას.

პირველი მისი შეტაკება მტერთან მარჯვეთ წავიდა. მან ერთის შეტევით გაფანტა ავსტ-რიელთა ურიცხვი ჯარი. მაგრამ შემდეგ ავს-ტრიელების ჯარი ყოველ მხრით გარს შემო-რტყა გარიბალდის ჯარს. გარიბალდი უცებ მიხვდა, რაც დდე მოელოდა მას და მის ჯარს, თვალ და ხელს შუა გაუძგრა ავსტრიელების თავისი ჯარით და თავი ამოჰყო შვეიცარიის სუზდარზედ. მან გადაარჩინა თავისის ჯარი, მაგრამ ჩრდილო იტალიის გადარჩენა კი ვერ შესძლო. მისი განთავისუფლების საქმე სხვა დროსთვის გადიდვა.

ამავე დროს შუა ეტალიაში. სადაც პაპი ბრძანებლობდა, ხალხი აჯანყდა და პაპიც იძუ-ლებული შეექმნა კაქტეულიეო. დანიშნული იქმნა ხალხის ახალი მმართველობა. მაგრამ ამ ახალ მართვა-კამგეობის წინააღმდეგ ამ მხარეში და მთავარ ქალაქ რომში, გაღაშ-ქრეს მეზობელ პატარა-პატარა სახელმწიფოებ-მა, რომელთაც ენდოდათ დაცვა ძველი წესწ-ყობილებისა. აჯანყებულთ მოაწვიეს გარიბ-ალდი. გარიბალდი ადგილ-ადგილ ეგზავნებოდა ყველას სამშობლოს სიყვარულით და პაპის მომხრეებიც გარეკეს ქალაქიდან. მათ ბევრი წააგეს. რომი დღესასწაულობდა გამარჯვებას. მაგრამ უცებ, გარიბალდის რჩევის წინააღმდეგ, პა-ძინი დათანხმდა ზავი დაეკერა უცხო ერების გენერალებთან.

ეს საუბედურო თანხმობა იყო. პაპის მომ-ხრეებმა არ დაუცადეს ზავის დასრულებას, დამით მიადგენენ რომის კალავანს და ყვირი-დით „გაუმარჯოს იტალიას“, მოატეეეს მცველები, შეეიდენ ქალაქში და დიეკერეს საუკეთესო პოზიცია. სამი დღით გარიბალდმა დასტოვა რომი, სანამ მთავრობამ ძალა არ დაკ-ტანა დამორჩილებოდა. მაგრამ გარიბალდი უეძ-ლიერეს მტერთანაც კი არ იყო დაჩვეული ასეთ დამორჩილებას. მან შეკრიბა თავის გარშემო დარჩენილი ჯარის კაცები და უთხრა; „მეგობ-რებო, თქვენ მოგელისი დიდიდობა და ბი-

შობდო, წავიდა ჩრდილო ამერიკაში, ნიუ-ორკში, შეკიდა ერთს სამთლის ქარხანაში სა-მუშაოდ და ისე ირჩენდა თავს. საკვირველი სასახავი იყო შესანიშნავი გენერალი სახელებ კაღაკეცილი გამდნარ ქონიან ქვაბთან. მაგრამ გარიბალდი დიდ-ხანს არ დარჩენილა ამერი-კაში.

1849 წლის დამარცხებამ ვერ შეაჩერეს იტალიელები. პიემანტის მეფეკ გახდა ახალ-გაზრდა გამბედავი ბიკტორ ემანუილ II. მინის-ტრებში მან ჭკვიანი თანაშემწე კავური. მან მოახერხა კეთილი განწყობილების ჩამოგ-დება საფრანგეთის იმპერატორთან ავსტრიის წინააღმდეგ. ამ ომისათვის მთელი იტალია ემზადებოდა. აპრილში 1859 წელს პიემონტ-მა გამოუცხადა ომი ავიისს მტერს ავსტრიას. რამდენიმე დღის შემდეგ ფრანგების ჯარმა საჩქაროდ მოიარა თავი გენუიაში, რომ დახ-მარებოდა პიემონტის ჯარს. ბიკტორ ემა-ნუილმა თავის მხრით გამოიწვია გარიბალდი, რომელიც გახდა თავმოყრილ ჯარის უფროს-ად. ჯარის კაცები უველანი თავის ნებით იყენენ საომრად გამოსულნი. ამათ საწინააღმ-დეგოთ გამოვიდა ავსტრიელი გენერალი ურ-ბანი აყარებელის ჯარით. გარიბალდმა ორჯელ საშინლად დაამარცხა ურბანის ჯარი და დიპ-ერო ქ. კომო. ამავე დროს ფრანგებმაც გაი-მარჯვეს ავსტრიელებზე სოლფერინოსთან. ყველას ეგონა განთავისუფლების უკმა დაჭ-რა, მაგრამ მოულოდნელად ფრანგების ხელმ წიფე ნაპოლეონ მე-III, ვიკტორ ემანუილის დაუკითხავად, შეურიგდა ავსტრიას ისეთის პირობებით, რაც მეტად დამაცირებელი იყო იტალიისათვის. ნაპოლეონმა მისცა ავსტრიას ვენეცია და თვითონ კი „ლიისაკუთრა იტალიის ერთი უმშვენიერესი ადგილთაკანი,—ნიცცა და საოია.

როცა გარიბალდმა გაიგო ნიცცა ფრანგებ-მა იგდეს ხელიაო, სასოწარკვეთილებას მიე-ცა: ეს იყო მეტად დიდი უბედურება მის. ცხოვრებაში. ტულმოკლული გარიბალდი გაე-შურა ერთს განმარტოებულს კოდოვან კუნძულ-ზე კაპრერზე.

მაგრამ გარიბალდი დიდხანს არ დარჩენი-ლა უსაქმოდ. სამშობლოდან მუდამ გულშემზა-რავი ცნობები მოსდიოდა: ეხლა კუნძულმა სიცილიამ აიაზდა ხმა და აღმართა თავისუფ-ლების დროშა თავის მეფის ფრანგ ბურბო-ნის წინააღმდეგ. სიცილიელებმა მაშინვე მიჭ-მართეს გარიბალდის. გარიბალდმა შეაგროვ-ჯარი მსურველთაგან. ყოველ მხრიდან მოდი-ოდენ ჯარის კაცები და იკრიბებოდნენ გარი-ბალდის კარშემო. მალე ათასმა მეოთხრმა მოიარა თავი. ჯარს ცუდი იარაღები ჭქონდა ომაზრად, მაგრამ მხურვალე სიყვარული სამ-შობლო ქვეყნისა ადგურიოვნებდა მტერ ჯარს და ჭქმნიდა მას დაუღალავად და უძლე-ველად. გარიბალდი დამეში ნავით გაემართა სიცილიისკენ. 5 მაისს პირველ შეტაკების დროს ხუთი ათასი ბურბონის ჯარის კაცი უკუქცეული იქმნა. 26 მაისს გარიბალდი თა-ვისი ძლევა-მოსილის ჯარით მიუახლოვდა სი-ცილიის სატახტო ქალაქს—პალერმოს. ეცან მიეკუნტეს ქალაქის გალავნთან მდგარი ბურ-ბონთა ჯარის კაცები და თვითონ დაიჭირეს ქალაქი. ათასმა თავ-გამოდებულმა მებრძოლმა სძლია რამდენსამე ათასს კარგად გაწრთვნილს ომებში ბურბონის ჯარის-კაცებს. ამ წუთიდან შემდეგი ომები დღესასწაულს წარმოადგენდა გარიბალდისა და მისი ჯარისათვის. სიცი-ლია მთლად იქმნა გაწმენდილი ბურბონთა ჯარისაგან. დარჩა ასალებად სამხრეთ-იტალი-ის სატახტო ქალაქი, ნეაპოლი. შუა აგვის-ტოში გარიბალდი გაეშურა პირდაპირ ნეაპო-ლისაკენ. მეფე ფრანციისკ ბურბონი გაიქცა სატახტო ქალაქიდან და ჩაიკეტა თავი მახ-ლობელ ქალაქ კაპუაში. თუმცა ნეაპოლის ცი-ხეებში იდგნენ კიდეკ ბურბონთა ჯარის კაცე-ბი, გარიბალდი მიუახლოდა მაინ რამდენიმე მეგობრებით თუ არა, ყველამ თოფები ძირს

დაუშვეს, ბატიკით მიიდეს და იცნეს მასში ქალაქის ახალი მმართველი.

გარიბალდმა გამოაცხადა ნეაპოლი და სიცილია პიემონტთან შეერთებულად და დაეკითხა ხალხს: სურს მას მეფედ ვიქტორ ემანუელი თუ არა? ხალხმა ერთხმად გასცხადა სურვილი. ჩოქმბრის ექვს ვიქტორ ემმანუელმა თავის მხრივ ძალა-დაუტანებლად ჩაბარა გარიბალდის ხელიდან მიული სამხრეთის იტალია. მეფემ შესთავაზა გარიბალდის ეოველგვარი ჯილდო და საჩუქრები, მაგრამ ყველაზედ უარი სთქვა და გაემგზავრა დასასვენებლად გუნძულ კაპრერაზედ.

მაგრამ რომი და ვენეცია მოსვენებას არ აძლევდა გარიბალდს. ის შეადგა აგონებდა ვიქტორ ემმანუელს, რომ მისი ვალია მოსპოს საერო უფლება პაპისა და გაერთიანებული იტალიის ტახტი კადიტანოს რომმი. მეფე სთხოვდა დაეცადნა. მაგრამ როცა მოთმინება დაეკარგა, გარიბალდმა თვითონ გადაწყვეტა გალაშქრნა რომის წინააღმდეგ; ამ დროს ვიკტორ ემანუელმა გაგზავნა თავისი ჯარი წინააღმდეგ გარიბალდისა, რომელშაც თავისი სიასლით შეუქმნა მას მოელი სახელმწიფო. მეფის ჯარი შეხვდა გარიბალდის ჯარს, ასტეხეს სროლა. გარიბალდი გამოჩნდა ჯარის წინ, რომ ეთქვა თავი დაანებეთ სროლასო, მაგრამ იქვე წაიქცა ტრიდობისაგან. მაშინვე მიცვივდნენ ორივე ჯარის-კაცების უფროსები და მეომრები. ყველას სასარლად ეჩვენა, რომ გარიბალდი დაჭრილ იქმნა იტალიელ ჯარის-კაცის მიერ. დაჭრილი გარიბალდი შეეურობილი იწვა ტიხეში. როგორც კი მოკეთდა, ნება მისცეს დაბრუნებულიეო თავისს სახლში გუნძულ კაპრერზე. მაგრამ იტალიას არასოდეს არ შეეძლო უპატიებია თავის მეფეასთვის, რომ მისი ბრძანებით ესროლეს და დაჭრეს გარიბალდი.

1966 წელს ბრუსიამ ომი გამოუცხადა ავსტრიას. იტალიამ გადაწყვეტა ესარგებლნა ამ შუთხვევით და გაენთავისუფლებია ვენეცია ავსტრიელთა ბატონობისაგან. მეფემ ისევ დაუფონებლივ მოუწოდა გარიბალდის მიელო ჯარის მთავარ-სარდლობა. იგი, როგორც ეოველთვის, ავსტრიელებთან ეველა ომებში იმარჯვებდა. მაგრამ გაცხარებული ომის დროს მეფემ ხელი მოაწერა ზავის ხელწერილზე, ავსტრიასთან შერიგებაზე. გარიბალდმა სიბრაზით დაამტვრია თავისი ხმალი, მაგრამ უნდა დამორჩილებოდა. ვენეცია მაინც განთავისუფლებული იქმნა და შეეერთდა გაერთიანებულს იტალიას. დარჩა შესაერთებელი ძველი მუმმივი ქალაქი—რომიც.

1871 წელს ბრუსიამ ომი გამოუცხადა საფრანგეთს. საფრანგეთს არ შეეძლო გამკლავებოდა ისეთს ძლიერს სახელმწიფოს, როგორიც იყო გერმანია. გერმანიის ჯარის კაცები ზედიზედ იდებდენ საფრანგეთის საზღვრებს. მაშინ ფრანგებმა გადაწყვიტეს მეფის ტახტიდან ჩამოგდება და რესპუბლიკის დაარსება, რომ შეერთებულის ძალდონით ეხსნა საშშობლო განსაცდელისაგან.

როცა გარიბალდმა დაინახა საფრანგეთის გაჭირებული მდგომარეობა, დაუფონებლივ გაემგზავრა მისაშველებლად. ძველი ჯავრი მოთლად დავიწყა. სულგრძელმა, კეთილმა მოხუცმა პირველად გაუწოდა ხელი ფრანგებს. მალე ვიკტორ ემმანუელმაც ხელში აიგდო რომი. პაპის საერო უფლებას ბოლო მოეღო და მას თავისი სასახლე გაერთებული იტალიის მეფისთვის უნდა დაეთმო. ამ დროდან პაპა დარჩა კათოლიკეთა ეკლესიის თავად. მაგრამ ვერც იტალიის და ვერც რომის ოლქის მართვა-გამგეობაში ვერ შეეძლო გარეეულიეო. მოხუც გარიბალდის სიხარულს საზღვარი არ ჭქონდა. მას აუსრულდა გულიანადი სტვრა. გაერთებულს, დამოუკიდებელს იტალიას სატახტო ქალაქად ჭქონდა რომი. 1872 წელს იტალიელებმა გარიბალდი აირჩიეს დეპუტატათ პარლამენტში. აურეველი ხალხი

მიეცემა მას სადგურზე და, როგორც გმირი, ხელით მიჰყავდათ იმ ქალაქში, რომლის განთავისუფლებისთვის იდგა მთელს სიცოცხლეში.

1882 წ. თიბათვის 2-ს, თითქმის 10 წლის შემდეგ იტალიის სრულიად გაერთიანებისა, გარიბალდი კარდაცვალა. ხალხის თავყისუფლების დამცველმა, უანგარო გმირმა სამუდამოდ დახუჭა თვალები. იტალიის ყველა ადგილებიდან, ევროპის სხვა და სხვა ქვეყნებიდან და ამერიკიდან მოდიოდნენ ბატივის მცემელნი, რომ უკანასკნელად გამოთხოვებოდნენ დიდებულს მამულიშვილს. მისი დასაფლავების დღეს მთელი იტალია ქალაქში იყო შემოსილი: აქ იხატებოდა ხალხის სამდვილი მწუხარება.

ისეთი გმირები, როგორიც გარიბალდი იყო, იშვიათია; ბედნიერია ის ქვეყანა, კისაც ასეთი გმირი კამოუჩნდება. გარიბალდს უყვარდა თავისი ხალხი და ესმოდა მისი გულის ზრახვანი. ხალხს არც ეხლა ჰყავს იგი დავიწყებული. ხშირად მიურეებულს სოფელში გდეხკაცის ქოხში შენიშნავთ კედელზე გარიბალდის სურათს. დღესაც ბევრს ახსოვს გარიბალდი და დაპარაკში მოხუცებულები ხშირად იგონებენ მისს არა ჩვეულებრივს სიკეთეს და მამაცობას.

კახაბერი.

შინაური მიმოხილვა

(სახალხო მასწავლებელთა საყურადღებოდ)

I

ყოველი დაწესებულების მოხელენი სცდილობენ შეადგინონ რაიმე საერთო საზოგადოება, ერთი ოჯახი, რათა შეკავშირდენ და ხელი შეუწყონ, როგორც საზოგადო საქმეს, აგრეთვე თავიანთი მდგომარეობის და სამსახურის გაუმჯობესებას, იმისდა მიუხედავად, რომ ჯამაგირსაც მეტს იღებენ გეშრიელად თავთავის დროზედ და მერმისშიაც უზრუნველყოფილნი არიან უფრო, ვიდრე სახალხო მასწავლებლები. ჩვენ კი, საერო მასწავლებელნი, ყურებსაც არ ვიბერტყავთ, არ დავეძებთ არც საზოგადო საქმეს, არც ერთმანეთის დახმარებას და არც ჩვენი თავის სიკეთეს; არ ვცდილობთ მოვაწყოთ საზაფხულო კურსები, ექსკურსიები, რომ შევიკრიბოთ წელიწადში ერთხელ და მოვილაპარაკოთ ჩვენს ქირვარამზედ, გავაცნოთ ერთმანეთს ჩვენი გაჭირვება და აზრები ერთი მეორეს გავუზიაროთ, არამედ მივცემივართ ოცნებობას და შევჩერებივართ მთავრობას; თუ მთავრობა მოგვცემს რაიმე წინადადებას, თორემ ვართ მიძინებული სოფლებში და ვშლით ცირკულიარებს; ორი მანეთიც ვერ გაგვიმეტებია წელიწადში, რომ თუ სხვა ჟურნალ გაზეთები არა, ერთად ერთი ქართული პედაგოგიური ჟურნალი „განათლება“ გამოვიწეროთ, წავიკითხოთ და თან ხელი შევუწყოთ ამ ჟურნალის არსებობასაც. ჩვენ თუ ვერ შევიგნებთ და არ გვესმის, თუ რა არის ჩვენთვის უსაჭიროესი, სხვა რად შეიწუხებს ჩვენთვის თავს? თუ მთავრობამ წელიწადში ერთხელ მოგვიწოდა რაიმე სასარგებ-

ლო საქმისათვის, მაშინაც ბევრი ჩვენთა-განი სცდილობს როგორმე გვერდი აუარაროს, სხვა და სხვა მიზეზები წამოაყენოს წინ და როგორმე თავი გაინთავისუფლოს. გასული წლის არდადეგებში, ქუთაისში, სასწავლებელთა დირექტორმა მოაწყო ლექციების კითხვა, სადაც შეეძლო ყველას დასწრებოდა და მოესმინა ლექციები სამი კვირის განმავლობაში: 50 მსმენელმა ძლივსღა მოიყარა თავი, ისიც იმ იმედით, რომ ათ-ოც მანეთს მიიღებდა დირექციიდან, თორემ ბევრი არც იცდიდა. სხვა დროს, ხშირად როდესაც მეცადინეობაა, ბევრი ჩვენთაგანი კი, ქუთაისში ჩამოსვლისათანავე სამიკიტნოებს მიაშურებს და შარმანკაზედაც შეაყოლებს ბუქნას, რისთვისაც 5—10 მანეთს არ დაზოგავს, ჟურნალ-გაზეთების გამოსაწერად და ლექციებზედ დასასწრებლად კი ხარჯს ვერ იმეტებს მისდა სასარგებლოდ. თუ რაიმე სასარგებლო საქმის მოწყობა განიზრახა ვინმემ და აზრი წარმოსთქვა მის შესახებ, მაშინვე ყიჟინას დავაყრით' და კიცხვა-დაცინვას დავუწყებთ დახმარების მაგივრ. ერთი სიტყვით ჩვენში არ არის ერთობა, ერთსულოვნება, არა ვართ გამსჭვალული საერთო კეთილშობილური გრძნობებით, არ გვაწუხებს ქვეყნის ბედღლბალი და სამშობლო ერის გასაჭირი.— ავიღოთ თუნდ დღეს სალაპარაკო საგანი 1881 წლის სამოსწავლო გეგმა და ქართული ენა საერო სკოლებში. ვინც ქართულ, ან რუსულ ჟურნალ-გაზეთებს ადევნებს თვალ-ყურს თითქმის ეს ორი წელიწადია, ყოველ კვირაში შეხვდება ამის შესახებ ლაპარაკს და კიცხვა გმობას იმ მასწავლებლებისას, რომელნიც ღალატობენ თავის თავს, ამხანაგებს და ერს, რათა ასიამოვნონ მარტო რევიზორს და მის თვალში დაიმახსოვრონ. „ჩინებული მასწავლებლის" სახელი. 1905 წ. 29 სექტემბერს მოხდა განკარგულება ნამესტნიკისა, რათა კავკასიის სამოსწავლო ოლქის ქართულ პირველ-დაწყებით სკოლებში ერთის წლის ვადით შემოღებულ ყოფილიყო 1881 წ. სამოსწავლო გეგმა; შემდეგ 8 იანვარს 1906 წ. სამოსწავლო ოლქის მმართველის მოხსენებაზედ ნამესტნიკმა ნება დართო, რომ შემდეგშიაც გაგრძელდეს პირველ დაწყებით სკოლებში სწავლება ხსენებულის გეგმით. ამის დასამტკიცებლად ვხილეთ „Сборникъ распоряженій" ტ. 12—1906—1907 წ. წ., სადაც მე-282 გვერდზედ სწერია:

„8 января 1906 г. распоряженіе Намѣстника Его Императорскаго Величества на Кавказѣ: о разрѣшеніи вести занятія въ начальной школѣ среди туземнаго населенія по учебному плану 13-го января 1881 года (докл. управляющ. учебн. окр.") სამოსწავლო ოლქის მმართველი თავის მოხსენებაში სწერს:

„Распоряженіемъ Вашего Сіятельства 29 сентября 1905 г. было предложено принять къ руководству на одинъ годъ въ начальныхъ училищахъ въ средѣ туземнаго населенія Кавказск. учебн. окр. „Учебный планъ, одобренный Намѣстникомъ Кавказскимъ 13 января 1881 года". Нынѣ, на основаніи опыта истекшаго учебнаго года, я нахожу этотъ планъ отвѣчающимъ учебно-воспитательнымъ задачамъ начальной школы въ средѣ туземнаго населенія и практически полезнымъ для достиженія цѣлей школы. По сему пріемлю долгомъ ходатайствовать предъ Вашимъ Сіятельствомъ о разрѣшеніи вести

занятія въ начальной школѣ среди туземнаго населенія и впредь по учебному плану 13-го января 1881 года". ამაზედ ნამესტნიკს წაუწერია: „разрѣшаю" და სხვა... ამის შემდეგ არავითარი ახალი განკარგულება აღარ ყოფილა და რომ რაიმე ყოფილიყო, დირექცია და ინსპექტორები მაშინვე აფრენდენ ცირკულიარულ ბრძანებას ყველა სასწავლებლებში. ასეთი განკარგულების ძალით ერთკლასიან და ორკლასიან პირველ დაწყებით არა რუსთა სკოლებში საგნების სწავლება უნდა სწარმოებდეს 1881 წ. სამოსწავლო გეგმით და მასწავლებლებს არა აქვთ ზნეობრივი უფლება მას უღალატონ, შეურაცხყოფა მიაყენონ და 7 თებ. 1897 წლის პროგრამით შემოიღონ სწავლება, სადაც ქართულ ენას მარტო სამი გაკვეთილი აქვს დათმობილი კვირაში, რუსულს—რვა, ანგარიშს—ხუთი; საღვთო სჯულს—ექვსი და წერას—ორი; რუსული პირველი დღიდგანვე იწყება და ყველა საგნების სწავლება რუსულად სწარმოებს. სახაზინო ნორმალურ სასწავლებლებში კი, სადაც მასწავლებლებს სამსახური ეთვლებათ, მეათე კლასის მოხელეებად ითვლებიან, მთავრობის პენსია ეძლევათ 25 წლის შემდეგ მთელი ამაგირი, საგნების სწავლება პირველი წლიდანვე სავალდებულოა რუსულ ენაზედ, იქ ქართულ ენას სრულიად არა აქვს ადგილი გაკვეთილების ნუსხაში. (იხილეთ: „Положенія о нормальныхъ училищахъ" 22 ноябр. 1873 г.)

ასეთი სასწავლებლები ქუთაისის გუბერნიაში არის ყვირილაში, კულაშში, ახალ სენაკში, ხეთაში, ართვინში და სხა... არის კიდევ „სახაზინო პირველ-დაწყებითი სკოლები 1867 წლის დებულებისა", როგორც მაგ. რაჭის მაზრაში დ. ონში და ლეჩხუმის მაზრაში დ. ლაილაშში; დებულებაში ნათქვამია, რომ ასეთ სკოლებში ქართული ენა ისწავლება და აქვს ადგილი. (იხ. Начальныя училища Кавк уч. окр.", სადაც სწერია: „чтеніе и письмо на родномъ языкѣ").

ამის შემდეგ, საკვირველია, მასწავლებლები ნეტავ რად იწუხებენ თავს და ძველებური მუნჯური მეთოდით კიდევ რად ეწვალებენ ბავშვებს?!.. ბევრი რამ ითქვა ქართულ-რუსულ ჟურნალ-გაზეთებში ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ყოფილ მასწავლებლის კუსტინოვიჩის საქციელის შესახებ; მაგრამ ისეთი მართალი არავის უთქვამს, როგორიც წარმოსთქვა ბ-მა „სიტყვამ" გაზ. დროების მე-93 ნომერში (მეთაური წერილი) „ქართული ენა და ქართული საზოგადოება".

სიამოვნებით ვეთანხმები, რომ კუსტინოვიჩი გასაკიცხი არ არის იმდენად, რამდენად ჩვენი სახალხო მასწავლებლებია. კუსტინოვიჩს გულმოსულობის დროს უნებურად მოუვიდა, თუ თავისი ღრმა რწმენით წარმოსთქვა, სულ ერთია, რადგან გულ ახდილად აღიარა თავისი სისაძაგლე; მაგრამ ჩვენი მასწავლებლები, რომ მთელი წლების განმავლობაში აშკარად აბუჩად იგდებენ სამშობლო ენას, გაკვეთილების რიცხვს ამოკლებენ და ძველი მუნჯური სისტემით იწყებენ მეცადინობას პირველი დღიდანვე, ნეტავ რას ფიქრობენ იმ დროს?! რით გაიმართლებენ ისინი თავს საზოგადოების წინაშე?! ნუ თუ ამდენი საყვედური, კიცხვა-გმობა და შეჩვენება, როგორიც ეს ერთი ხანი იბეჭდება ჟურნალ-გაზეთებში იმათ შესახებ, მათზე არ მოქმედობს!? „ინსპექტორები სიტყვიერად გვავალებენო", ამის თქმა და ამით თავის გამართლება შეუძ-

ლიათ მათ?! როგორი სახელი უნდა ვუწოდოთ მათ ამის შემდეგ,—უმეცარნი თუ მოღალატენი?! ჩემის შეხედულობით, რადგანაც ისინი უფრო თავისი რწმენით იქცევიან ასე და არა ვისიმე დიდი ძალდატანებით, მე გავყოფ მათ ორ ჯგუფად; ერთ ჯგუფს ვუწოდებ სახელად უმეცარს, რადგანაც მას არ გაეგება და არც ესმის, რას შერება, მეორეს კი მოღალატეს, რადგან მან ყოველივე კარგად იცის, მაგრამ მაინც ასე იქცევა სხვა-და-სხვა მოსაზრებისა გამო. დასასრულ ვიმეორებ, რომ 1881 წ. სამოსწავლო გეგმა ჯერ კიდევ ნება დართულია კავკასიის ნამესტნიკის მიერ, ამისათვის ნუ ვღალატობთ ერს, თავს; დედა-ენასაც ისეთი ყურადღება მივაქციოთ სკოლებში, როგორც რუსულ ენას. ნუ მივაქცევთ იმ გარემოებას ყურადღებას, რომ რევიზორი ვითომ მაინც არ იკითხავს ქართულს; ჩვენ ჩვენი წმინდა მოვალეობა შევასრულოთ და შერცხვენილი ნუ დავრჩებით ქართველი ერის წინაშე. მხოლოდ საჭიროა, რომ 1881 წ. გეგმით ისწავლებოდეს ყველგან, და არა აქა-იქა, როგორც დღეს სჩადიან ზოგიერთები. ამით ერთი მეორეს უფრო უხდენთ საქმეს.

II

ბევრჯელ აღნიშნულა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზედ ჩვენებური მასწავლებლების სიბეჩავე, რეგრესი და ნიშნები გონებრივად დაქვეითებისა, უკან ჩამორჩენილობისა და მე მგონია არც ტყუილია, ბევრი მართალია. მე დარწმუნებული ვარ, რომ მეოთხედი ჩვენგანი თუ იწერს ჟურნალ-გაზეთებს და ადევნებს თვალ-ყურს ცხოვრების მიმდინარეობას. სამშობლო ლიტერატურას და ისტორიას ხომ სრულიად არა ვართ გაცნობილი. ჩვენებური სახალხო მასწავლებელთა უმრავლესობას არა თუ გარეშე წიგნებიდან და სახელმძღვანელოებიდან, არამედ „ბუნების კარიდანაც“ არ შეუსწავლია საქართველოს მოკიდე გეოგრაფია და ისტორია. დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი არც გადის ამ სიგნებს მოსწავლეებთან არა თუ ერთ-კლასიან სკოლების მესამე განყოფილებაში, არც მეორე კლასის მეოთხე და მეხუთე განყოფილებებში. მათ ეშინიათ და დიდ ცოდვად მიაჩნიათ, რომ სამშობლოს აღწერას და გეოგრაფია-ისტორიას გააცნოს თავისი მოსწავლეები; ეს ხომ მათ პროგრამაში არ უწერიათ და ისე როგორ გაბედავს?! ვინც არ ღალატობს 1881 წ. სამოსწავლო გეგმას, მას გაკვეთილების ნუსხაში ყოველ დღე აქვს ქართული გაკვეთილების საათები; შეუძლია კვირაში ორი-სამი გაკვეთილი საქართველოს გეოგრაფია-ისტორიიდანაც იმაცადინოს, ისე როგორც ქართული ენის გაკვეთილი. რა არის აქ არა გასაბედავი?! ნეტავი ვინ დასჭრის მას ყურებს?! ხოლო საჭიროა თვითონ მასწავლებელი, ბუნების-კარში მოთავსებულ მასალას გარდა, სხვა სახელმძღვანელო წიგნებიდანაც გაეცნოს უფრო ვრცლად საქართველოს ისტორიას. სახალხო მასწავლებელმა იცის ვინ იყო რიურიგი, სინეუსი, ტრუვორი, ვლადიმერ მონომახი და სხვა, მაგრამ იმის პასუხს კი ვერ მოგცემს, თუ ვინ იყო შირვანდი მეფე საქართველოში, ვინ შეშობიდო ერეკლეს-ოდი ანბანი, რომელ საუკუნეში ან წელში დაარსდა საქართველოში მეფობა, ვინ იყო მირიანი, წმ. ნინო, ვინ დაარსა ქუთაისი, თბილისი და სხვა... სახალხო სკოლების ინსპექტორებისაგან ბევრჯელ გამიგონია სამართლიანი საყვედური, „მასწავლებლებმა თავისი ქვეყნის ისტორია არ იციანო“. მართლაც სასირცხვო მეტი-ლა-

იქნება?? „ბუნების-კარში“ მოთავსებული მოთხრობანი საქართველოს წარსულიდან მოსწავლეთათვის საკმაო მასალაა, ხოლო მასწავლებლებმა, როგორც ზემოთ მოვიხსენიე, სხვა წიგნებიდანაც უნდა წაიკითხონ ცოტა უფრო ვრცლად, რათა მოსწავლეებს, სადაც საჭირო იქნება, მეტად განუმარტონ.

საისტორიო წიგნები ამ ჟამად საკმარისად გვაქვს. არის ისტორია მ. ჯანაშვილის, ს. ქვარიანის, პრივატ. დოცალ ჯავახიშვილის, დიმ. ბაქრაძის, ს. გორგაძის. ალ. ჭყონიას, დ. კარიჭაშვილის, ღოღობერიძის, სილ. ხუნდაძის ნათარგმნი ბარათოვის ისტორია და სხ. ეს წყაროებიც სრულიად საკმარისია, რომ მასწავლებლებმა საფუძვლიანად შეისწავლონ თავისი ერის წარსული ცხოვრება და მოსახერხებელიც არის, თუ გული გულობს. **ლადო ბზვანელი.**

ტარასი გრიგოლის ძე შევჩენკო

(კარდაგვალებიდან 50 წლის კაშო. 1861 წ. თებ. 26—1911 წ. თებ. 26)

ცნობილი უკრაინელი პოეტი ტ. გ. შევჩენკო დაიბადა 1814 წლის თებერვლის 25-ს კიუვის გუბერნიის სოფ. მორინცაში ყმა გლეხ-კაცის ოჯახში. თხუთმეტ წლამდის პოეტი ცხოვრობდა უკრაინის ყოვლის მხრით შემკულ სოფლის ბუნების წიაღში. 1829 წელს თავის ბატონმა ენგელგარტმა შევჩენკო წაიყვანა მოსამსახურედ. ნახევარი წლის შემდეგ მემამულემ, რაკი შენიშნა ნიჭი და მისწრაფება ხატვაში, შევჩენკო გაგზავნა ვარშავაში ერთს მხატვართან, სადაც დაჰყო მან 1831 წლამდის. შემდეგ შევჩენკო ქვეითად გაემგზავრა ვარშავიდან პეტერბურგს, სადაც განაგრძობდა ხატვაში მეცადინეობას. პეტერბურგში შევჩენკომ გაიცნო ჟუკოვსკი, ბრიულოვი და სხვა მაშინდელი დროის რუსეთის ცნობილი ლიტერატორები და მხატვრები, რომელთა დახმარებით 1838 წ. მან კომ თავი დაიხსნა ბატონ-ყმობისაგან და შევიდა სამხატვრო აკადემიაში. 1840 წელს შევჩენკომ დაბეჭდა მალოროსიულს ენაზედ ლექსთა კრებული „Кобзарь“, რომელსაც ეტყობა პოეტის გენიალური ნიჭი, რაც ცხადად ჰყოფს მისი ლექსების მომხიბლავი მუსიკალური სიმარტივე. დაბეჩავებული ხალხისადმი მხურვალე სიყვარულმა და მჩაგვრელთადმი სიძულვილმა იპოვეს ნიჭიერ პოეტის ლირიკულ ნაწარმოებში სრული გამოხატულება. პოეტი ხედავდა დამონავებულ ხალხის ტანჯვას, მისს უძლურებას, სასოწარკვეთილებას, წყევა-კრულვას და მასთან ერთად თვითონვე განიცდიდა ხალხის მწუხარებას, ტკივილს და ცხარე ცრემლსა ღვრიდა.

წარსულ საუკუნის 40—60 წლებში შევჩენკო, როგორც ხალხის ჭირ ვარამის მოზიარე, ახერხებს უფრო ღრმად ჩახედვას მშრომელ ხალხის გულში და ბატონ-ყმობის სამარცხვინო დროის დასურათებას. შევჩენკო გახდა ერთი უკეთილშობილესი მებრძოლთაგანი მშრომელ ხალხისათვის ბედნიერების მოსაპოვებლად. როცა შევჩენკოს მწუხარე მუზამ მიაღწია დიდებას, როცა მისი ჰანგები იფინებოდა რუსეთში, მუხდალმა ბედმა

იმ დროს უმტკუნა პოეტს და მთელი ათი წელიწადი 1847—1857 წ. დატყვევებული იქმნა ორსკის ციხეში ორენბურგის გუბერნიაში და აღკრძალული ჰქონდა წერაც და ხატვაც. 1847 წელს უკრაინაში ქ. კიევში დაარსდა წრე, რო-



მელსაც მიზნად ჰქონდა დასახული მცირე-როსიელთა ეროვნების დაცვა. ამ წრეში, სხვათა შორის, თვითონ შევჩენკოც მხურვალე მონაწილეობას იღებდა. შევჩენკო თავის ნაწერებისა და ფარულ წრეში მონაწილეობის გამო დატყვევეს და უდროოდ ფრთა შეაკვეცეს თავისუფალ არწივს. 1857 წელს შევჩენკო გაანთავისუფლეს საპყრობილედან, მაგრამ აუტანელმა ტანჯვა-წამებამ საპყრობილეში და უდიერად მოპყრობამ მალე მოუსწრაფეს სიცოცხლე და სამი წლის შემდეგ გამოასალმეს წუთისოფელს. „Кобзарь"-ს გარდა შევჩენკოს ნაწერებში უფრო შესანიშნავია „Гайдамаки". პოეტი თავისს ნაწერებში უმღერის უკრაინის დიდებულს წარსულს, მისს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას.

უკრაინელთა დიდებული პოეტი ტ. შევჩენკო ღრმა და მხურვალე ნაციონალისტი იყო ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით. „ისწავლეთ ძ'ებო, იფიქრეთ, იკითხეთ; სხვაც შეისწავლეთ, მაგრამ თავისასაც ნუ დაკარგავთ; ვინც დედას ივიწყებს, მას ღმერთი დასჯის"-ო.

თავისს სამშობლოს საუკეთესო მომავალს შევჩენკო მდაბიო ხალხის ეროვნულს თვითშეგნებაში ხედავდა; ხალხს, ტანჯულ ცხოვრებაში გამოვლილს, დავიწყებული ჰქონდა თავის დიდებული წარსული და დაკარგული თავისი ეროვნული გრძნობა და ეს ფერფლნიდა გულს უკრაინის დიდებულ მამულიშვილს.

ხალხის საუკეთესო თვით განვითარების საბუძვლად თავის ბედკრული სამშობლოს გამოსაბრუნებლად შევჩენკოს დედა-ენა მიაჩნდა. მძიმე წამებას განიცდიდა პოეტის ტანჯული გული, როცა ხედავთ სამშობლოს მოღალატეებს, რომლებიც ივიწყებდენ იმ ენას, რომლითაც დედა ნანას ეტყოდა მათ. ხალხის სევდის და წყლულის გამომხატველ მგოსნისათვის ყველაზედ უფრო სამძიმო იყო, როცა ხედავდა, რომ თავისიანები ივიწყებენ ყველა მშობლიურს, ეროვნულს იმის გამო, რომ გატაცებულნი არიან უფრო გადამბირებელ კულტურით. ყველაფერს სწავლობენ, გარდა თავისს მშობლიურისაო—ამბობს პოეტი—მაგრამ სამშობლო ქვეყანას ვერ მოუტანს სარგებლობას ეს უცხო, გაუგებარი. შევჩენკო ცხადად ხედავდა ხალხის უმეცრებას. ეროვნული სკოლა უკრაინაში, რასაკ-

ვირველია, არ იყო და იმ სკოლებში, რაც მაშინ არსებობდა ყველაფერს სწავლობდენ, გარდა დედა-ენისა და იმისა, რაც კი უფრო საჭირო იყო...

50 წლის დასასრული და სამოციან წლების დასაწყისი საუკეთესო ხანა იყო რუსეთის ხალხის გამოფხიზლებაში, მაშინ აღენთო დიდებული განთიადი, რომელმაც სტყორცნა თავისი სხივები რუსეთის ბნელს არემარეში და ხალხის მოკეთეთ გულში აღუძრა იმედი საუკეთესო მომავლისა. ყველამ ცხადად დაინახა, რომ რუსეთის სახელმწიფოს საძირკველს გლეხ კაცობის კულტურული აღორძინება შეადგენდა. მაშინდელმა განათლებულმა საზოგადოებამაც მხარი მისცა ამ მოთხოვნილებას თავისი ცოდნითა და ძალით. ბევრგან დაარსდა საკვირაო სკოლები მოზრდილთათვის. საჭირო შეიქმნა მშობლიურს ენაზე წიგნები, უკრაინელთათვისაც. უცხო ენაზედ სწავლებამ უკრაინელთა სკოლებში ვერავითარი ნაყოფი გამოიღო. აუარებელს დროს, ძალას და ენერგიას ანდომებდნენ არა განათლების საქმეს, არამედ უცხო ენის შესწავლას. და აი ამ დროს ხალხის ჭირ-ვარამის გამომხატველმა დიდებულმა მგოსანმა პირველმა მიაქცია ყურადღება ამ გარემოებას. მან განიზრახა იაფ-ფასიანი სასკოლო წიგნების გამოცემა უკრაინულს ენაზედ. ჯერ უნდა გამოეცა სამ კაპიკიანი ანბანი, სამ კაპიკიანი არითმეტიკა, შაურიანი გეოგრაფია და ორშაურიანი ისტორია. „თუ ღმერთი შეგვეწია ცოტ-ცოტად დაწყებულს საქმეს ბოლოს უფრო დიდი საქმე მოყვებაო“—ამბობდა პოეტი.

მაგრამ ეს თავისი აზრები დიდებულმა მგოსანმა ვერ განახორციელა. ულმობელი სიკვდილი მომართულის ცელით კვალ და კვალ დასდევდა მას. მან 1861 წ. დიდი ხნის ცენზურაში ხეტიალის შემდეგ განახორციელა მხოლოდ ანბანის გამოცემა. ეს ანბანი დაუგზავნეს საკვირაო სკოლებში, მაგრამ ბოლოს ესეც აკრძალეს.

1861 წლის თებერვლის 26 შევჩენკო გარდაიცვალა; მან ვერ დააყენა ფეხზე მისი ძვირფასი საქმე.

მთელს თავის სიცოცხლეში შევჩენკო იტანჯებოდა ხალხისთვის, რომელსაც შესწირა მან მთელი თავისი სიცოცხლე. იმ დროს, როდესაც ტანჯულს ხალხს მოევლინა განთიადი, როცა შეიძლებოდა რეალურად მოღვაწეობა ხალხის განათლებაზე, სიკვდილი უსწრაფებს სიცოცხლეს ხალხის დიდებულ მგოსანს, რომლის დასუსტებულს სხეულს ღრმა კვალი დაამჩნია ბატონ-ყმობის მძიმე უღელმა. პოეტი გარდაიცვალა პეტერბურგში, მისი ანდერძის მიხედვით, დაასაფლავეს უკრაინაში, დნეპრის კლდიან ნაპირას, ქალაქ კანევის მახლობლად.

წელს 26 თებერვალს კიევში შეგროვებულის ფულით შევჩენკოს დაუდგეს ძეგლი. მადლიერი ერი და შთამომავლობა პატივს ცემს თავისს დიდებულს მგოსანს და სასურველად აფასებენ მისს ნიჭსა და მოღვაწეობას.

უ ც ხ ო ე თ ი

ისტორიის სწავლება დასაწყისს სკოლებში

ამას წინად პარიზში, სადაც შეკრებილნი იყვნენ სახალხო სკოლის მასწავლებელნი—ქალნი და კაცნი, ცნობილმა მეცნიერმა, პროფესორმა ერნესტ ლავისსმა წაიკითხა . საინტერესო მოხსენება ისტორიის სწავლების შესახებ პირველ-დაწყებითს სკოლებში. ლავისი მეცნიერებაში საკმაოდ ცნობილი პირია; მან რამბოს თანამშრომლობით დასწერა მრავალ ტომებიანი წიგნი „საზოგადო ისტორია მე-VI საუკუნიდან ჩვენს დროამდის“, რაც მარტივად და სინამდვილით არის გადმოცემული. საფრანგეთში ლავისს, კარგად ცნობილს ისტორიკოსს, პედაგოგისა და პუბლიცისტის დიდი სახელიცა აქვს მოხვეჭილი, მისი ისტორიის სახელმძღვანელოები შემოღებულია, როგორც დასაწყისს, ისე საშუალო სკოლებშიაც. ის იღებს მხურვალე მონაწილეობას პედაგოგიურს კრებებზე, სწერს სტატიებს, წამოსთქვამს სიტყვებს და ეწინააღმდეგება ყოველთვის, როცა ასტყდება მწავე კამათი საერო სკოლის წინააღმდეგ, რომელსაც ძირს უთხრიან კათოლიკეთა სამღვდელოება და კერძო პირნი ულტრაკალიზმით გაჟღენთილნი. მისი ისტორიული ცნობები, პედაგოგიური გამოცდილება და ცხადი მარტივი გადაკემა იზიდავს მისს ლექციებზე აუარელს მსმენელებს, როგორც ამას წინად იყო.

ლავისსი ამ ჟამად ესაუბრებოდა დამსწრეთ ისტორიის საზოგადო საკითხის შესახებ, ძირითად მიზანზე, რაც უნდა დაიახოს პირველ-დაწყებითი სკოლის მასწავლებელმა ისტორიის გაკვეთილებზე. ლავისმა მისცა მსმენელთ კერძო რჩევა-დარიგება სწავლების მეთოდის შესახებ და იქვე მისცა სამაგალითო გაკვეთილიც, რომელზედაც მარტივის, 10—12 წლის მოწაფეთათვის გასაგების ენით აუხსნა ლუდოვიკ XIV დროის უმთავრესი დახასიათება.

„ვისაც პედაგოგიური გამოცდილება აქვსო, ამბობდა ლავისსი,—იმათ იციან, რომ ისტორიის სწავლება გაცილებით უძნელესია სხვა საგნებზედან. მართლა რა არის ისტორია? ეს არის ცივილიზაციის თან და თანობით განვითარება. იმაზე უფრო რთული და უძნელესი განსაზღვრელად არ-არის რა, როგორც გამორკვევა იმისი, თუ რომელსამე მომენტში ამა და ამ ქვეყანაში რა მდგომარეობაში იყო ცივილიზაცია. ცივილიზაციის მსვლელობა დამოკიდებულია აუარებელ სხვა და სხვა მოძრავ ძალაზე, ძნელად გამოსარკვევ მიზეზებზე, რაც ხან და ხან შეუმჩნეველიც არის და ერთი მეორის საწინააღმდეგოც. ქვეყნის ისტორია, ისტორია ერისა შედეგია, როგორც ბუნებრივის, ისე სულიერ მიზეზთა. მზიანი თუ ღრუბლიანი ცა, ჰავა, მწირე თუ ნოყიერი ნიადაგი, ყველა ამათ გავლენა აქვთ მოდგმის (race) შედგენაზე, ხალხის ხასიათზე და ხალხი, რომელიც წარმოსდგა ამ მრავალგვარ მიზეზთა გავლენით, თავის თავად ხდება გამსაზღვრელ პირობებად შემდეგის ისტორიულის განვითარებისათვის. უნდა გვახსოვდეს კიდევ ისიც, რომ ისტორია არ არის მხოლოდ

მოთხრობა მსხვილ-მსხვილ ამბებისა, რომელიც წინ აყენებს დიდებულ პირებს,—თვით ეს დიდებული პირების წარმოშობა უნდა აიხსნას თანამედროვე გარემოებით. ისტორია არის აგრეთვე პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ეკონომიური და სულიერი ცხოვრების განხილვა; ყველა ეს სახეები ისტორიული ცხოვრებისა ერთმანეთშია არეული, ერთს მეორეზედ აქვს გავლენა ისე, როგორც რომელიმე გადამწყვეტი შემოხვევა დრო და დრო ცვლის ცივილიზაციის მსვლელობას".

როცა ამ თვალსაზრისით გავითვალისწინებთ ისტორიას, რასაკვირველია, ეჭვი გვებადება მისი სწავლებისა დასაწყისს სკოლებში. ლავისსი მაინც ამტკიცებს, რომ მიუხედავთ მრავალგვარ დაბრკოლებისა, ისტორიის სწავლება სახალხო სკოლებში საჭიროა. 1789 წელმა, ამბობს იგი—გაანთავისუფლა ხალხი. საზოგადო არჩევნების უფლებამ ყველა ფრანგს მიანიჭა მოქალაქის ხარისხი. როგორც თავისუფალ ხალხს და როგორც მოქალაქეებს ესაჭიროებათ გაიგონ ის განვლილი ისტორიული გზა და ამის წყალობით უკეთ წარმოიდგინონ და შეიგნონ მახლობელი დანიშნულება, რაც თანაშემედროვე ცხოვრებაზეა დამყარებული.

ისტორიის სწავლების მეთოდის შესახებ ლავისი თავდაპირველად მოითხოვს, ზურგი აქციონ ყველა საზოგადო ადგილებს, განყენებულებას, ორაზროვნებას, ბუნდოვანობას—ყველა იმ ნაკლს, რომლითაც სცოდავენ ყველა ერის ისტორიის მასწავლებლები. „საუნივერსიტეტო გამოცდაზე,—შენიშნავს ლავისსი,—ყოველთვის ვამჩნევ ამ გვარ ცოდვებს ენის შესახებ. თითქმის ყველა, ვინც ,ეგზამენს იქერს, მომეტებულად ცდება ამ მხრით.

შემდეგ ლექტორი გადავიდა თავისს გაკვეთილზე ლუდოვიკ XIV დროს შესახებ. პირველად წამოაყენა თვითონ მეფის პიროვნება, ლავისსი აღწერს მისს გარეგნობას და შინაგან ხასიათს; მომქმედი, უფლების მქონელი, ამაყი, იმავე დროს დაუღალავი მუშაკი; იგი სერიოზულად ეკიდება თავის ხელმწიფებრივ ხელობას, მაგრამ ჭარბად მისდევს ყოველგვარ სიამტკბილობას.

„თავდაპირველად საჭიროა,—ამბობს ლავისსი,—მისცეთ ბავშვებს ისეთი შთაბეჭდილება, რომ მათ საქმე აქვთ ცოცხალ ადამიანებთან, რომელთაც თავისი ღირსებაც აქვთ და ნაკლულევანებაც. ბავშვებიო, განაგრძობს იგი—ისტორიის გაკვეთილიდან გამოიტანენ მხოლოდ იმას, რის დახსომებაც შეეძლებოდათ მათ, რომ ისინი ყოფილიყვნენ მოწმენი იმ ფაქტებისა, რომლის შესახებაც ჩვენ ვესაუბრებით. რა უნდა უთხრათ მაგალითად ლუდოვიკ XIV დროის ცნობილის ფინანსთა მინისტრის კოლბერის შესახებ?—ფაქტების ჩამოთვლა საჭიროა არაა, ბევრს მათგანს ისინი ვერ გაიგებენ". ლავისსი ურჩევს მხოლოდ შეძლების დაგვარად კონკრეტიულად წამოაყენონ კოლბერის ძირითადი სახელმძღვანელო იდეები: მას უნდოდა, რომ ფრანგებს მეტი ემუშავნათ და ამით თავისთვის ფული შეეძინათ და საფრანგეთის ხელმწიფე კი ყოფილიყო უმსხვილესი მდიდარი ქვეყანაზე. საილუსტრაციოთ ამ მდგომარეობაზე ლავისს მოჰყავს ტიპიური ანეგდოტები, რასაც ბავშვები ადვილად გაიგებენ.

შემდეგ გადადის იმ დროის თვალსაჩინო მომქმედ პირზე, ჯარის განმაახლებელ ლუვუაზე, რომლის შეხედულობა ეთანხმება ეხლანდელს შეხედულობას ჯარის ქაცების შესახებ; ლავისი ურჩევს დაკმაყოფილდენ უფრო ზერელე შენიშვნებით.

ლუვუაზდის ჯარის კაცები თითქოს თავის კერძო სარდალს ეკუთვნოდენ, ატარებდენ ისეთს ტანსაცმელს, რომელიც უჩვენებდა მათს დამოკიდებულებას თავიანთ უფროსებთან; ლუვუას, ამის ნაცვლად, შეჰყავს ჯარში ერთნაირი ფორმა და ჯარის კაცები ყოველის უწინარეს ხელმწიფის ჯარის კაცებად ითვლებიან; ამასთან უნდა აღინიშნოს ჯარის კაცთა სიმრავლე, რაც ლუვუას დროს უდრიდა 200,000 მეომარს.

აუარებელი ომის შესახებ, რაც მოხდა ლუდოვიკ XIV დროს, ლავისსი თანახმაა, რასაკვირველია, შემოკლებული იქმნას ეს მოთხრობები, მაგრამ აფრთხილებს, რომ არც ძლიერ შეამოკლონ; „თქვენაო, ეუბნება ის, — მასწავლებელ ქალებს და კაცებს, ნება არა გაქვთ ხმა არ ამოიღოთ ომებზე, როცა ის იწვევდა ამდენ ხალხს და აყენებდა მას აუარებელს უბედურებას“. ხაზი უნდა გაუსვათ, რომ 72 წლიდან ლუდოვიკ მე-XIV მეფობისა 45 წელი ომებს უნდება და ლავისსი ამბობდა იმ პასუხის მგებლობის შესახებ, რაც ხელმწიფეს ედება ამდენი ადამიანის სიცოცხლის მოსპობით. „მაგრამ,—დაუმატებს იგი,—აქაც სიმართლეა საჭირო: ამ ომების მიზანი იყო ეროვნული ტერიტორიის გადაწყვეტა“.

დასასრულ ისტორიკოსი გადმოგვცემს სურათებს ვერსალის სასახლის ცხოვრებიდან. ვერსალი ეს ერთგვარი სასწაულია. დეე ის ძლიერ ძვირად მიგვაჩნდეს, დეე მან ხელი შეუწყოს მონარქიის სწრაფად დაცემას, მაგრამ ვერსალი მაინც დარჩება ერთ უძვირფასეს განძად თანამედროვე საფრანგეთში.

მთელს თავის საუბრის დროს მუდამ მოითხოვდა საჭიროებას, რომ სიმართლით მოექცნენ წარსულს. „არ არის საჭიროო, ამბობდა იგი,—არც მკაცრი უარყოფა, როგორც ულირსი ქედის მოხრა. დეე, ყველა ჩვენი ძალა მიმართული იქმნეს იქით, რომ მიეცეთ საზოგადო აზრი, ან და გამოვიწვიოთ საზოგადო გრძნობა წარსულზე.

დეე, საფრანგეთის შვილებმა, ხვალიდელმა ხალხმა დაინახოს ცოტა მაინც იმ ნივთიერ და ზნეობრივს გაუმჯობესობაში, რაც მოჰყვა ზნეობისა და ცივილიზაციის განვითარებას.

ერის ცხოვრება განუწყვეტლივ იცვლება და ჩვენი თანამედროვენიც ზედმეტად ნუ აღშფოთდებიან დღევანდელი საზოგადო წესწყობილების განუვითარებლობით. რომ განვიხილოთ თუ რას წარმოადგენს დღევანდელი საფრანგეთი და შევადაროთ იმას, რაც იყო წინად, მივალთ იმ დასკვნამდის, რომ პირველად არაფერი არ შეიქმნება უდროოდ და მეორედ ჩვენ გვაქვს ყოველგვარი საბუთი იმედი ვიქონიოთ შემდეგის გაუმჯობესობისა და სრულის ნდობით მოვეპყრათ ჩვენს ეროვნულს მომავალს“.

დაგვიანებული პასუხი

ბ-ნ სამ. ცომაიას ბიბლიოგრაფიის გამო

ჩემი ავაიმეოფოფოვის გამო, მხოლოთ ამ დღეებში წაგიკითხე ბ. სამ. ცომაიას ბიბლიოგრაფია ჩემი სახელმძღვანელოს „საქართველოს ისტორიის შესახებ (იხ. ჟურ. „გზისთლება“ № 10, 1910 წ.) სიმართლე მოგახსენოთ, მეტად იშვიათად მინახავს ჩვენს პრესაში ასეთი შეგნებული და მეუგრძელული გარჩევა რომელისმე ნაწარმოებისა. ჩვენი ბიბლიოგრაფ-კრიტიკოსები, სამწუხაროთ, უფრო ხშირად მოქმედობენ პირადი სიმპატიით და ანტიპატიით, ხშირად რომელისმე დაქსის მაჯლაბნელს უფიც ადამიანს დიდებულ ბაირონზე და შელლიზე მაღლა აყენებენ ხოლმე და ეს იმიტომ, რომ ეს მოდექსე მათი მეგობარია, ან მათ საერთო პარტიას ეკუთვნის. პირ იქით, ეს კალმოსრენი მიწასთან ასწორებენ ამა თუ იმ შესანიშნავ ნაწარმოებს და მათ ავტორებს, რადგან ეს ავტორები ან მათი მოწინააღმდეგეა, ან სხვა ბანაკის წევრებია. ორივე შემთხვევაში ისინი მოქმედობენ ტლანქად, უმეცრულად და მარტოოდენ უსაფუძვლო ლიტონი სიტყვებით. ამიტომ მათ ამ გვარ „კრიტიკას“ აქვს ფრიად გამსრწნელი ხასიათი, შეაქვს მკითხველ საზოგადოებაში სიცრუე, უმეცრება და ამ რიგათ მოაქვს მეტად დიდი ზიანი.

ამიტომ სწორედ საამურ ოაზისად მეჩვენა ბ. სამ. ცომაიას ბიბლიოგრაფია ჩემი წიგნის შესახებ. პატივცემული ავტორი იჩენს სრულ ობიექტივობასთან ერთად დიდ დაკვირვებას და ისტორიის ცოდნას. იგი გულწრფელად აღნიშნავს მოკლეთ ჩემი წიგნის, როგორც ნაკლს, ისე დირსებას; დინჯად გვითიოებს ამა თუ იმ ნაკლზე და გვირჩევს მათ შესწორებას შემდეგ აკამოცემაში. მაგ., ის სიფუძლისათვა აღნიშნავს, გეოგრაფიულ კარტის, გამოჩენილ ისტორიულ პირთა და შესანიშნავ ნაშთების სურათების საჭიროებას. ამათი მნიშვნელობა ჩვენც კარგად გვესმოდა, მაგრამ ისინი, სხვა და სხვა საპატიო მიზეზთა გამო, სამწუხაროთ ვერ ჩაურთეთ ჩვენ ჩვენს პირველ გამოცემაში. რადგან ეს პირველი გამოცემა (2500 ცალი) სულ ეროთანათ გაიყიდა ამ 5—6 თვეში, ამიტომ ჩვენ უკვე შევუდექით წიგნის მეორე გამოცემას, რისთვისაც შევეკვეთეთ გამოჩენილ პირი, და შესანიშნავ ნაშთთა კედლები ამ წიგნში მოსათავსებლათ.

ბ. ცომაია გვეუბნება გრამატიკული შეცდომები და პროვინციალიზმები ქვარიანის წიგნშიო, იმავე დროს კი, სამწუხაროთ არ აღნიშნავს თუ რაში გამოიხატება ეს შეცდომები და პროვინციალიზმები. შეიძლება მართლაც იყოს წიგნში შეპარული ეს შეცდომები; ჩვენ დიდის მადლობით მივიღებდით ამ შენიშვნას და შემდეგ გამოცემაში გავასწორებდით. შეიძლება ისიც იყოს, რომ რაც ს. ცომაიას მიაჩნია გრამატიკულ შეცდომათ, ის ჩვენ სრულებითაც არ მიგვაჩნდეს შეცდომათ და ამის სიბეთიც მოგვიხსენოთ. ახლა კი მოკლებული ვართ ერთსაც და მეორესაც, რადგან, ვიმეორებ, ს. ცომაიამ არ აღნიშნა ეს შეცდომანი.

ქართული ენის გრამატიკა, სამწუხაროთ, ჯერ ხანათ კიდევ დაუმთავრებელია; მასში ბევრია კიდევ საკამათო ფორმები. ის არაა ისე ჩამოყალიბებული, როგორც სხვა განათლებულ ერების ენათა გრამატიკა. დღემდი ალმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გრამატიკოსები ბევრ რამეში არ ეთანხმებიან ერთმანეთს. დღემდი კიდევ ევერიის მწერლები ვერ კამოსულან ანტონ ქათალიკოზის მსმენე ენისა და დამახინჯებულ გრამატიკის

ზეკავშვენისაგან, კოლხიდის მწერლები კი ბროგინციალიზმებისაგან. გარდა ამისა თვით კრამატიული ფორმები არ უნდა ხუთავდეს უნას, რომელიც თავის განვითარებაში ემორჩილება ევოლიუციის რეინის კანონს და თავისთან ერთად ცვლის თვით კრამატიულ ფორმებს. ამიტომ ძველი განსხვავდება თავის ფორმებით ამა თუ იმ ერის ძველი და ახალი ენა, ძველი და ახალი კრამატიული ფორმები. მასთან თვით ხალხი და მეტადრე ბირველ-ხარისხოვანი ბოეტები, მხატვრული ნიჭით და შემოქმედებით აღჭურვილი მწერლები-სტილისტები ხშირად უარჰყოფენ კრამატიკის ბაბილონს და ჰქმნიან ახალ ტერმინებს, ახალ ფორმებს. ამ შემთხვევაში ნამდვილ ასწავლებს სიადან უმთავრესად ევროპიელ მწერლები, რომლებიც ცუდ ყოფაში აყენებენ თავინთ ქვეყნის კრამატიკა-აკადემიკოსებს. ასეთია მსოფლიო ევოლიუციის ასტეიკი კანონი! კრამატიკა ენის ჩონჩხია; იცვლება ხორცი, მასთან ერთად უნებურად იცვლება მისი ჩონჩხიც. აი ეს მეცნიერული ანბანი არ უნდა დავიწყოთ ჩვენმა კრამატიკოსებმა და კრიტიკოსებმა. ბ. ცომაია კვიხსნიდა ამ აკადემიურ მსჯელობისაგან, რომ მას კონკრეტულად დაეკანონებია კითხვა, აენუსხა ჩვენი კრამატიული შეცდომანი და ნახმარი ბროგინციალიზმები, რომლების ხმარება ზოგიერთ შემთხვევაში ფრიად საჭიროა ენის სიმდიდრისათვის.

ბ. ცომაია კვიასუფედურებს, თითქო ჩვენ ნაკლებ ეურადღებას ვაქცევდეთ ქართველი ერის კულტურულ ცხოვრებას. ეს არაა მართალი. მთელი წიგნია 127 გვერდი, ამაში 34 გვერდი უკავია ერის კულტურულ ცხოვრების აღწერას. ამაზე მეტი შეჩერება ამ რთულ საკანზე შეუძლებელი იყო, რადგან მეტად დაამძიმებდა წიგნს და გაუგებარს გახდიდა უმაწვილდათვის. ჩვენი წიგნი ეპიზოდიური ხასიათისაა; მისი დანიშნულებაა ბიჭოდან პირველ დაწყებით სკოლებს და გიმნაზიის პირველ-მეორე კლასებს მოკლე ცნობა საქართველოს წარსულზე, უმთავრესად კაცნოს მისი გამოჩენილი კაცები და ის მუდმივი ბრძოლა აურაცხელ მტრებთან, ის საშინელი სისხლის ღვრა, რომელიც წიდათ ხვდა ჩვენს ტანჯულ ქვეყანას ორიათასი წლის განმავლობაში. რაც შეეხება ბროგმატიულს და მეტადრე კულტურულ ისტორიას, ამის შესახებ ჩვენ ვაგროვებთ უმეტეს საკირო მასალებს და მოკლე ხანში შეუდგებიო კიდეც ამის დაწერას. ეს იქნება ვრცელი, დასურათებული საქართველოს ისტორია და მისი დანიშნულება იქნება უფროს კლასების ახალგაზრდობას და შეგნებულ საზოგადოებას კაცნოს რამდენადაც კი შეიძლება, ქართველი ერის წარსულის მთელი და უტეხარი სურათი.

საწერეთ ამ მოსაზრებით ბ. ცომაიას საეკვედური ჩვენ მიგვიჩნია უსაფუძვლოთ. ამგვარივე საეკვედურით მოგვმართა ამ-ასმი თვის წინა ბ. ს. ავალიანმა, რომელმაც მიიდო ვრცლათ ამ საკანზე შესაფერი ბასუხი. რომ იგი არ კავიმეორა აქ და არ შეეკუნტა მკითხველი საზოგადოება, მიგუთითებ ჩემს ბატივცემულ კრიტიკოსს ჩემს ბასუხზე ბ. ს. ავალიანისადმი. (იხ. „სახალხო კაზეთი“ № 159—1910 წ.).

— დაბოლოს უნდა შეეჩერდეს ბ. ცომაიას ერთ შენიშვნაზე მარტვილის უმთავრეს ტაძრის ამენების შესახებ. იგი ააშენა ბაგრატ მესამემ კი არაა, არამედ აფხაზთა შეფე გიორგიმაო; ამას მოწმობს „ქართლის ცხოვრება“, ვახუშტი, ბროსსე, ჯანაშვილი და ი. ჯორდანია. ეს არაა მართალი, ბ-ნო ცომაია. მართალია მარტვილის უმთავრეს ტაძრის აგება დაიწყო 908 წელს აფხაზთა მეფე გიორგიმ, მაგრამ მას დარჩა იგი დაუმთავრებელი და მხოლოთ 996 წელს დაამთავრეს იგი. ამ დროს კი აფხაზეთის ანუ ეგრეთ კოლხიდის ტახტზე იჯდა მეფედ ბაგრატ მესამე, რომელიც ეკურთხა ქუთაისში 930

წელს და მეფობდა 1014 წლამდი. მაშ ვინ შეამჯობდა მარტვილის ტაძარს 996 წელს თუ არა ბაგრატ მესამე, რომელმაც სხვა შესანიშნავ საქმეებთან ერთათ თავი ისახელა დიდებული ტაძრების აგებით?! ამის შესახებ იხილეთ ბ. თ. ყორდანიას „ქრონიკები“ წ. I. გვ. 84—85. მიკვირს, ბ ნ ცომაია, თქვენ თვითონ მითითებთ ამ წიგნზე, იმავე დროს კი არ შეგიწუხებიათ თავი და არ წაგიკითხავთ ამ წიგნის 85-თე გვერდი.

დასასრულ დიდ მადლობას მოგახსენებ ბ. ცომაიას თავის გულწრფელ კრიტიკისათვის და ვისურვებ გულით, რომ სხვებმაც ჩაბაძონ მას. ჩვენ არ უფრთხით ობექტურ კრიტიკას; პირიქით, ჩვენ ვეძებებით მას სიხარულით, რადგან ამგვარი კრიტიკა მიგვაჩნია ფრიად სასარგებლოთ. უნაკლულო არაფერია ქვეყანაზე, ამიტომ, ეჭვი არაა, ჩემ' წიგნსაც ექნება ნაკლი, და თუ ამაზე მიგვითითებს დანული, შეგნებული კრიტიკა და გაგვასწორებიან ამ ნაკლს, ჩვენს პასუხათ იქნება მხოლოთ უდრეესი მადლობა. **სამ. ქვარიანი.**

ს ი ტ ყ ვ ა,

თქმული თებერვლის 18 ს 1911 წ. ტფილისის ქართულ გიმნაზიაში იმპერატორის ალექსანდრე მეორის სულის მოსახსენებლად გარდახდილის პასუხად.

Ამაწვილებო! წელთა და ჟამთა მიმდინარეობამ ისე მოაწყო ღვთის მსგავსად და ხატად შექმნილ ადამიანთა უმრავლესობის ბედ-იღბალი, რომ უმცირესობამ დაიმორჩილა უმრავლესობა, წაართვა ღვთის მიერ მინიჭებული უფლებანი და გაიხადა თავის სურვილის და გულისთქმათა აღმასრულებლად. ეს საზიზღარი და ქრისტიანეთათვის სამარცხვინო წესწყობილება რყვნიდა და ათახსირებდა ორთავე წოდებას: ბატონები შეეჩვივნენ თვით-ნებობას, გულ-ქვაობას და მუქთა-ხორობას, ხოლო ყმანი,—ცბიერებას, სიზარმაცეს და სიცრუეს. ამის გამო, კაცთა ბედნიერების ქვა-კუთხედი—ურთიერთის სიყვარული ორთავე წოდებისათვის შეიქმნა გაუგებარი და გამეფდა მათ შორის სიძულვარე, რომლის საკურთხეველზედ დაინთხა ნრავალთა სისხლი და უმრავლესთა ლამობდა დანთხევას.

ეს სახელმწიფოს და ქვეყნის დამღუპველი წეს-წყობილება კარგად შეიგნო და გაითვალისწინა ღვთივ-გვირგვინოსანმა იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ და 1861 წლის თებერვლის 19-ს, სწორედ იმ დღეს, როდესაც წმ. ეკლესია დღესასწაულობს პირველის ყმათა განმათავისუფლებელის ადამიანის, წმ. მოციქულის ფილიპონეს ხსენებას, გამოსცა ბრძანება, რომლის ძალითაც ბატონ-ყმობა მოსპობილ იქმნა რუსეთში. და მცხოვრებთა უმრავლესობას მიენიჭა უფლება საკუთარის ბედნიერებისა და წარმატების გზასლვისათვის ზრუნვისა.

ახლანდელი თაობა მოიგონებს ამ ჭეშმარიტად ქრისტეანულ ბრძანებას იმპერატორის განმათავისუფლებელისას და იგი მაცელის იმპერიის სივრცეზედ აღავლენს დღეს მადლობის ნიშნად გულმხურვალე ვედრებას მისის სულის განსვენებისათვის, და ჩვენც მისთვის შევკრებილვართ აქ ამ ჟამად, რომ მივ-ღოთ მონაწილეობა საზოგადო ლოცვაში, შევავედროთ უფალს სული დიდებულის ადამიანისა და ვითხოვოთ მისთვის საუკუნო ხსენება. ამინ

დეკ. კ. ციცაძე.

მოწერილი ამბები

(ხმა ზემო რაჭიდან)

.... მეც იქ შევალ—
სადაც. თბილა, სადაც ტკბილა;
თორემ მე თუ არ ვიქნები,
ქვა ქვაზედაც ნუ ყოფილა!..
აკაკი.

ვინ არ იცის რა კურიოზებით არის აკრელებული დღევანდელი ჩვენი ცხოვრება; მაგრამ იმდენ უკანაურ მოვლენებს, რაოდენიც ამ კუთხეულ რაჭაში მეფობს, ვგონებ სხვაგან ადგილი არ უნდა ჰქონდეს. უმთავრესად, ამ მოვლენათა შორის უნდა ჩაითვალოს, ალბად, ფსიხიურად და სულიერად დაავადება და გონებრივად გაღატაკება ჩვენი ინტელიგენციის (?) ერთის ნაწილისა. თუ არა ამით, მაშ სხვა რითი უნდა აიხსნას მათ მიერ თავის ვინაობის დაგმობა, თავის ერის კიცხვა-დაცინვა და მისი წმინდათა-წმინდის ფეხთ ქვეშ გათელვა?.. ეს ვაუბატონები გახლავთ იმ გადაგვარების გზაზე დამდგარი „დეგენერატები“, რომელთა უღირს საქციელზე უკვე დიდი ხანია განუწყვეტლივ შფოთავს და ცრემლებს ანთხევს ყოველი შეგნებული ქართველი და ქართული პრესა. მაგრამ ჩვენი კუთხის დეგენერატთა გათვით-ცნობიერებაზე წლიდგან-წლამდე განგაშ-ჩიჩინი დარჩენილა „ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა“,—იმათ ყურს ალარ მიწვდომია ეგი. ან-კი როგორ მიწვდებოდა, როცა ამ, თავის ერის სამარცხვინო, შვილთ ქართული ჟურნალ-გაზეთის ხელში აღება შეურაცხყოფა-დამცირებად მიაჩნიათ. ხოლო „კავკაზი“ და სხვა მსგავსი უცხო გაზეთები, სხვას რას შთაუნერგავს მათ, თუ არა ყალბ-დამახინჯებულ შეხედულებას ქართველებზე, მათდამი ზიზღსა და იმათ არა-რაობის რწმენას...

ამ წერილის დასაწერად გამომიწვია მე შემდეგმა საამწუხარო შემთხვევამ:

ამას წინად ერთს ქვემო რაჭის სოფლის მასწავლებელს გავუზიარე ჩემი აზრი სოფლის მასწავლებლების შესახებ საერთოდ. იმათ მატერიალურ სიღატაკეზე იგი სიამოვნებით დამეთანხმა, მაგრამ ძლიერ გაუკვირდა ელიარებია ის თვალსაჩინო ჭეშმარიტებაც, რომ ჩვენი სოფლის მასწავლებელნი სულიერ-კულტურულ საზრდოს მოკლებულნი არიან, ზოგიერთნი გონებრივადაც დაქვეითებულნი და ცხოვრებასთან ჩამორჩენილნი და, თუ გნებავთ სამასწავლებლო ასპარეზისთვის მოუმზადებელნიც. ბოლოს გადავედი იმაზე, რომ ყოველი სპეციალისტისათვის მიუცილებელი საჭიროა თავის პროფესიის ხალხთან კავშირის ქონა. ასეთ შესაკავშირებელ ერთ საშუალებად-კი უნდა ჩაითვალოს განსაკუთრებით-მათი-ჟურნალი და გაზეთი. და, რიცა ვურჩიე მასაც გამოეწერა, როგორც ყოველ მასწავლებლისთვის მიუცილებელი საჭირო პედაგოგიური ჟურნალი: „განათლება“, რომელსაც გამომცემელნი, შედიან-რა ჩვენს მატერიალურის მხრით აუტანელ მდგომარეობაში, ეგრე ჩალის ფასად (2 მან. წელიწ.) გვითმობენ მას,—შემეკითხა: „რუსულია იგი თუ ქართული?“-ო. (აი მკითხველო, უკვე მეოთხე წელიწადია ქართული პე-

დაგოგიური ჟურნალი გამოდის და ქართველ პედაგოგს (?) დღემდე მისი არსებობაც-კი არ ასცოდნია! ეჰ, რა-რიგ აბრმავებს ხოლმე ადამიანს ფანატიზმი და რა უფსკრულში გადასჩეხავს ცხვარისებური ანგარიშ მიუცემელი მიმბაძველობა?!.) და როცა ვუთხარი: „რასაკვირველია ქართულია“ თქო, — იმან სიცილი დამაყარა; „მე რუსული პედაგოგიური ჟურნალი მაქვს გამოწერილი და აბა რა-ლა **ტყვილად** დავკარგავ „ორ“ მანეთსაო (ქართული ჟურნალ-გაზეთის გამოწერა ქართველისთვის „ტყვილა ფულის დაკარგვა“ ყოფილა, — ესეც ახალი გამოკვლევა ჩვენი არხიმედისა. — კომენსკის მოძღვრებაც განუხორციელებიათ ჩვენებურ პესტალოცებს, — რუსულად კითხულობენ, და ჩვენ-კი გვარწმუნებენ: „ბავშვებს ქართულად ვასწავლითო“ — მაგრამ ცხადია, ვით უდალატებენ თავიანთ პრინციპრწმენას საღი პედაგოგიაც ამას ჰქვია!)

ჩვენდა სავალალოდ ის უბადრუკი თურმე დარწმუნებული იყო და ეცადა ჩემთანაც დაემტკიცებია, რომ — ქართული ჟურნალ-გაზეთები და ქართული მწერლობა უბრალო წყლის ნაყვაოა; არასფერი თავისი ქართველებს არ შეუძლიათ გამოსთქვან, ან გააკეთონ და ყველაფერი რაც ჩვენებურ ჟურნალ-გაზეთებში იწერება, რუსეთის პრესიდან არის გადმოღებულიო. *) და სხვა რომ არა იყოს რა, ნუ თუ შენ ერთსა და იმავე სიამოვნებასა გგვრის ქართული ამბავ უბდისა და რუსულ ჟურნალ გაზეთების კითხვა?“-ო. ი მისი საკუთარი. სიტყვები, რასაკვირველია (მისი აზრით მჭევრ-მეტყველურად, მაგრამ დამახინჯებული) რუსულად თქმული. (ბ.-ნ მასწ. — ს. ავიწყდება საინბანო პედაგოგიური ჭეშმარიტება: „არც ერთ ენაზე არ შეუძლია ადამიანს განავითაროს თავისი ნიჭი ისე, როგორც სამშობლო ენაზე“...) — რასაკვირველია ასეთი ბავშვური გულუბრყვილობა — მასწავლებლისგან — მკითხველისთვის დაუჯერებელი იქნება, მაგრამ რა ძალა მადგია ტყუილისა? და თუ დავაკვირდებით, იმას სხვაფერ არც-კი შეეძლო ეთქვა; როგორ შეუძლიან ადამიანს საღი, ჭეშმარიტი მსჯავრი დასდოს იმ საგანს, რომელსაც სრულებით ვერ იცნობს? — როგორ შეუძლიან, არამც-თუ ისეთ რთულ რასმე, როგორიც არის ეროვნული მწერლობა, თუნდა სულ უბრალო რისამე ღირსებანაკლულოვანობა აღნიშნოს, თუ კარგად არა აქვს გათვალისწინებული იგი. და აბა როგორ შეეძლო ბ-ნ მასწავლებელს ექო ქართული მწერლობა, როცა ქართული არა წაუკითხავს-რა, და კიდეც, რომ წაიკითხოს, მისი გადაგვარებული სული, დამახინჯებული ფსიხიკა და დაავადებული სული, დამახინჯებული ფსიხიკა და დაავადებული გრძნობა-გემოვნება ვერ შესძლებს მისს განზომ განწონვას და საიდუმლო ჰანგთა ბგერის სიღიადეს ვერ მისწვდება. ცხადია, ამ შემთხვევაში მას არც იმის ნება ჰქონდა, რომ ეძ-გებია იგი, მაგრამ მიმბაძველობა ცუდი სენია. და ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ამას ამბობს ქართველი მასწავლებელი, სკოლის ზედამხედველი, რომელიც უკვე 12 წელიწადია მაგ აზრით ხელმძღვანელობით განაგებს ქართველ მოზარდ თაობის სვე-ბედს.

ცხადია რა კეთილ გზაზედაც დააყენებს იგი და რა მაღალ ეროვნულ იდეალ-

*) თქვენისთანა თავის ერის მოჭირნახულე გულშემატკივარ — მამულისშვილთა ხელში, — ბ-ნო მასწ—ო, ისიც საკვირველია თუ სხვისგან გადმოღების ნიჭი და უნარი მაინც შეგვრჩა!..

ავტ.

მისწრაფებათა მატარებელ მამულის შვილებს აღზრდის. განა ასეთი ადამიანი ლირსია ამ წმინდა ღვთიურ პროფესიის — „ხალხის განმანათლებელი“-ს სახელის ტარებისა?!. მე ამ წერილში განზრახ არ ვასახელებ იმ ადამიანს, რადგან, სამწუხაროდ, დარწმუნებული ვარ, რომ ასეთები ჩვენში სხვანიც ბევრი მოიპოვებიან... ის თვითონაც კარგად იცნობს აქ თავს, მაგრამ დეე სხვამაც, ყველამ, ვინაც-კი უღალატნია ეროვნების პრინციპისთვის, თვითონ იგულისხმონ თავიანთ თავი, რომელთაც ცხოვრების სამსახურის დევიზად გაუხდიათ თვეში 30 მანეთი და ფიქრობენ: „მეც იქ შევალ, სადაც თბილა, სადაც ტკბილა; თორემ მე თუ არ ვიქმნები, ქვა-ქვაზედაც ნუ ყოფილა“-ო და თავიანთ უფროსების გულის მოსაგებათ გაიძვერობა-ძლიქენელობით თვითონ პოულობენ თბილ-ტკბილ კუთხეებს, მაგრამ ურცხვად ძირს უთხრიან თავიანთ ერს, მისი მომავალ თაობაში გადაგვარების სულის შეტანით...

როგორც ჟურნალ-გაზეთები იუწყებოდნენ, ზოგიერთ რაიონის ინსპექტორებმა უკვე სარევიზიო წლის დასაწყისშივე ხაზი გაუსვეს და ნათლად აღნიშნეს თავიანთ რევიზიის ტენდენციური ხასიათი: სასტიკი ბრძოლა—ჯერ ოფიციალურად სავსებით ძალაში მყოფ 1881 წლის სამოსწავლო გეგმით ხელმძღვანელობის წინააღმდეგ სახალხო სკოლებში. ზემოხსენებული ვაგბატონ-მასწავლებლებიც დახმარება-თანაგრძნობით უწოდებენ მათ ხელსა, გამარჯვების სრულს იმედს უნერგავენ გულში და უსამართლო ბრძოლაში ზურგს უმაგრებენ იმ უტიფარ და ვერაგ რევიზორებს, რომელთაც მოზარდ თაობის სულიერ-გონებრივად აღსაზრდელი დაწესებულება სკოლა, სახელმწიფო პოლიტიკის იარაღად გადაუქცევიათ...

რაც შორაპნისა და მეოთხე რაიონის სკოლებში მოხდა, დღეს თუ ხვალ იმასვე უნდა ველოდეთ დანარჩენ სკოლებშიაც. სასურველია ამ გარემოებას მასწავლებლები სუსტად და მოუმზადებლად არ შეხვდნენ. რომ უშიშრად გასცენ შესაფერი პასუხი ვიწრო პოლიტიკით თვალ-ახვეულ რევიზორების უკანონო ბრძანებას. სამ თუმანს არ შესწირონ მთელი ერის ინტერესები. საჭიროა ვეცადოთ ერთხელვე არ ჩაინერგოს პოროტება, თორემ შემდეგ მისი გამაგრება-გაფართოვების მეტს ნურაფერს ნუ მოველით. თუ ყველა მასწავლებლებს ერთი ხმა ექნება მგონი ძნელია მაშინ სძლიოს ვინმემ და თავის რჯულის მიღება აიძულოს... სასურველია და საჭიროც დაარსდეს მასწავლებელთა პროფესიონალური კავშირი, რომ თვით მასწავლებლებმა გაუწიონ ანგარიში თავიანთ კოლეგების საქციელს... აგრეედვე კარგს იზამს ქარ. შორ. წერ. კით. გამავრცელ. საზოგადოება ცალკე გამოსცემდეს დაწვრილებით პროგრამმას და უფასოდ დაუგზავნიდეს პროვინციებში აგენტებს—სოფლებში სამინისტრო და სასულიერო სკოლების მასწავლებლებისთვის დასარიგებლად...*)

ი. ბ.—ია.

---

*) ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ შარშან ხაფხულში დასტამბა ვრცელი პროგრამები ყველა სასწავლო საგნებისა სახალხო სკოლებში, საიდანაც მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ უფასოდ.

რედ.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

„სახმო წესით“ კითხვის სწავლება სკოლის გამოცდილებიდან. ანდრია შუბლაძისა. ქუთაისი, 1909 წ. ფასი 10 კაპ.

ვიდრე ამ წიგნის განხილვას შევუდგებოდე არ შემიძლიან ორიოდე სიტყვა არა ვთქვა ამის შესახებ, რომ ჩვენს სკოლებში ქართული წერა-კითხვის სწავლება ისე უხეიროდაა დაყენებული, რომ განსაზღვრულს დროს, რასაც მოითხოვს სადი ჰედაგოგიური კონება, ამ დროს ის მასალა არც კითხვისა და არც წერისა არ ისწავლება. ეს ერთის მხრივ თუ იმის ბრალია, რომ ჩვენს სკოლებში ხშირათ, მოუტებულ ნაწილათ, (ორივე ტიპის სკოლებში სამინ. და სამრევლოში) გამოუცდელ მასწავლებელთ უნდებათ სწავლება სხენებულს საგნისა; მეორეს მხრივ კიდე იმისი, რომ ჩვენი ქართული ჰედაგოგური ლიტერატურა შეტათ დარიბია იმ საუცილებელ მასალით, რაიც არსებითად ხელის შემწეობი იქნებოდა რიგიანათ სწავლებისა გამოუცდელ მასწავლებელთათვის; მასთან ნაკლები წერილები იბეჭდება სკოლის დაკვირვებიდან და გამოცდილებიდან. ეს კი საუცილებელია საჭიროა და ამის გამო ყველამ, ვინც ქართული ენის რიგიანათ სწავლების საქმეში არიან დაინტერესებული, სიამოვნებით უნდა აღნიშნონ ყველა ის სურვილები, რომელნიც კი სწავლების საქმეს ეხებიან და სახოგადოთ სადი ჰედაგოგიურს ახრს გამოჭსტავენ წერა-კითხვის საქმეში. ამ გვარსავე შრომას წარმოადგენს ზემო ხსენებული წიგნი ბატ. შუბლაძისა, რაიც სამდგელთ სკოლის გამოცდილებიდან დაწერნია. ეს საკმარისი არ არის. სხვებმაც რომ ასეთივე ჰედაგოგიური წერილები დასწერონ თავიანთის გამოცდილებიდან, ეს ერთის მხრივ გაგვცნობს ერიი ერთანეთის ახრს, შეუდგენებს ქართული ენის სწავლების შესახებ, და მეორეს მხრივ ჭეშმარიტ ჰედაგოგიურს ახრს მიგვახლოვებს.

სახოგადოთ უნდა ვსთქვა, რომ ქართული ენის წესია—კითხვის სწავლება ჩვენს სკოლებში ისე უნდა იყოს დაყენებული, რომ მოკლე დროს ბევრი ისწავლებოდეს სიფუძეანთ და არა ისე, რომ ბევრ დროს ნაკლები და ისიც უხეიროდ.

შუბლაძის შრომას ამ მხრივ ძუ დირსება აქვს, ნაკლულევანებაც მოეპოვების.

გავშინჯოთ. ბატ. შუბლაძე „სახმო წესით სწავლების“ მასალას თავის წიგნში ასეთის გეგმით ანაწილებს:

ა) საგანი და სიტყვა.
ბ) წინადადება.
გ) წინადადების სიტყვებად დანაწილება.
დ) სიტყვის მარცვლებად დაყოფა.
ე) და მარცვლების ხმებად დანაწილება.

ამ ნაგარ გეგმით „სახმო წესით“ კითხვის სწავლების მასალის დანაწილება სრულიად ანალიტიურია, რის შესახებაც შემიძლიან ვსთქვა, რომ ამგვარი ვარჯიშობა და სწავლება ერთიფერობანია და ეს კი რომ არ მოახდარიყო, შეეძლო შუბლაძეს ამავე „სახმო წესით“ სწავლება „ანალიტიურ-სინტეტიურს“ მეთოდზე მოეწყო. ეს ყველაზე მოკლე გზაა.

ზემო ხსენებულ მასალის ამგვარად დალაგება ერთ ფერობანია მიტომ, რომ, როგორც ოვითონ ბატ. შუბლაძეც ამბობს, ამ წინასწარ სავარჯიშოს კაგლას მასწავლებელი მოუნდება ორ-სამს კვირას, (იხ. შე 19 გვერ.) ორ-სამ კვირას კი მასწავლებელი სულ ზემოხსენებულ სავარჯიშოზე რომ ეაასოს, ვარწმუნებ, რომ მას სკოლაში ამ ხანს ერთი ბავშვიც არ დაუდგება, თუ ამაკე ხნის განმავლო-

ბაში ორიოდე სიოც არ ასწავლა ბავშვებს.

ბავშვისთვის იმდენად ამის გაგრძელება არ არის საჭირო, რამდენადაც პირდაპირ საქმეზე გადასვლა, ესე იგი ჩქარა ისწავლოს სიოები და წერა-კითხვა *).

ამისთვის გამოცდილება გვაჩვენებს და შეობლებიც დაინტერესებულები არიან, რომ რაც შეიძლება იმათმა შვილებმა წერა-კითხვა ჩქარა ისწავლონ.

რომ ორი-სამი კვირა უსაქმოდ არ გაეტარებინათ ბავშვებს და სიოების სწავლებაც ჩქარა დაეწყოთ, ამისათვის საჭმარისია რაკი ბავშვებმა შეითვისეს ზემოხსენებული ცნებები წინადადების სიტყვებად დაყოფამდის, ამის შემდეგ უფრო პრაქტიკული იქნებოდა სიტყვის მარცვლებად დაყოფას და მარცვლების ხმებად დანაწილებას, სიოების კეთილ ხმოვანობის მიხედვით შესწავლის დროს თანდათანობით, გზა და გზა, გასცნობოდენ ბავშვები, ე. ი. სიტყვის მარცვლებად დაყოფის მოჰკვეებოდა ცნობა მარცვლებისაგან სიტყვის შედგენა; მარცვლების ხმებად დანაწილებას მოჰკვებოდა ცნობიდ სიოებისაგან მარცვლის შედგენა და ასე ამ გვარად დავიცვდით „ანალიტიურ-სინტეტიურს“ მეთოდს.

უნდა შევნიშნოთ ბატ. შუბლაძეს ისიც რომ ანბანის სწავლების დროს თავის კეთილ ხმოვანობის მიხედვით სისტემატიურად დედა ენაში სწავლებამდის ასწავლოს: ი, ა, ო, უ, ე, წ, ხ, შ, ზ. ამაში მე ეჭვი არ შემაქვს, რადგან თავის კეთილ ხმოვანობით ზემოხსენებული ხმოვანი და თან ხმოვანი სიოები შესასწავლად რიგზეა ჩამოწერილი, მაგრამ

*) სამი კვირა წერა-კითხვის შესასწავლად წინასწარ საეარჯიშოებისათვის აუცილებლად საპიროა; ბავშვები თავდაპირველად უნდა შეეჩვიონ ლაპარაკს, სიტყვა-პასუხს, დაკვირვებით აზრის გამოთქმას და შემდეგ შეიძლება დააწყებინონ წერა-კითხვა. ამერიკაში და ბევრგან სხვაგანაც წერა-კითხვას სკოლებში ასწავლიან ნახევარი წლის ამგვარად ვარჯიშობის შემდეგ. ამაში „რედაქცია არ ეთანხმება რეცენზიტს. **რედ.**

საქმე იმაშია, რომ წინასწარ ზეპირ ვარჯიშობაში-მოძრავ სიოებისაგან სიტყვების შესადგენად და კითხვის პროცესის შესათვისებლად მეტის-მეტადაც ბევრს კეთილ-ხმოვანს სიოებსაც არ უნდა გამოეიდოს მასწავლებელი, რადგან ყოველივე ამისთვის სრულიად საკმარისია უწიგნოთ სიოების ვარჯიშობის დროს მარცვლების და კითხვის პროცესის შესათვისებლად გაეცნოს მარტო ორი კეთილ ხმოვანი სიოსს, ხ.

შე ამას იმ მოსაზრებით ვამბობ, რომ მარცვლების შესადგენად იმოდენა ბევრს კეთილ ხმოვან სიოს არა აქვს მნიშვნელობა, რამოდენადაც მასწავლებლის სიფხიზლე — გამოცდილებას, რომ ორი კეთილ ხმოვან სიოსაგან და ხმოვან სიოებისაგანაც მ-მატება-გამოკლების წესით მშვენივრად შეითვისოს კითხვის პროცესი. ესეც რომ არ ვსთქვათ, ამასვე ვხედავთ ბატ. გოგებაშვილის „დედა-ენის“ I ნაწ. „დედა-ენის“ I ნაწ. პირველ ხარისხოვან სიოებს: ი, ა, ო, ე, უ, ს, ხ, მე-8 გვერდამდის გენეტიური ადგილი უკავიათ, მხოლოდ თავის არა კეთილ-ხმოვანობით უშლის სიო „თ“-ამას ჩვენ არ უნდა ავსცდეთ. ბატ. შუბლაძეს კი ამისთვის უურადღება არ მიუქცევია და ერთ სიოს ადგილს ასწავლის, მეორე ბალდოს. ამით კი წიგნში გადასვლას იგვიანებს, დასასრულ უნდა შევნიშნო ბატ. შუბლაძეს, რომ რა არის „ხმა“ არ უხსნის ბავშვებს. მასოინ რა არის წინადადება ამას რთულად უხსნის, უბრალოთ ახსნა კი შეიძლებოდა ასე: რასაც ჩვენ საკანზე ვლაპარაკობთ, არის წინადადება.

რაც შეეხება კერძოთ წიგნს, მარტივის და გასაგების ენითაა შედგენილი და საუფთა ქართულიდან დაბეჭდილი. **კოტე.**

რედაქტორ-გამომცემელი
ლ. გ. ბოცვაძე.

ყოველდღიური პოლიტიკიო და სალიტერატურო

„სახალხო გაზეთი“

(წელიწადი მეორე)

ყოველდღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირეული

ს ურ ა თ ე ბ ი ა ნ ი დ ა ნ ა ტ ე ბ ა

დანატება გამოვა კვირაობით

გაზეთის ფასი დანატებისა: წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური, დანატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი. ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

განაწილება ფასისა: გამოწერის დროს 3., 1 მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50 კაპ.

რედაქცია ღია 9—7 საათ.

Тифлисъ, редакція „Сахалхо газети“.

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1911 годъ
на газету

„Закавказская Рѣчь“

Годъ изданія третій.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

съ доставк. на домъ:	Въ Тифлисѣ	Въ провинц.
На годъ	6 руб.—коп.	8 руб.—коп.
„ полгода	3 руб. 50 коп.	4 р. 50 к.
„ 3 мѣсяца	2 руб. — коп.	2 р. 25 к.
„ 1 мѣсяцъ	— 70 коп.	— 75 к.

АДРЕСЪ: Тифлисъ, редакція газ. „Закавказская Рѣчь“ Эриванская площадь, домъ Харазовой.

Для телеграммъ: *Тифлисъ, „Закавказская Рѣчь“.*

Редакторъ Р. Д. Бебіевъ.

Издатели: Кн. Г. І. Амираджиби. П. А. Готуа.

1911 წლის 10 იანვრიდან გამოვა ორშაბათობით დიდი ლიტერატურული და პოლიტიკური გაზეთი

„თეგი“

წლიურად 2 მან. 50 კაპ. ნახევარი წლით 1 მან. 50 კაპ. 3 თვით 1 მან. ცალკე ნომერი 5 კაპ.

დროებით ადრესი: Эриванская площ. д. Харазовой

რედაქტორ-გამომცემელი გრ. დიასამიძე

Открыта подписка на 1911 г.

на еженедѣльную общественно-педагогическую газету

ШКОЛА И ЖИЗНЬ

съ ежемѣсячными приложеніями.

Въ книжкахъ приложеній, которыя за годъ составятъ около 80 печатныхъ листовъ, будутъ помѣщаться цѣльныя произведенія русскихъ и иностранныхъ авторовъ: старыя классическія, или выдающіяся новѣйшія, или касающіяся наиболѣе интересныхъ вопросовъ текущаго времени. Три книжки приложеній будутъ посвящены памяти Л. Н. Толстого, Н. И. Пирогова и работамъ извѣстнаго нѣмецкаго педагога Кершенштейнера. Въ числѣ приложеній—три сборника, спеціально посвященные нашей низшей, средней и высшей школѣ.

	на годъ	на 6 м.	на 3 м.
Подписная цѣна:			
Съ доставкой и пересылкой въ города имперіи	6 р.	3 р.	2 р.

Подписка принимается: въ Главной Конторѣ, Петербургъ, Кабинетская, № 18.

Издатели: *Н. В. Мѣшковъ и Г. А. Фальборкъ.*

ჰირველ მარტიდან გამოდის

ყოველ-დღიური სამეცნიერო საპოლიტ. და სალიტ. გაზეთი

„ახალი საქმე“

რედაქციის ადრესი: Дворцовая ул., домъ грузинскаго Дворянства въ редакцію „Ахали Сакме“.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Рубену Луарсабовичу Кипіани.

გაზეთი „ახალი საქმე“ ღირს როგორც თფილისში, ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან. 1/2 წლით 4 მან. თვიურათ თფილ. 80 კ. სამი თვით თფილისში 2 მან. 20 კაპ., თფილისის გარეთ 2 მ. 50 კაპ., საზღვარ-გარეთ—ორჯელ მეტი იმაზე, რაც თფილისში ღირს.

ცალკე ნომერი ღირს ყველგან 5 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა

ყოველ-კვირეულ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„ცხოვრების მოამბე“-ზე

ფასი გაზეთისა: 1 წლიურათ 2 მან. 50 კაპ. 1/2 წლით 2 მან. 3 თვით 1 მან. თითო ნომერი ყველგან **ერთი შაური.**

რედაქტორი: ვ. ი. მეფისაშვილი, გამომცემელი: ევგ. გერმანი.

ადრესი რედაქციისა: Маросейка № 6 სახ. მეხტერბაშევისა.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა, სპირიდონ მ. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა ხაკუთ. სახლი № 5.